

ლიტერატურული, სამეცნიერო-პოპულარული
და საზოგადოებრივი უყრნალი

არაჰი

უყრნალი გამოდის
2016 წლის იანვრიდან,
გამოსცემს სამცხე-
ჯავახეთის სახელმწიფო
უნივერსიტეტი

20

2019

რედაქტორი - მერაბ ბერიძე

მოადგილე - მაკა ბერიძე

სარედაქციო საბჭო:

ლია ზაზაშვილი
ციური ლაფაჩი
მალხაზ ლომსაძე
ლერი ნოზაძე
ნატო ყრუაშვილი
ირინა ჯიშკარიანი
ლალი ბერიძე
მაია ქუქჩიშვილი

ირაკლი ვაშაყმაძე, თბილისი
რეზო შეროზია, ზუგდიდი
ზაირა კელოშვილი, ათენი
ნუგეშა გაგნიძე, ქუთაისი

ნომრის მეოხია შპს „ნათია - 777“

მდივანი: ზაირა გელაძე
მენეჯერი: ნონა საანიშვილი

საგამომცემლო ჯგუფი: ლია ზედგინიძე
ლარისა გურგენიძე

რედაქციის მისამართი: ახალციხე, რუსთაველის ქ. №113
© სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი, 2019
ISSN 2346-836X

პატივცემულო და საყვარელო მამაო შალვა!



მეც ვარ პატარა ქართველი, მეც ვარ თქვენი მონაფე, და მეც მინდა მოგილოცოთ ჩემებურათ თქვენი დღეობა.

მე საქართველო ჯერ არ მინახავს, რომ მისი სიტურფე ჩემი თვალით შევისწავლო, რომ დედა-ენის სილამაზე ჩემი ყურით გავიგონო და გულამდინ ჩამიტკბეს. სამშობლოს სილამაზესა და სიყვარულს თქვენ მასწავლით, და იქნება ჯერაც ვერა ხართ ძალიან კმაყოფილი ჩემს სწავლაზედ. მაგრამ დამაცადეთ, ცოტა კიდევ გავიზრდე, დედამამასთან ერთად ჩვენი მშვენიერი საქართველო მოვიარო, ჩემი თვალითაც ვნახო, ჩემი გულითაც გავიგო რასაც დღეს წიგნში მაკითხამთ. და მაშინ ნახავთ ჩემს ქართველობას, ჩემს ქართულ ლაპრაკსა და წერა-კითხვას, ჩემს მამულიშვილობას! თქვენი ეხლა დათესილი მაშინ გამოიღებს თავის ნაყოფს და მდიდარ ნაყოფსაც. მაშინ იქმნება ჩვენ ყველასთვისაც დიდი, დიდი დღეობა; და თქვენთვის, პატივცემულო და საყვარელო მამაო შალვა, ჩემი საუკეთესო და გულითადი მილოცვა და მადლობა თქვენგან მიღებული სწავლისა და სიყვარულისათვის.

თქვენი ერთგული სიმონ ზაზაძე.

ბატონმა სიმონ ზაზაძემ ეს წერილი ცხრა წლის ასაკში დანერა. იგი სტამბოლში დაიბადა, იქვე გაიზარდა და მოღვაწეობდა სიცოცხლის განმავლობაში. სტამბოლის ქართველ კათოლიკე მამათა სავანეში მოღვაწეთა შორის აღზრდილი იყო სულითა და გულით ქართველი. ამაყობდა თავისი ქართველობით და ცდილობდა ეკეთებინა ღირსეული ქართული საქმე სტამბოლშიც და საქართვე-

ლოშიც. სავანის „უკანასკნელი მოჰიკანის“ პავლე ანდლულაძი-საგან და მამისაგან – პავლე ზაზაზისაგან მემკვიდრეობით მიიღი ქართული სავანის ფონდ-არქივზე მზრუნველობის პასუხისმგებლობა. რასაც სიცოცხლის ბოლომდე ერთგულად ასრულებდა რაც მის მოვლა-პატრონობასა და დაცვაში გამოიხატებოდა. დიდი წინააღმდეგობების მიუხედავად რუდუნებით უფრთხილდებოდა თითოეულ ხელნაწერსა და ნივთს – თავის საქართველოს. ბოლომდე იმ სულისკვეთებით იცხოვრა, რომელიც სრულიად პატარას ჰქონდა. ქართველი საზოგადოება მას იცნობდა, როგორც ღირსეულ სტამბოლელ ქართველს, ქველმოქმედსა და საზოგადო მოღვაწეს.

წილად მხვდა ბედნიერბა ახლოს გამეცნო ბატონი სიმონი და საკუთარი თვალთ მენახა მისი მზრუნველობით დაცული ქართული სავანის მდიდარი მემკვიდრეობა, უნიკალური ხელნაწერები თუ სხვადასხვა სახის ნივთები, ასევე ფერიქოის ქართული ეკლესია. 2009 წლის ზაფხულში პროფესორ **შუშანა ფუტყარაძის** ხელმძღვანელობით ჩემი და ქალბატონ **ციური ლაფაჩის** მონაწილეობით მოეწყო სამეცნიერო ექსპედიცია. სავანეში გატარებულმა ორმა კვირამ ჩემზე ისეთი დიდი შთაბეჭდილება მოახდინა, რომ მისი ფურცელზე გადმოტანა დიდხანს ვერ შევძელი. მაგრამ ბატონი სიმონის გარდაცვალების ცნობამ ჩემში თითოეული წუთი და განცდა გააცოცხლა, არ დამიტოვა იმის უფლება, რომ ჩემი განცდები მხოლოდ ჩემთვის შემენახა და არ გამეზიარებინა მკითხველისათვის, გამიჩნდა იმის სურვილი, რომ ზოგი რამ მოგიტხროთ ერთ დიდ ქართველზე. სამწუხაროდ, ცხოვრებამ ბევრი ღირებულებიც გადააფასა, მაგრამ, საბედნიეროდ, დღეს ისევ შემორჩნენ ადამიანები, რომელთათვისაც მამულიშვილობა, ეროვნულობა, სამშობლოს სიყვარული ისევ მთავარ ღირებულებად დარჩა. ასეთი ადამიანი იყო ბატონი სიმონი. ამაში ყველა დამეთანხმება, ვინც კი მას თუნდაც ერთხელ მანაც შეხვედრია, ან უნახავს სტამბოლის სავანის არქივი.

ბატონ სიმონს პირველად მის სამუშაო კაბინეტში შეხვდი. კაბინეტში შესვლისთანავე ჩემი ყურადღება მიიქცია პავლე ზაზაზის - მამამისისა და ათათურქის დიდმა პორტრეტებმა, რომლებიც მისი სავარძლის უკან, კედელზე იყო განთავსებული. მამამისი მისი კერპი იყო...

თბილად მიგვიღო. დაინტერესდა ჩვენი საქმიანობით. ძალზედ გაიხარა და ისიამოვნა სავანის **აკაკი წერეთლის** სახელობის ბიბლიოთეკისათვის ჩვენი ჩატანილი წიგნებით. მასაც ვაჩუქეთ უნივერსიტეტისა და მუზეუმის მიერ გამოცემული წიგნები. ქალბატონმა შუშანა ფუტყარაძემ ჩემს წიგნზე „ხიზაბავრა“ მიანიშნა, რადგან წიგნში შეტანილი მქონდა მასალები და ფოტოსურათები სავანეში მოღვაწე ხიზაბავრელების: **ალფონს ხითარიშვილის, პიო ბალიძისა და დომინიკე მულაშაშვილის** შეახებ. ასევე მცირე ცნობები თვითონ სავანის შესახებაც. ესიამოვნა, იქვე მაგიდაზე დაიტოვა და თქვა: ამ წიგნს დღესვე წავიღებ სახლშიო...

ჩვენი სტუმრობით ამაყობდა. ჩვენთან შესახვედრად სავანის სკოლაში სტამბოლში მცხოვრები ქართველები მოიწვია. სიამაყით ამბობდა: საქართველოდან პროფესორები მყავს სტუმრადო. ერთი ასეთი მომენტიც იყო. სტუმრად მიგვიწვია, გულუხვად გაგვიმასპინძლდა. სადილობისას ჩემდაუნებურად შევამჩნიე, რომ მხოლოდ ჩვენს მაგიდას ჰქონდა გადაფარებული თეთრი სუფრა. სხვა მაგიდები გადასაფარებლების გარეშე იყო. მან ჩემს სახეზე ამოიკითხა ყოველივე და მიპასუხა: მაგიდაზე მე გადავაფარებინე თეთრი სუფრა, ვუთხარი: საქართველოდან ძვირფასი სტუმრები მყავს – სამი პროფესორი და შესაფერისად უნდა დავხვდეთ-მეთქი. ბატონმა სიმონმა ყველანაირად შეგვიწყობ ხელი, რომ რაც შეიძლება, მეტი მასალა წამოგველო იქიდან. სწამდა, რომ იმ მასალებს სინათლეზე გამოვიტანდით, ქართველ მკითხველს გავაცნობდით სავანეში, უცხოეთის ცის ქვეშ მოღვაწეთა ცხოვრებას. უფლის ნებით ასეც მოხდა... ამასთანავე ბატონ სიმონს უნდოდა, რომ ისევ მივბრუნებულიყავით და კვლავ გვემუშავა სავანის არქივში. ეს სურვილი წამოსვლისას გაგვიმუღავნა. გამომგზვრებისას თანამშრომელს რალაცა ანიშნა. ვერ მივხვდი, მაგრამ მალე ყველაფერი ცხადი გახდა. თანამშრომელმა თასით წყალი გამოიტანა და ჩვენს გზაზე დაასხა. როცა ვიკითხე, ეს რას ნიშნავს მეთქი, ბატონმა სიმონმა თვითონ მიპასუხა: გვინდა, რომ ისევ მალე დაბრუნდეთ და ჩვენთან კვლავ იმუშაოთო. ეს მისი მხრიდან უდიდესი პატივისცემის გამოხატვა იყო... სურდა, რომ საქართველოდან ჩასულიყო რაც შეიძლება ბევრი მკვლევარი, რომლებიც იმუშავებდნენ სავანის მასალებზე.

ჩვენი სტუმრობის დროისათვის ბატონ სიმონს სამცხე-ჯავახეთის უნივერსიტეტისათვის უკვე გადმორიცხული ჰქონდა დიდ თანხა. რომლითაც უნივერსიტეტის მეორე კორპუსში სააქტო დარბაზი მომზადდა. ქალბატონმა თინა გელაშვილმა – უნივერსიტეტის რექტორმა, იზრუნა და შესაბამისი ვიდეო და ფოტომასალაც გაგვატანა. ბატონმა სიმონმა როცა ნახა, ძალიან გაუხარდა. მისი სურვილი იყო, რომ დარბაზი მამამისის სახელობის ყოფილიყო. ჩვენი გამომგზავრებისას ბატონ სიმონს ვუთხარი, რომ მამამისის სახელობის დარბაზში სურათის განთავსება გვინდოდა და ვთხოვე უბრალოდ მიეთითებინა, რომელ სურათს ისურვებდა. ერთი წუთით გაირინდა და ჩემდა გასაოცრად მითხრა: აი, ამ სურათს გაგატანთო. მე უხერხულობა ვიგრძენი, ვიფიქრე, სწორად ვერ გადავეცი ჩემი სათქმელი მეთქი. ეს შემამჩნია და გაიმეორა: „მამაჩემი მთელი ცხოვრება სამშობლოს მონახულებას ნატრობდა. ვერ ეღირსა საქართველოში დაბრუნებას, ველარ მოასწრო მისი მონახულება, ამიტომ მინდა, რომ სწორედ ეს სურათი წაიღოთ“. ეს ის სურათი იყო, რომელიც მთელი ცხოვრების განმავლობაში თავის კაბინეტში ჰქონდა და ეთაყვანებოდა. ენით აუწერელი გრძნობა დაგვეუფლა იქ მყოფთ, ყველას თვალზე ცრემლი მოგვადგა... პავლე ზაზაძის სურათმა რალაც განსაკუთრებული ადგილი დაიკავა ჩემს მეხსიერებაში... სურათი საკმაოდ მოზრდილი იყო, თვითმფრინავის საბარგულში ვერ ავიტანეთ იმის შიშით, რომ არ გამტყდარიყო. სალონში მოვათავსეთ. მგზავრები დაინტერესდნენ, რა მოგვქონდა. ქალბატონმა შუშანა ფუტყარაძემ აუხსნა, რომ სტამბოლის ქართულ სავანეში აღზრდილი და დიდი საზოგადო მოღვაწის პავლე ზაზაძის სურათი იყო. მოუთხრო მის შესაებ. კერძოდ ის, რომ ცამეტი წლის ყმანვილი ჩავიდა სავანეში, იქ ისწავლა, იქვე მოღვაწეობდა, საბჭოთა ხელიუფლების დამყარების შემდეგ კი, როცა საზღვარი ჩაიკეტა, ველარ შეძლო სამშობლოში დაბრუნება, მთელი სიცოცხლე ოცნებობდა სამშობლოში დაბრუნებაზე, მშობლების, ახლობლების და მშობლიური სიფლის მონახულებაზე. მის მეხსიერებას განსაკუთრებით დედის სახე და სოფლის წყარო შემორჩა. გასული საუკუნის 90-იან წლებში შესაძლებელი გახდა, რომ სამშობლოში ჩამოსულიყო. როცა ყველა საბუთი მოამზადა და დღე-დღეზე ელოდებოდა გამომგზავრებას, სიზმარი ნახა: მშობლიურ სოფელში იყო, წყაროსთან მივიდა და

წყლის დაღვევა სურდა, მაგრამ წყარო დამშრალიყო. დილით ბატონმა პავლემ ოჯახის წევრებს გულისტკივილით უთხრა, რომ ის ველარ მოესწრებოდა სამშობლოს მონახულებას. შამნუხაროდ სიზმარი აუხდა. იგი სამშობლოში გამომგზავრებამდე რამდენიმე დღით ადრე გარდაიცვალა. ეს ისტორია თვითმფრინავის მგზავრებმა გულგრილად ვერ მოისმინეს. ზოგმა ჩუმად მოინმინდა ცრემლი, ზოგი კი მოურიდებლად ატირდა. როცა ბათუმში აეროპორტში ჩამოვფრინდით და ტრაპზე ჩამოვდიოდით ბატონ პავლეს სურათით, ჩემდა უნებურად ქართული ფილმი „ფესვები“ გამახსენდა და კიედევ ერთხელ აგვიცრემლდა თვალები. მგზავრები გაკვირვებულები გვიყურებდნენ.....ბატონი პავლეს სურათმა – ბატონი სიმონის ყველაზე ძვიფასმა ნივთმა, სამუდამო ადგილი დაიდო ჩვენი უნივერსიტეტის მეორე კორპუსში, თავისივე სახელობის სააქტო დარბაზში.

ბატონი სიმონი სტამბოლის ქართულ სავანეში მოღვანეთა წრეში აღიზარდა. იმ დიდი ქართველების გვერით, რომლებიც მთელი სიცოცხლის განმავლობაში უცხოეთის ცის ქვეშ უსახელოდ და უანგაროდ იღწვოდნენ სამშობლოსათვის. სავანის უმთავრესი მიზანი თურქეთში მცხოვრები ქართველებისათვის ქართველობის შენარჩუნება იყო. სავანეში მოღვანენი ყოველთვის ცდილობნენ ხმა მიენვდინათ სამშობლოში. ეს ის სავანე იყო, რომელმაც 1921 წელს შეიფარა და უმასპინძლა საქართველოდან გაძევებულ ქართულ მთავრობას. ასევე თავის დროზე, შეიფარეს ათენიდან გამოძევებული ქართველი მართლმადიდებელი ბერებიც... წლების განმავლობაში სავანესთან და იქ მოღვანე პირებთან ურთიერთობა შეუძლებელი იყო. ამის შემდგომ პრობლემის წინაშე პირისპირ დარჩა მხოლოდ და მხოლოდ სტამბოლის ქართველ კათოლიკე მამათა სავანე. რისი გადაჭრაც მის ძალებს აღემატებოდა. თუმცა უნდა ითქვას, რომ სავანე თავისი საუკუნოვანი არსებობის მანძილზე (1859-1979წწ.) სხვადასხვა ღონისძიებით ცდილობდა, რომ ახლო ურთიერთობა ჰქონოდა თურქეთში ბედუკუღმართობით გადასახლებულ ქართველებთან. საქართველოს ხელისუფლება კი ყოველთვის ინერტული იყო როგორც სავანის, ისე სტამბოლში მცხოვრები ქართველების მიმართ. ეს კარგად ჩანს სავანის წინამძღვრის **პიო ბალიძის** მიერ ჯერ კიდევ

1949 წელს საქართველოს ხელისუფლებისადმი გაგზავნილ წერილში: „ჩვენ ვართ განწირულნი ერისათვის და სამშობლოსათვის. ნიკოლოზმა სახლის კარი გადგვიზრიზა, მენშევიკებმა ბამბით ყურები დაიცვეს, ნუთუ საბჭოთა მთავრობაც დაგვივინყებს!... გაბედულათ მოვითხოვ იმ უფლების აღდგენას და პატრონობას, რომელიც მეკუთვნის წესიერათ. კონსტანტინოპოლის ქართული მონასტერი იყო, არის და იქნება ქართული სულის მატარებელი, თავშესაყარი ყველა ლტოლვილი და გაჭირვებული ქართველისა, მიუხედავად მისი რწმენისა და პოლიტიკური შეხედულებისა. იგი ფხიზელი დამცველი და დარაჯია ქართული ინტერესებისა. სასურველი იქნება ღირსეულათ შეფასდეს მისი ღვაწლი და ეს პატარა საქართველო უცხოეთში დაცული და შენახული იქმნეს“.. დიახ. პეტრე ხარისჭირაშვილმა სტამბოლის ფერიქოის ქართველ კათოლიკე მამათა სავანის სახით შექმნა ქართული კულტურის, მეცნიერებისა და ქრისტიანული ეკლესიის მძლავრი კერა. დიახ, „იმ პატარა საქართველოს“ დამცველები კი წლების განმავლობაში იყვნენ სავანის წიაღშივე აღზრილნი, მამა-შვილი პავლე და სიმონ ზაზაძეები. სამწუხაროდ, დღემდე საქართველოს ვერცერთმა ხელისუფლებამ ვერ შეაფასა ვერც სტამბოლის ქართული სავანის მნიშვნელობა და ვერც ზაზაძეთა ღვაწლი. მათი აღიარება და შეფასება მხოლოდ მეცნიერთა მიერ მოხდა.

ქართველი მეცნიერების მუშაობა და საერთოდ თანამშრომლობა განახლდა გასული საუკუნის 80-იანი წლების დასასრულს. კერძოდ, პროფესორი შუშანა ფუტკარაძე იყო პირველი მეცნიერი, რომელმაც დაიწყო მუშაობა ქართველ მამათა მიერ დაარსებულ ბიბლიოთეკაში არსებულ მასალებზე და დღემდე სწორედ იგი ხელმძღვანელობს იმ მასალების სისტემატიზაციისა და კატალოგიზაციის საქმეს, რათა მას სრულყოფილი სახე მიეცეს. დღეისათვის ბიბლიოთეკაში გარჩეულია და აღწერილია 90000 ერთეული და დასამუშავებელია კიდევ რამდენიმე ათასი ერთეული. 90-იან წლებში სტამბოლის მამათა სავანის ქართული ბიბლიოთეკა ასევე მოინახულა პროფესორმა გურამ შარაძემ. მან აღნიშნულის შესახებ გარკვეული ინფორმაცია შეიტანა კიდევ ნაშრომის – „უცხოეთის ცის ქვეშ“ მესამე წიგნში. ავტორს მიუთითებული აქვს ბიბლიოთეკაში დაცული ხელნაწერების ვრცელი სიაც. ქართველი მეცნიერების პირველი მასპინძლები იყვნენ ზაზაზეების ოჯახის

ღირსეული წარმომადგენლები პავლე და სიმონ ზაზაძეები. ის ადამიანები, რომლებმაც თავის დროზე დაიცვეს და დღემდე შეინახეს ქართული სიმიდრე.

ბატონი სიმონის ერთადერთი საზრუნავი ის იყო, რომ ამ ქვეყნიდან ისე არ წასულიყო რომ ვერ მოესწრო სავანის მამათა მიერ ფურცელ-ფურცელ შეკრილი და შექმნილი უზარმაზარი და უმდიდრესი ფონდ-არქივის დალაგება და მისი სისტემაში მოყვანა. უფალმა შეისმინა მისი ვედრება. რა თქმა უნდა, მისი უდიესი ძალისხმევით პროფესორებმა შუშანა ფუტკარაძემ და როინ მალაყმაძემ, მეცნიერთა ჯგუფთან ერთად, გასულ წელს დაიწყეს მასალების დახარისხება –კატალოგიზაცია. ეს ყველაფერი არ არის. ქართულმა სახელმწიფომ თავისი ყურადღება და მზრუნველობა უნდა გამოხატოს მის დასაცავად და შესანარჩუნებლად. იმედს ვიტოვებთ, რომ ზაზაზეების ოჯახის ღირსეული მემკვიდრე პოლი, პავლე ზაზაძე– სიმონის ვაჟი მამა-პაპათა საქმეს ღირსეულად გააგრძელებს და მოვლა-პატრონობას არ მოაკლებს „იმ პატარა საქართველოს“.

და კიდევ, სტამბოლში ყოფნის პერიოში ბატონმა სიმონმა მოგვატარა და სათითაოდ გვიჩვენა სტამბოლის ერთ-ერთ სასაფლაოზე დაკრძალული ქართველ მამათა და დედათა სავანეში მოღვაწეთა საფლავები. მათ შორის თავისი მშობლების საფლავებიც. „მეც მათ გვერით დავიდებ სამუდამო ბინასო“, – გვითხრა. მთელი სიცოცხლის განმავლობაში ხომ იქ განსვენებული ყველა ქართველის სასაფლაოს მომვლელიც თვითონ იყო...


ერთ პატარა წერილში შეუძლებელია ყველაფერი გაიხსენო და თქვა ისეთი დიდი ადამიანის შესახებ, როგორიც ბატონი სიმონ ზაზაძე იყო. მისი წერილი მრავლისმთქმელია მკითხველისათვის... მხოლოდ იმას ვიტყვი, რომ მისი გარდაცვალება უდიდესი დანაკლისია საერთოდ ქართველი ერისათვის, სტამბოლელი ქართველებისთვის კი დიდი ეპოქის დასასრული...

უფალმა ნათელში ამყოფოს ბატონ სიმონის სული.

ნატო ყრუაშვილი

„ბიოგრაფია უნდა გქონდეს და იყო მართალი...“

ვაჟა აზარაშვილი - 80 წელს გადაცილებული ხელოვანი. ისტორიისა და თანამედროვეობის ჰარმონიული თანაარსებობის საუკეთესო მაგალითი. ეს ის შემთხვევაა, როდესაც წლების სიმრავლე სიმძიმე კი არა, სიმდიდრეა... ძველებურად მხნე, სიცოცხლით სავსე და გულანთებული. მრავალფეროვანი მუსიკალური ნაწარმოებების ავტორი და მრავალმხრივი შემოქმედი. მისი ბიოგრაფია თითქოს საკუთარ თავთან გაჯიბრებაა. სხვადასხვა უანრში გამოსცადა ბედი და ყველგან შეძლო კვალის დამჩნევა. სიამაყით საუბრობს ადამიანებისა და სამყაროს სიყვარულით გამთბარ მუსიკაზე, რომლის ავტორობას სიცოცხლე უძღვნა. მისმა შექმნილმა ჰანგებმა სიცოცხლეშივე აგრძობინა ავტორის წლებსა და დროზე გამარჯვების გემო...



- ბატონო ვაჟა, თქვენი ფესვები ახალციხეს უკავშირდება, ამიტომ ინტერვიუს თქვენს მოგონებებზე კითხვით დავიწყებთ. არაერთხელ აღგინიშნავთ, რომ პაპა ქალაქის ერთ-ერთ უძველეს უბანში – რაბათში ცხოვრობდა და მამაც იქ დაიბადა. წინაპრების ნაამბობზე დაყრდნობით, როგორი შემოინახა რაბათი თქვენმა მეხსიერებამ და რას უკავშირდებოდა თქვენი ოჯახის ახალციხიდან წასვლა.

მამაჩემი მაშინ 9-10 წლის თუ იქნებოდა. თურქეთთან იყო ომი... პაპა ხშირად ყვებოდა თურქეთთან დაძაბულობაზე. როგორც გითხარით, მამაჩემი იყო 1910-ში დაბადებული. მიყვებოდა, როგორ დასვა პაპაჩემმა მამაჩემი სხვა ოჯახის სხვა წევრებთან ერთად ურემზე და გაუშვა. არ იცოდა, ცოცხლები დარჩებოდნენ თუ არა. ოჯახმა შიშით ბორჯომამდე მიაღწია და იქვე დასახლდნენ. ახალციხიდან არ წავიდოდნენ, თურქეთთან ომი რომ არ ყოფილიყო. მოგვიანებით ჩავედით ახალციხეში. ეს უკვე მეც მახსოვს. იოლი არ იყო იქ მოხვედრა. მაშინ საშვები იყო, ისე არ

გაგიშვებდნენ. ახალციხისა და ადიგენის სამხედრო კომისარი მიშა ბასილა იყო. ისე მოგვიხერხა, რომ ყველანი წავედით - მე, მამაჩემი, ბიძაჩემი, დედაჩემის ძმა. მაშინ პირველად მოვხვდი ახალციხეში. რაბათში ავედით და იქაურობას გავეცანი. ეს იყო 50-იანი წლები, მეორე ნახევარი უფრო. რაბათში რომ ავედით, აქ იყო ჩემი სახლიო, თქვა მამაჩემმა. იქ ერთ კაცს შევხვდით, გვარად ბალიაშვილს, იმან მიგვიყვანა ჩვენს სახლამდე. მიწურები იყო. სახლს დედაბოძი ჰქონია, მესხური. ახლა აქ ჩამოიტანეს მესხური დედაბოძი. როგორც მერე გავიგე, ჩვენი ძირი უდიდან არის. ჩვენ თუთაანთებს გვეძახდნენ. ეგ მე ვიცოდი მამაჩემის ბიძაშვილისგან, პავლე აზარაშვილისგან. ბორჯომში ცხოვრობდა და ისიც იქიდან იყო წამოსული, მან დაწერა ყველაფერი - ჩვენი ისტორია. ჩვენი წინაპრები კათოლიკეები ყოფილან. რაბათი მრავალკონფესიურობით გამორჩეულია. დღესაც ეტყობა უბანს. თანაცხოვრება მაშინ არ იქნებოდა რთული. ყოველთვის იყო საქართველოში ასე. კათოლიკობა იმიტომ მიიღეს, რომ ხელს ვერ ახლებდნენ თურქები. ჩვენ ფრანგებს გვეძახდნენ. კათოლიკეები ომში არ მიჰყავდათ თუ რაღაც ასეთი. ჯერ კიდევ სულხან-საბამ გაამაგრა, წავიდა იტალიაში, მერე ჩამოვიდა აქ და დაწერა ეს ყველაფერი. თავის დროზეც ხომ ურთიერთობისთვის იყო გაკეთებული. რაც მთავარია, კათოლიკეებს ხელს არ ახლებდნენ. გვბოცავდნენ ქართველებს. რაც ჩვენ გვიბრძოლია, მაგრამ რას გავხდებოდით, რამდენი მილიონია თურქი.

- პაპა თუ ჰყვებოდა, ან რაიმე თუ გსმენიათ მაჰმადიან ქართველებთან დაპირისპირებაზე?

ამაზე არასოდეს გვქონია საუბარი. პაპას რიგიანად ვერ მოვესწარი. მახსოვს, რომ დაკრძალვა ბორჯომში იყო. პატარა ბიჭი ვიყავი. ბებიაც ერთი-ორჯერ ვნახე გურიაში. ვიცი გადმოცემით, რომ მაჰმადიანები ძალიან მძიმე ხალხი იყო.

- ბატონო ვაჟა, ახალციხიდან წასულები ბორჯომში დასახლდნენ. რამე მიზეზით აირჩიეს ბორჯომი, თუ ეს შემთხვევითობის შედეგია?

მეტი ველარ წამოვიდნენ. ბავშვები ბევრი ჰყავდა - სულ 10 შვილი. ზოგი მერე გაუჩნდა, ბორჯომში. სად წახვალ ამხელა

ოჯახით. მშვიდობიანი იყო ბორჯომი და იქ გაჩერდნენ. მერე მამაჩემი წამოვიდა თბილისში. სწავლობდა სამშენებლოზე, მერე კონსერვატორიაში. კარგი ბას-ბარიტონი ჰქონდა. მიხალსკაია იყო მისი პედაგოგი. დიპლომი აღარ აუღია. მე გავჩნდი, გაუჭირდა ცხოვრება. ქართული ცეკვისა და სიმღერის ანსამბლის წევრი იყო. ამ ანსამბლს სანდრო კავსაძე და ვალერი ცაგარეიშვილი ხელმძღვანელობდნენ. მოგვიანებით მამამ ინჟინრობას მოჰკიდა ხელი, მაგრამ სიმღერისთვის თავი არ დაუნებებია. მარო თარხნიშვილის ანსამბლში მღერას აგრძელებდა. ბიძაჩემი, დედაჩემის ძმაც, ძალიან ცნობილ გუნდში მღეროდა. ჯერ ვასო მახარაძე იყო ხელმძღვანელი - ცალხელა კაცი, ძალიან ცნობილი გუნდი იყო. შეიკრიბებოდნენ, სამი გამორჩეული დღე იყო მაშინ - ახალი წელი, შვიდი ნიემბერი, პირველი მაისი. ამ დღეებში სიმღერა აუცილებელი იყო. მამაჩემი, ბიძაჩემი და მიშა ბასილა რომ ვთქვი კომისარი, ის გურული კაცი იყო, ხუმობა უყვარდა. ომის მერე განა რა გვექონდა საჭმელი - თითო თავი ხორციანი რაღაცა, ლობიო, მჭავე, მჭადი, ყველი, ბებიაჩემის გამოგზავნილი (გურულები ხომ იცით, აგზავნიდა ჯაჭვებიან არაყს გურიიდან და ღვინო ყოველთვის კარგი იყო) და ლობიო, მორჩა. სად იყო ტელევიზორი, მერე შემოვიდა.

მთავარი ურთიერთობები იყო. ჩემი დეიდაშვილი, მართალია, თბილისში ცხოვრობს, მაგრამ გაიზარდა საგურამოში. მახსოვს, იქ ხშირად ჩავდიოდი, სახლი ახლაც გვაქვს. მე, ჩემი დეიდაშვილი ბადრი კილაძე და რეზო, მიშა ბასილას შვილი, ექიმი. ახლაც ხშირად ჩავდივართ ხოლმე საგურამოში. პურმარილი მე მიმაქვს, იმას ღვინო აქვს და დავსხდებით და ვიგონებთ ჩვენი მშობლების ამბავს. იქ ვიგონებთ ხოლმე, როგორი ნათესაობა, სიყვარული გვექონდა. ახლაც შევპირდი, იმ კვირას უნდა წავიდე.

- ცნობილია ფრიდრიხ ნიცშეს გამონათქვამი: „ვისაც არ ჰყავს მამა, უნდა იყოლიოს“. რაც ხაზს უსვამს მამის განსაკუთრებულ მნიშვნელობას ოჯახში. როგორ დაგვიხატავთ მამის პორტრეტს და თუ აღმოგიჩენიათ თქვენს ხასიათში მამისეული ბუნების მემკვიდრეობა, ხედავთ მსგავსებას მამასთან?

ეტყობა კათოლიკეობის ბრალია, რომ მამა ძალიან მშრომელი იყო. ეს მეც გადამედო. სამსახური ეწყებოდა 10 საათზე, შვიდზე მიდიოდა. სად მიდიხარო, რომ ეკითხებოდნენ, ჩემი საქმისა მე ვიციო, უპასუხებდა. ძალიან პასუხისმგებელი იყო. მეც ხშირად ვზივარ და ჩართული ვარ სრულად. მუსიკათმცოდნე მარინა ქავთარაძემ ერთხელ ჩემზე თქვა: ეს კაცი გაორებულია. ერთი მხრივ, ბოჰემაა, მოქეიფე, სიმღერებიც შესაბამისი აქვს - „სიმღერა მთელი ჩემი ქონება“, „პატარა გოგო“, მიდი, მოდის, ქეიფობს. (მართლაც, მე და მერაბ დონაძე სულ ვქეიფობდით. გვპატიჟებდნენ, ბევრსა ვსვამდით. ამასთან, სერიოზულიც ბევრი მაქვს, კამერული მუსიკა, ბალეტი, სიმფონიური მუსიკა). აქვე ისეთი პედანტია, პირდაპირ საკვირველიაო, - აღნიშნავდა ქალბატონი მარინა. ბალანჩივაძემ თქვა ადრე, მიკვირს, კაცო, ეს კაცი ვიოლანჩელოს კონცერტს წერს და აქვე გვერდზე „დინამოს“ ქმნის. რანაირად აკეთებს ამასო. ვფიქრობ, აქ ძირითადი შრომაა და ალბათ გენებიც თავისას შვრება. მუსიკის ნიჭი რომ დამყვა, გასაკვირი ამაში არაფერია. მამაჩემზე მოგახსენეთ, დედის მხრიდან ბიძა ქართული ხალხური სიმღერების გუნდის მომღერალი იყო. გურიაში რომ ჩავდიოდი, ბაბუაჩემი ჩონგურზე დაამღერებდა და ჩვენც გვამღერებდა.

დიტო ცინცაძე ძალიან კარგი პოეტი და მუსიკოსია, ჩემი ქალიშვილი ნათია - კარგი კონცერტმეისტერი. დამთავრებული აქვს ეკონომიური წარჩინებით, ახლა არის ოპერის ერთ-ერთი წარჩინებული კონცერტმაისტერი. ჩემს ნაწარმოებებს სულ ეგ უკრავს. მე მაქვს დაწერილი რვა მუსიკალური ციკლი კიდევ. დავწერე შოთა ნიშნიანიძის ლექსებზე. ეს სულ კამერული მუსიკაა: იოსებ გრიშაშვილის „თეატრალური ნიღბები“, მორის ფოცხიშვილის „პოეტის აღსარება“. მორისის ლექსებზე ძალან ბევრი მაქვს დაწერილი. ასევე ანა კალანდაძის შემოქმედებაზე და ბოლოს დავწერე ტარიელ ჭანტურიას ლექსზე, მაგას ხომ იცით, როგორი ლექსები აქვს. თემურ გუგუშვილი მღერის (ძალიან ძლიერი ტენორია, ახლა ხაინდრავას მაგივრად აიყვანეს, ნამდვილად კარგი კაცი მოკვდა), რვა ციკლი მაქვს დაწერილი ვოკალური. ახლა ვმღერი და საავტორო რომანსები გამოვეცი. ბარათაშვილის ლექსებზე შვიდი რომანსი მაქვს დაწერილი. ილიას, ვაჟაფშაველას, სხვების და სხვების, მათ შორის თანამედროვე

პოეტების ლექსებზე, მაგრამ, უდიდესი ნაწილი, როგორც გითხარით, მორის ფოცხიშვილის ლექსებია. მუსიკა პეტრე გრუზინსკის ლექსზე „სიმღერაა მთელი ჩემი ქონება“, მანქანაში დავწერე, გზაში. ჩემი მეუღლისაც არის. მორისისა „დინამო“ და სხვა ბევრი. ნანისთვის მაქვს ბევრი დაწერილი, „ისევ წვიმს“, „მღერის“, „მიდიან“. ორერასთან - „ხევსურული ბალადა“, „ხევში ოქროს ხოხობივით ჩაფრენილან“, „ბიჭოვ“ ეთერ კაკულიას დავუწერე „მზე ჩემი მეგობარია“ და მერე 15-16 სიმღერა. ჩოხელმაც იმღერა ეს სიმღერა, ბევრი დავუწერე თამარ გვერნი-თელს, მაგალითად, „მუსიკა მოთქმაა“, ექვსი აქვს ნამღერი უკვე. მერე ბუთხუზი გამოჩნდა ბასილია, ანსამბლი „ივერია“. კონსტან-ტინე ტერზერი არ შემიძლია არ აღვნიშნო. მომღერალი უამრავი... ნანი ბრეგვაძე კურსელია, გივი გეგელიას უმღერია ჩემი სიმღერე-ბი, სულიკო კოროშინაძეს, ნანული აბესაძეს, ნიკლაურს, კვაშალს, ახლა მღერიან ახალგაზრდები: სოფო გელოვანი, ოთო ნემსაძე, გიორგი სუხიტაშვილი, სოფო ხალვაში, თიკა მახალდიანი, სოფო ბედია. კონცერტი მქონდა. ვარსკვლავი გამიხსნეს. ნათიამ გამწია გვერდით, თვითონ შეადგინა პროგრამა და თვითონ აირჩია ახალგაზრდები.

- მუსიკას ბავშვობიდანვე ეზიარეთ. ბავშვმა იგრძენით, რომ მუსიკა თქვენი საქმე იყო. თუ გქონდათ ხელშეწყობა, დედისერთა ხართ და იყავით განებივრებული ბავშვი?

არა. განებივრებული არ ვიყავი. ჯერ ერთი, ომი, შიმშილი იყო. მამაჩემი დაკარგული იყო. ერთხელ მახსოვს უზომო ბედნიერება, სიხარულის ცრემლებით ვტიროდი. გეტყვით რატომ. მამა ტყვედ იყო. მახსოვს, 1946-ში ძველით ახალი წელი იდგა. არდადეგების დრო. დედამ დეიდასთან წამიყვანა, მთაწმინდაზე ცხოვრობდა. დედაჩემი სამსახურში იყო. იმ ეზოში, სადაც ჩვენ ვცხოვრობდით, დედაჩემის დეიდა ცხოვრობდა. მარჯანიშვილის 49 ნომერში, ისინი კარგი, შეძლებული მცხოვრებლები იყვნენ. ჭიათურაში ორი მა-დანნი ჰქონდათ. დედა უფროსი შვილი იყო. დედაჩემი მან წაიყვანა ქუთაისში და დაამთავრებინა წმინდა ნინოს გიმნაზია.

მამაჩემი ჩამოვიდა 46 წელს. გამოუშვეს: არ გინდათ წასვლაო? როგორ არ უნდოდა, კაცო. წესიერი კაცი იყო. გადაასახლეს ქვეყნიდან, ჩვენ ხელი არ მოგვკიდეს. თბილისში ჩამოსული მამა სახლში არ მოვიდა. ფიროსმანზე მივიდა გაიანე აზარაშვილთან, ბიძაშვილთან. უთქვამს, რა ვიცი, ჩემზე არაფერი არ იციან, რომ დავადგე თავზე, იქნებ გათხოვილიაო. ლამაზი ქალი იყო დედა. ასეთი დიდებული ბუნება ჰქონდა.

- მამა დიდხანს იყო დაკარგული?

ომი 45-ში დამთავრდა. გამოდის, თითქმის ნახევარი წელი დაკარგული იყო. თურმე იქ მუშაობდა რალაცაზე. მოყოლილი აქვს ცოტა რამ. უნდა დაეხვრიტათ, მაგრამ ნახეს, რომ არ იყო ებრაელი. როგორც გითხარით, ჩამოვიდა 14 იანვარს. ახალი წელი იყო. მოვიდა გაიანე, შალიკო ჩემთან არის, ცოცხალიაო. მეზობლები შეიყარნენ. სად დატოვე კაცო, რატომ არ წამოიყვანეო, - ეჩხუბა დეიდაჩემი. დედაჩემმა იფიქრა, ალბათ, ხელი ან ფეხი არა აქვსო. მარჯანიშვილის 49 ნომრიდან ფიროსმანის ქუჩა მაინცდამაინც ზევით არ არის, სულ 20 წუთი უნდა, ფეხით რომ წახვიდე. საღამოს ერთი ბოთლი ღვინო ავიღეთ და მე და დეიდაჩემიც ჩამოვედით სახლში. დაახლოებით 9-10 წლის ვიყავი. ცრემლები მომადგა. ვტიროდი და არ მრცხვენოდა, ეს ბედნიერების ტირილი იყო. მოგვიანებით ჩელოს კონცერტი მამის ხსოვნას მივუძღვენი. ვფიქრობ, ერთ-ერთი ყველაზე საუკეთესო ნაწარმოებია. დედაც რომ გარდაიცვალა, თემურ ნიკლაურმა იმღერა მორისის ლექსზე დაწერილი სიმღერა „დედა“. მახსენდება, მივდივართ ბათუმში. ჩართული მაქვს ჩემი სიმღერები, დისკებს ვუსმენთ. ჩვენს სოფელში, ჯუმათში რომ მივედი, სწორედ იქ არ მოხვდა ეს სიმღერა დედაზე? გადავირიე. მძიმე დროს, ფაქტობრივად თქვენი ბავშვობა დაემთხვა ომს. ვიოლინოზე მამაჩემს ჯერ უარი ვუთხარი, მერე დავინწყე დაკვრა იმიტომ, რომ პიანინო არ გვექონდა ჩვენ. ნოტები რომ მქონოდა, დახეულ ნოტში ხანდახან დედაჩემი 100 მანეთს აძლევდა. გვიჭირდა, მაგრამ კიდევ კარგი, გაუმართლა.

- პროფესიად მუსიკოსობა აირჩიეთ, მიიღეთ სათანადო აკადემიური განათლება. არასდროს გიფიქრიათ სხვა სპეციალობაზე, თითქოს თავად მუსიკამ აგირჩიათ თქვენ. რას გვეტყვი, რატომ?

იცით რატომ? მისმინეთ, პირველი მიზეზი, ცხადია - გენებია. მეორე - გარემო. მეოთხე კლასში რომ ვიყავი, არსებობდა თბილისის ორკესტრის სკოლების გაერთიანება, სიმებიანი ჯგუფი ვიოლინოსი. დავჯექი და ჩემი პარტია დაუუკარი, იქიდან ბახს ვუკრავთ, მოცარტს. რა კარგია, არ დავანებებ თავს-მეთქი, ვამბობდი. იქ გავიცანი ელდარ ფხაკაძე. რატომ აცდენ გაკვეთილებს, თუ მოგწონს, რატომ არ მოდიხარ გაკვეთილებზეო. დავინყე მეცადინეობა. მეშვიდე კლასში ჩემი პედაგოგი იყო ფილა გორემბურგი. მეუბნებოდა, თუ არ იმეცადინე, შვიდწლელი იყო მაშინ, მხეცი შეგჭამსო. მე და მხეცმა ხუთები მივიღეთ. მერე ტექნიკუმში ჩავაბარე. მეორე კურსზე ვიყავით მე და ნუგზარ ვანაძე, ის თეორიტიკოსია, მე მევიოლინე. შევედით ქსენია ჯიქიასთან, დირექტორთან და ვუთხარით, რომ მუსიკას ვწერთო. ძალიან სერიოზულად მოეკიდა ამ საქმეს. თქვა, რეზო რომ მივიყვანო, ლონდარიძე, ამათ გაალოთებს, მოიყვანა შურა (ალექსანდრე) შავერდაშვილი. რუსული აღზრდა ჰქონდა. არ გვაქებდა. თუ გვეტყოდა „ნი პლოხა“, ეს შექება იყო. სწავლების მესამე წელს გვითხრა: „ვი ზნაინე, ვი დალჟნი დან კანცერტ ვ კანსერვატორიი“. გავგიჟდით. თითო განყოფილება. გავსებული იყო დარბაზი, მე მქონდა გრიმაშვილის ლექსზე „რა კარგი ხარ“ რომანსი და „იავნანა“, ორივე ბისზე გაიმეორეს. ყველამ იცოდა, რომ მეოთხე სასწავლებლიდან მოდიოდა ორი ძლიერი კომპოზიტორი - მე და ნუგზარი.

- თქვენ გაიხსენეთ ადამიანები, რომელთანაც როგორც ახალგაზრდა შემოქმედს გქონდათ ურთიერთობა. როგორი იყო კავშირი ძველსა და ახლ თაობას შორის. გრძნობდით „მამათა და შვილთა ბრძოლას“, თუ ხელოვნების სამყაროში ურთიერთობებს სხვა კანონზომიერებები განსაზღვრავს?

კონსერვატორიაში ჩვენ, მე და ნუგზარ ვანაძე სხვადასხვა ლექტორთან მოვხვდით, მე - ტუსკიასთან, ნუგზარი - ბალანჩივაძესთან. მეორე კურსზე ვიყავით, როდესაც კომპოზიტორთა კავშირში გამოცხადდა კონკურსი რომანსებზე. ხუთი პრემიიდან სამი მე ავიღე. ეს იყო ბარათაშვილის „მაღლი შენს გამჩენს“ (ძალიან პოპულარულია ახლაც), ილიას „მძინარე ქალი“, ვაჟას „ღამე მთაში“. მერე შვიდი რომანსი დავწერე. ბევრი პრემია მაქვს მიღებული. როგორც გითხარით, რვა ვოკალური ციკლი მაქვს, შვიდი ოპერეტა. ბოლოს გიგა ლორთქიფანიძემ დადგა „მეჩქემე გაბო“. ბადრი ბეგალიშვილი იყო მეჩქემე, უნიჭიერესი კაცი. ქუთაისის მოცეკვავე, საბალეტო დაამთავრა. ბექა მონავარდისაშვილმა მთხოვა, რამე დამეწერა. ვუთხარი, რომ ჯერ არ ვარ მზად ბალეტისთვის, მერე ერთხელაც დავეთანხმე. ორი თემა გვქონდა. ერთი იყო „ხევისბერი გოჩა“, მეორე - „მედეა“. მივედით ოთარ თაქთაქიშვილთან. უნდა აღინიშნოს, რომ ეგეთი განათლებული კაცი მეორე არ გვყავდა, დიდი კომპოზიტორი იყო. ახლა თუ არის „აბესალომი და ეთერი“, „დაისი“, „ქეტო და კოტე“, მეოთხე ოპერა არის „მინდია“. კარგიო, გვითხრა, „ხევისბერი გოჩა“ იყოს, ეროვნულიაო. დავწერე. სექცია იყო საოპერო-საბალეტო. სულხან ცინცაძე იყო ხელმძღვანელი. რომ გავიტანე დაწერილი მუსიკა, დაუკრეს ფორტეპიანოზე, სულხანმა მითხრა, გუგუას და ძიძიას აქტი გაზარდეო. ოთხ ადგილას მაქვს გაზრდილი გუნდი.

კონკურსი გამოცხადდა სონატებზე. ჩემი სონატა მაჭავარიანს მოეწონა ძალიან. ერთი პრემია გასცეს და მე მომცეს. მერე ეს სონატა დაუკრეს მოსკოვში, პეტერბურგში. ძალიან მაგარი იყო ნიდერლანდები, მერე წავიდა ჰოლანდიაში, სვერდლოვსკში, რიგაში, ყველგან უკრავდნენ ამას. მოსკოვმა გამოსცა კიდეც. როგორც კი გაეცნო მოსკოვი ჩემს ნაწარმოებებს, საკავშირო კულტურის სამინისტრო ხელშეკრულებას მიდებდა უმაღლესი მეოთხე შკალით. კომპოზიტორმა ოთარ თევდორაძემ მითხრა, მოსკოვში არის ყრილობა საკავშირო მუსიკალური, აქა გაქვს ნოტებიო? მე ვუთხარი, მაქვს-მეთქი. ახლა მივდივარ დიდ კომპოზიტორთან გივი გომმანთან და წამოიღეო. წავედით. ეს ძალიან ნიჭიერი კაცია, - ჩემზე ეუბნება ოთარი, დაგიტოვებთ ნოტებს და გთხოვთ, რომ მიაქციოთ ყურადღებაო. იმდენი რამე დაბეჭდეს ჩემი. ხომ შეიძლება, ოთარს არ გაეკეთებინა ეს. კარგი კაცი იყო.

გოგი რომ გარდაიცვალა, ცაბაძე, მე და მორისმა დავნერეთ სიმღერა. ხსოვნის საღამოზე შოთა მილორავამ დამიკრა და მე ვიმღერე. ასეთი დიდებული ადამიანები იყვნენ. ჩემზე ფილმია გადაღებული და იქ ვამბობ, რომ მე გამიმართლა-მეთქი, რომ უმცროს მეგობრად მიმიღო იმ თაობამ.

- ამბობენ, რომ მუსიკას ენა არა აქვს და საყოვლთაოა. არც თარგმანი სჭირდება. სიმბოლურად რომ ვიკითხოთ: ეროვნება თუ აქვს მუსიკას? თუ გიგრძენიათ ქართული ჰანგების უნიკალურობა და თქვენმა ქართულმა წარმომავლობამ რა შესძინა თქვენს შემოქმედებას?

ჩვენ გვაქვს გენიალური ქართული ხალხური სიმღერა. ძალიან ორიგინალური. ამიტომ ამის მიღმა წასვლა არ არის სწორი. მე არ ვამბობ ციტირება. თუმცა, მაქვს რალაცები ციტირებული. როცა შენ ამას გადაამუშავებ, შენს სტილს გამოიმუშავებ და ინტონაციები, ჰარმონიები, რალაცები გაქვს შენებური, ეს უკვე გენია, კოლორიტულია, პროფესიონალურად მაღალ დონეზეა. ბევრი თანამედროვე მსოფლიო დონის მუსიკოსის შემოქმედება მაქვს მოლმენილი, ძალიან მაღალი დონის ხელოვნება იქმნება. ყველა მათგანს აქვს თავისი გამორჩეული სტილი და ეს მათი ეროვნულობიდან იწყება.

- ბატონო ვაჟა, როდესაც თქვენს მუსიკაზე შექმნილ სიმღერებზე საუბრობთ, ყოველთვის აღნიშნავთ ვის ტექსტზეა დაწერილი. დავიმონებთ მათა გოგხაძის სიტყვებს: „მუსიკა სიტყვას ფრთებს ასხამს და უფრო მღელვარეს ხდის, სიტყვა კი მეტ განსაზღვრულობას სძენს მუსიკას. ამიტომ არის, რომ სიტყვა და მუსიკა მუდამ შერწყმისკენ მიისწრაფვიან“. თქვენი შეფასებით, რა როლი აქვს სიმღერაში ლექსს და თქვენს მუსიკას ლექსის რიტმს არგებდით თუ პირიქით?

მე ბეთჰოვენი მიყვარს ძალიან, მუსიკის ფენომენი ის არის. რაც შეეხება თქვენს კითხვას, საქმე ორნაირად არის. არსებობს მუსიკა და მასზე იწერება ლექსი. მე მქონდა მუსიკა, რომელზეც მორისმა დაწერა ტექსტი. მაგალითად, „დინამო“. არ ვიცოდი

„დინამოზე“ რა მექნა, არ მიძინია ღამე: ლექსი არ მაქვს, რა ვქნა. მეორე დღეს მივედი მორისთან, დაინწერა ტექსტი. ბუთხუზ ბასილაიამ ჩაწერა „ივერიასთან“ და შეიქმნა „დინამო“.

არის ფილმი „გაუმარჯოს ქართულ ფეხბურთს“, რომელმაც პირველი საპრიზო ადგილი აიღო საერთაშორისო დონეზე. მახსენდება, მორისთან ვართ სახლში. როიალი ჰქონდა მორისს. მაშინ ჩივაძე იყო „დინამოს“ კაპიტანი. რეჟისორმა მითხრა, სიუჟეტია ასეთი: თამაში დამთავრდა. ჩივაძე ჯდება გასახდელში დაღლილი, ფიქრებს მიეცემა, აქ მინდა სიმღერა კაპიტანზე, ნელ-ნელა ტიტრები გამოჩნდება და მთავრდება ფილმიო. დავფიქრდი, ტექსტი არ არის, დავჯექი და დავუკარი. მორისმა ლექსი დანერა. ნიკლაურმა იმღერა, ბუთხუზ ბასილაიას არანჟირება ეკუთვნის და შეიქმნა „ქართულ ფეხბურთს თამაშობენ ქართველები, გიხაროდეს კაპიტან“. ასეც ხდება.

მყავდა უფროსი მეგობარი მამია ჩორგოლაშვილი. მწერალი იყო, ესეისტი, ლექსებსაც წერდა. მძიმე დრო იყო ძალიან. ფული არ გვქონდა. მარტო მეტრო მუშაობდა, ვის ჰქონდა ტაქსის ფული. დიღომში ცხოვრობდა. ერთი ბოთლი ღვინო ვიშოვეთ, მივედით. დავსხედით და დავლიეთ. გადმოიღო ლექსები: „**სოხუმი ისევ გულში გვიხუტებს**“. სოხუმი უკვე დაკარგული იყო. ოთახში შევედი, ჩავიკეტე. პიანინო ჰქონდა და იქ დავწერე ეგ სიმღერა. მე და მერაბ დონაძე ვმღეროდით სოლო კონცერტზე. მას ჰქონდა გოგონათა კვარტეტი და ისინიც მღეროდნენ. ასეც ხდება, ზოგჯერ ლექსი მოდის ჯერ.

- თქვენი შემოქმედება ჟანრობრივი მრავალფეროვნებით გამოირჩევა. მუშაობთ როგორც მიუზიკლზე, ისე სიმფონიურ, კამერულ-ისტრუმენტულ და საესტრადო მუსიკაზე. კრიტიკოსები შემდეგნაირად აფასებენ თქვენს ნაწარმოებებს: „მის შემოქმედებით ინდივიდუალობას იშვიათი გულწრფელობა, ნატიფი გამომსახველობა და თვითგამოხატვის თავისუფლება განსაზღვრავს. ვაჟა აზარაშვილი წერის ტრადიციულ მანერას ოსტატურად უთავსებს თანამედროვე გამომსახველობით საშუალებებს“. ყველა ჟანრთან დაკავშირებით თქვენი აზრი საინტერესოა, მაგრამ განსაკუთრებით მინდა გკითხოთ მუსიკალურ კომედიასზე...

პირველი ჩემი მუსიკალური კომედია „მერცხლების ბალადა“, დაიწერა 1949 წელს. თეატრი მოსკოვში წავიდა გასტროლებზე. სიუჟეტი იყო ასეთი. მასიმო იყო ჩამოსული, მთავარი რეჟისორი, რომ მოისმინა ყველაფერი, მუსიკის გამო ეს უნდა წავილეთო, - თქვა. კარგი დირექტორი ჰყავდათ, შანიძე. მსახიობებიც არაჩვეულებრივები იყვნენ: ჩოხელი გინდა, თინა მერკვილაძე, უნიჭიერესები. კომედია კარგად გავიდა, მოეწონათ იქ. მაშინ დავუახლოვდი ნოდარ პიპინაშვილს, გოგას მამას. დავსხედით ზაპოროჟეცში, თბილისამდე დაბრუნდებოდა თუ არა, არავინ იცოდა. დავსხედით მე და ნოდარი და კიდევ ერთი, წავედით ბიძამისთან, ევპატორიაში ჩავაკითხეთ, ღვინო წავიღეთ. გაუხარდა იოსკას. ის მღეროდა მხოლოდ თბილისურ ძველ სიმღერებს. ახლა გვინდა, წავიდეთ და გაჩნდა ქოლერა. ვუთხარი, ახლა თუ არ წავედით, კარანტინში მოვხვდებით და დედა გვეტირება-მეთქი. დავიძარით თბილისისკენ. მოვდივართ რამდენიმე დღე გზაში. ამ კაცის ნამღერი ქალაქური სიმღერები სულ ყურში მიტრიალებს. ვერ მოვისვენე და ჩემი მელოდიით დავწერე. „ორერა“ ახალ პროგრამას ამზადებდა და პეტრე გრუზინსკის სახლში დავუკარი. იქ იყვნენ რობერტ ბარძიმაშვილი, უნიჭიერესი კაცი, მართალია, განათლება არ ჰქონდა მუსიკალური, მაგრამ ფენომენალური ნიჭი ჰქონდა, კიდევ არ არის დაფასებული სათანადოდ. მოიმინეს ნანი ბრეგვაძემ, პეტრემ, ცოტა აღმოსავლურია, მოდი, რაღაც ვქნათო და მოიგონეს სიუჟეტი. ნანი იყოს აზერბაიჯანელიო, იმ მანერით მღერის ნანი. ეს არის „სიმღერაა მთელი ჩემი ქონება“, მანქანაში დაწერილი. მე არასოდეს არცერთ ჟანრს უპირატესობას არ ვანიჭებ. ნასიძე ამბობს ფილმში, ეს კაცი, ყველაფერს ერთნაირი სერიოზულობით უდგება, დაწყებული სიმფონიით, დამთავრებული უბრალო სიმღერამდეო.

- კონსერვატორიაზე მინდა გკითხოთ. 2017 წლის 1 მაისს ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიას 100 წელი შეუსრულდა. თქვენ ხართ კონსერვატორიის სტუდენტიც და პროფესორიც.

ვიყავი. ასპირანტიც ვიყავი.

- სახელოვნებო უმაღლესი სასწავლებლის საქმიანობაც და მნიშვნელობაც განსხვავებულია. თქვენი შეფასებით, რა როლი აქვს კონსერვატორიას ქართველი მუსიკოსების აღზრდაში და ასევე პირადად თქვენი, როგორც პროფესიონალის ჩამოყალიბებაში?

მე სასწავლებელში ძალიან დიდი ფუნდამენტი მივიღე ალექსანდრე შავერზაშვილის ხელმძღვანელობით. მე და ნუგზარი დავდიოდით სიმფონიურ კონცერტებზე, ვისმენდით. მერე ნოტებს წავიღებდით, ვაანალიზებდით, როგორ არის გაკეთებული ფორმა. თუ გაორკესტრებულია, როგორ არის გაორკესტრებული. თუ არ იყო სიმფონიური მუსიკის კონცერტები, ოპერაში დავდიოდით. ცხადია, რალაცას მოისმენ, რალაც გინდა დაწერო, ცნობილი უანრი, რომ გაამდიდრო შენი არსენალი. ასე დაიწერა ბევრი რამე. 11 წელი ვიყავი კონპოზიტორთა კავშირის თავმჯდომარე. ვიყავი წადგენილი რუსთაველის პრემიაზე. როცა დაიწყეს ბორჯომის სახლის წართმევა, შეგნებულად გავწელე პრემია. იმ მთავრობას ძალიან ვლანძღავდი. პრემია არ მომცეს, ცხადია. კონსერვატორიის პროფესორი ვიყავი და იქიდანაც გამომიშვეს. ჩემზე 8-9 წლით უფროსები დატოვეს, შავ სიაში ვიყავი, ალბათ, მაგრამ ეს პრემია მაინც მივიღე. მიშამ მაინც ჩამოგვაჭრა მესამედი თანხა და დაურიგა ვილაცებს. ასე, რომ დიდი ხანია, სახლში ვარ. მადლობლები ვართ ბატონი ბიძინა ივანიშვილის მეოხების. 10 წელია, გვეხმარება. მე შევქმენი ჯგუფი. ადრე სხვა იყო, მერაბ დონაძე გვყავდა, მერაბი აღარ არის. მე ვმღერი ჩემს სიმღერებს, ცალკე მღერის ზურაბ კობეშავიძე, მერე ერთად ვმღერთ, ზურაბის რამდენიმე სიმღერა ჩემმა მეუღლემ დაწერა. ჩემმა მეუღლემ დაწერა პატრიარქზე სიმღერა და იმასაც ასრულებს. გვყავს კიდევ ლადო ხელაშვილი. იუმორისტი. ეს ოთხი კაცი ვართ. მთელი იმერეთი მოვიარეთ, ბორჯომში მქონდა კონცერტები. ვიყავით წალენჯიხაში. ახლა განახლდება.

- თქვენი წიგნი, რომელიც თქვენი მეგობრის დემიკო ლოლაძის თანადგომით დაიწერა, დაასათაურეთ შემდეგნაირად: „უკან მოხედვის არ მეშინია“. წიგნი მკითხველს საკმაოდ სრულყოფილად წარუდგენს თქვენს პიროვნებას. ამდენი ორომტრიალისა და რთული პერიოდის შემდეგ, როგორ მოახერხეთ, გაგველოთ ცხოვრება ისე,

რომ უკან მოხედვის არ გეშინიათ? გქონდათ თუ არა მთავარი ღირებულებები, რასაც უფრთხილდებოდით, ვერ და არ გადააბიჯებდით?

ალბათ პატიოსნება. მე კომპოზიტორთა კავშირში ვიყავი. მოადგილედ ჩემივე მიყვანილი ქალი, გაბუნია მაბრალეზა, რომ ბორჯომის სახლის ერთი სართული გავეყიდე, დღესაც პროკურატურაში არის საქმე.

- მთავარი, ფიქრობთ რომ პატიოსნება იყო. აქვე გკითხავთ, თქვენი შემოქმედების ძირითადი ნაწილი უკავშირდება იმ დროს, რომელსაც ჩვენ საბჭოთა პერიოდს ვუწოდებთ. არსებობს ამ ეპოქის სხვადასხვაგვარი შეფასება, იყო იდეოლოგიური წნეხი, მაგრამ თქვენ მაინც ქმნიდით. საბჭოთა პერიოდში რომ არ გეცხოვრათ, სხვანაირი იქნებოდა თქვენი შემოქმედება? როგორც ხელოვანი, იყავით თავისუფალი?

თავისუფალი ვიყავი, რა თქმა უნდა. გამოვიდა ზუმბა, მაშინ მიშას მთავრობა იყო და განაცხადა, ძველი კომპოზიტორები ვერ გამოვიდნენ კომუნისტური აზროვნებიდანო. მე ვუთხარი, გაიმეორე-მეთქი. ჯერ ერთი, მე კომუნისტი არ ვყოფილვარ, უპარტიო კაცი ვიყავი. სწორედ კომუნისტების დროს იყო შოსტაკოვიჩი, ბალანჩივაძე, შველიძე და სხვა. კომუნისტების დროს დავწერე სიმღერა მამის ხსოვნაზე, რომელსაც ყველგან უკრავენ, რა შუაშია ეს და საერთოდ, რა გინდათ-მეთქი.

- თქვენ ყოველთვის ხაზს უსვამთ, რომ ხალხის სიყვარულზე მეტი სიმდიდრე არ გაგაჩნიათ, იყავით იმ კომისიის წევრი, რომელიც ერთსქესიანთა ქორწინებას ეწინააღმდეგებოდა. მოაწერეთ ხელი, რომ წიგნი - „მე და საზოგადოება“, არ შესულიყო სკოლებში და ახალგაზრდა თაობა ჯანსაღად გაზრდილიყო.

თუ დააკვირდები, ჯერ ამ გოგოებმა არ უნდა ჩაიცვან ასე გატიტვლებულად. თვალს გავაყოლებ. მე თუ გავაყოლე თვალი, კაცი ვარ. ბოდიში თქვენთან და პრეზერვატივზე ჰქონდათ მსჯე-

ლობა. რა არის ახლა ეს. ან კიდევ ერთსქესიანებთან დაკავშირებით. ვერ გამიგია - არ გცემენ, არ გიჭერენ, რა კანონი გინდა, შენი სიგლაზე უნდა აჩვენო, კაცო, ქვეყანას? მეტი საქმე აღარა გვაქვს? არადა, რამდენი პრობლემა გვაქვს!

- ხართ უამრავი პრიზისა და პრემიის მფლობელი, დაწყებული საქართველოს კომკავშირის პრემიით, შემდეგ მინისტრთა საბჭოს პრემია, გოგებაშვილის სახელობის პრემია, ზ. ფალიაშვილის სახ. პრემია, სახელმწიფო პრემია, ხართ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე, საქართველოს სახალხო არტისტი, ღირსების ორდენის კავალერი, თბილისისა და ახალციხის საპატიო მოქალაქე, გახსნილია თქვენი სახელობის ვარსკვლავი და სხვა. როდის იღებ ადამიანი იმის უფლებას, რომ საზოგადოებას ელაპარაკოს. ამის უფლება ყველას როდი აქვს ეს უფლებაც არის და ტვირთიც. თქვენი სიტყვისა სჯერათ, როგორ ფიქრობთ, როდის იძენს შემოქმედის სიტყვა ძალას?

კომპოზიტორთა კავშირში რომ წავედი, ეს იყო დიდი ტვირთი. ოთხჯერ ამირჩიეს, მე თვითონ მოვიწვიე კრება და ახლა მრჩევლად ამირჩიეს. ჯერ უნდა გქონდეს საკუთარი შემოქმედება. ხალხმა იცის, ვინ ვინ არის, ბიოგრაფია უნდა გქონდეს და მართალი იყო.

კონკურსებს ვატარებდით, იყო შიმშილი, გაჭირვება და ფული არასოდეს ამიღია. ადრე რომ იყო პროექტი „ჩვენ ვეძებთ ტალანტებს“, თავმჯდომარე ვიყავი. ზოგი ფულს ატრიალებდა. „ნატერის ხე“ იყო პრემია და გავუყავი პრემია შუაზე, ახლა ცნობილი მომღერალია, ლამაზი გოგოა.

- თქვენს ერთ-ერთ ინტერვიუში წავიკითხე, რომ მუსიკა არის შრომა, დემონი და ღმერთი. სად არის შრომა, როდის არის დემონი და ღმერთად როდის იქცევა.

ღმერთმა უნდა მოგცეს ეს. მაგრამ განათლება გინდა აუცილებლად. ტუსკია მეუბნებოდა ხოლმე, რომ მუსიკას უყვარს გონი და გულიო. განათლებული უნდა იყო. ისე ვერ დაწერ სიმფონიურ, კამერულ მუსიკას, სიმღერა შეიძლება დაწერო. მაგალითად,

„ნითელფეხება მტრედებო“ მშვენიერი სიმღერაა. ეს სიმღერა არქიტექტორმა დაწერა. ბარძიმაშვილმა აღმოაჩინა დურგლიშვილი. სოფლელი ბიჭი იყო. კარგ და ნიჭიერ ადამიანებს მხარს ვუჭერდით. მე ვიყავი ყველა სამხატვროების წევრი - ფილარმონიის, რადიოსი, მელოდიის. ნასიძე იყო შეფი. რამიშვილის სიმღერებზე იყო საუბარი. მე ვუთხარი, იცით, ამ კაცს ჰყავს თავისი მსმენელი და გამოუშვას-მეთქი ალბომი. მე ძირითადად დილაობით ვმუშაობ. სალამოს შეიძლება დავხაზო, გავაორკესტრო, მაგრამ გონება დილით არის უფრო თავისუფალი, ნათელი.

- **თქვენი მეუღლე ნიჭიერი პოეტია. თქვენი მეუღლის ინტერვიუები წავიკითხე. ის წერს, რომ ამაყია თქვენთან ურთიერთობით და მისთვის ძალიან ღირებულია თქვენთან ერთად გავლილი თითქმის ხუთი ათეული წელი. აღნიშნავს, რომ ამ დროის განმავლობაში თქვენი შემოქმედების თანაზიარად იქცა. თქვენ როგორ გაუთანაზიარდით ქალბატონ მანანას?**

ახლა რალაცას რომ ვწერ, შავ დღეში მაყენებს, მთელი ამბებია. როგორც სტალინი აკეთებდა. მერე ვაკეთებ, რაც მე მინდა. მაგრამ ყოფილა, რალაც უთქვამს, გამითვალისწინებია, გამისწორებია. ცინცაძე რომ გარდაიცვალა, ბორჯომში ვიყავი. სანამ დაკრძალავდნენ, ცუდად გავხდი, დავწერე „ნოსტალგია“. ამ პიესას ქვეყანა უკრავს. რუსეთში, სომხეთში, აზერბაიჯანში. შენა ხარ კამერულ მუსიკაში მისი გამგრძელებელი, მაგრად მუშაობო, - უთქვამთ.

- **თქვენს მეგობრებზე უნდა გკითხოთ. ხელოვანები სათუთი სულის ადამიანები არიან. ცოტა ახარებთ და მათი გულისტკენა იოლია. ურთიერთობები ხელოვანთათვის ყველაზე ძვირფასია. თქვენს ცხოვრებაში რა ადგილი უჭირავს მეგობრობას, როგორი მეგობრობა იციან შემოქმედმა ადამიანებმა?**

ჩემთვის არის დიდი ტრაგედია, რომ მუსიკოსები, ახლო მეგობრები, მერაბ დონაძის თამადაობით (ჩემი კურსელი) თითქმის აღარ მყავს, იყო თეატრის წამყვანი ბარიტონი, ჰელსინკში მაგან აილო ოქროს მედალი. დღე და ღამე ერთად ვიყავით. გოგია ცაბაძესთან

ვიყავი მაგრად. მომღერალი იყო თამაზ გომელაური, უბრწყინვალესი კაცი, შოთა რაზმაძე პიანისტი, დათო ჯიქია, ნათლიაც იყო ჩემი. შემოქმედმა ადამიანებმა საოცარი მეგობრობა იციან. ჯემალ შანშიაშვილი და მე სოჩაში ვიყავით. როგორ გინდაო, შენ როგორც გინდა, არა, შენ როგორც გინდა, ისე მოვიქცეთო. დათო ჯიქია. გივი წულუკიძე მომღერალი. ჩვენ ნამდვილი მეგობრობა გვქონდა პედაგოგებთანაც. გორენბურგი, ქართველიშვილი იყო მუსიკისმცოდნე, ოპერა შეგვაყვარა. კვირა დღეა, ვწევარ სახლში. მოვიდა სკოლიდან ჩვენი კლასის დამრიგებელი. მაშინ ტექნიკუმი ცალკე იყო, სკოლა - ცალკე. სკოლაში მერე ცოტა აფურიე, მუსიკისკენ ვიყავი სულ. თქვენი შვილი არაფერს აკეთებსო. მამაჩემი გასტროლებზე იყო. გადაირია დედაჩემი.

გავიდა დრო. ერთხელ დავინახე ეს ქალი ქუჩაში და გადავედი სხვა მხარეს. მოგვიანებით ისე მოხდა, რომ ჩვენ შევხვდით. ერთ-ერთ შეხვედრაზე დავპატიჟეთ პედაგოგები და დამრიგებელიც ესწრებოდა. თურმე დაფუნახივარ სხვა მხარეს რომ გადავედი, მოვიდა და ბოდიში მომიხადა: მე ხომ არ ვიცოდი, შენ რომ ამხელა კაცი გახდებოდიო. სწორი იყო ის ქალი.

ბადრი პატარკაციშვილმა დამიძახა ერთხელ. ვიცი გიჭირთო და ხუთი ათასი დოლარი გადმოაგზავნა. მერე 1 0000 ლარი გადმო-მოირიცხა. მე ებრაელები ძალიან მიყვარს. ებრაელზე ახლობელი ქართველ კაცს არ ჰყავს. მე მაგიტომ ჩამოვედი ახალციხეში - სინაგოგის იუბილე იყო. ყველა სინაგოგა თურმე ბიძინა ივანიშვილმა გაარემონტა: ონში, რაჭაში, თბილისში. სწორადაც - მაგათ გვიჩვენეს ჩვენ გული. აგერ გვერდით სომხებში მყავს კარგი მეგობრები. სულ ჩვენიაო, იძახიან. სხვათა შორის, ახალციხეში თეატრი რომ დაარსდა და მერე უნივერსიტეტი, დიდი საქმე იყო ნამდვილად. ეს ვუთხარი მე უნივერსიტეტის რექტორს, მერაბ ბერიძესაც. ძალიან დიდი კაცია, პატრიოტი. სომეხი მეგობრები მყავს. დათო ჯიქია იყო ჩემი ნათლია და მას ჰყავდა მეგობარი ნახტაპეტოვი, კარგი მუსიკოსი. ერევანში მყავდა კოლეგა, სარქისიანი, ძმებივით ვიყავით. მეტიც, რუსები მყავს მეგობრები, ბაქოში აზერბაიჯანელი კომპოზიტორებთან ვმეგობრობ. არამ ხაჩატურიანი ხომ თბილისელი იყო. ერთხელ ვართ ჩვენ მოსკოვში, ყრილობაა. ხაჩატურიანი რუსეთში ცხოვრობდა. ქართული ესმოდა, ცხადია. კარგი პურმარილი გაშალა. გაიხსენა ბევრი რამე. ქეიფი

რომ დამთავრდა, მოვიდა ოფიციალური და გვითხრა, ამდენი წელია, აქ ვმუშაობ და ეს პირველი შემთხვევაა, რომ ამ კაცმა ეს გააკეთაო. იმიტომ კი არა, რომ ძუნწი იყო, უბრალოდ სხვანაირად აფასებდა ქართველებს. ერევანში გვექონდა კონცერტი. ერთი კარგი ბიჭია, მშობლები აქაური სომხები იყვნენ. მოამზადა ხარატიურიანის ხსოვნისადმი მიძღვნილი კონცერტი. მონაწილეობდნენ ქართველი კომპოზიტორი, რადგან აქ დაიბადა, ერთი სომეხი და მოსკოველები, გალახოვი ჩამოვიდა. სამი კონცერტია. დამთავრდა, ჩამოვედით აქ. ხოსროევი ჩვენი ელჩი იყო. ბოლო კონცერტია ერევანშიო, წავიყვანე ცხონებული შალიკო დავიდოვი. შეხვედრა მაღალ დონეზე გაიმართა. მაშინ მინისტრი შვიცკო იყო რუსეთში და მან შემოგვთავაზა: მოდი, ჩავატაროთ კონცერტი ქართული, რუსული და სომხური. მერე წავიყვანეს რესტორანში, მეშვიდე სართულზე. თვითონ დაიწყეს ფეხბურთზე საუბარი. ის არ ვუთხარი, რომ როდესაც თბილისის დინამომ მოსკოვს მოუგო სამით ნოლი, მე დავწერე სიმღერა „დინამო“. აღარ ვუთხარი, ეგ რომ მეთქვა, დაბეჭდავდნენ: რა დაუმალა აზარაშვილმა რუსებს და გადმომაგდებდნენ მეშვიდე სართულიდან (იცინის).

- თქვენს ცხოვრებაში წარმატებებთან ერთად იყო ბევრი გულისტკენა. ფსიქოლოგები ამბობენ, რომ პატივებით თავისუფლებას აძლეუთ არა მათ, ვინც ტკივილი მოგაყენათ, არამედ - საკუთარ თავს. იოლად პატივით ადამიანებს შეცდომებს?

ბოლმა არა ვარ. ერთი ქალი იყო იმ დღეს, ბავშვი ჰყავდა პატარა. გინებებით მიდიოდა. შენიშვნა მივეცი. მე არ მითქვამსო. როგორ არ გითქვამს, მე გისმენდი-მეთქი. დემაგოგი ხარო, მეუბნება. დღეს ვზივარ, ნარდს ვთამაშობ, ვვარჯიშობ, ვერთობი. ყველას ზედმეტი სახელები დავარქვი: ბუნჩულოვიჩი, ყომაროვიჩი, უნმანუროვიჩი. დღეს რა მიქნა ბუნჩულოვიჩმა?! თამაშს ვიგებ, გამოსვლაზე ერთდროულად ხუთი წყვილი გააგორა. გავგიჟდი. ის ქალბატონი იქ იყო. მოვიდა და სურათი გადაგიღო, მითხრეს. ეგ სურათი რომ გამიხსენო და მოგენატრო, იმიტომ გადაიღე-მეთქი, ვკითხე. აქ ახლა არ გვინდა ლაპარაკიო და ბოდში მოიხადა. მეც გიხდი-მეთქი ბოდიშს. პატივისცემას ვგრძნობ ორმხრივს -

როგორც კომპოზიტორი და როგორც კაცი. ხომ ნახეთ, ყველაფერი მაქვს, ყველა წოდება. როდესაც ვთამაშობ, ყველა ჩემკენ არის, მე მგულშემატკივრობს, რომ მოვიგო. ორმაგი პატივისცემა მაქვს და ორივე ძალიან ღირებულია ჩემთვის, როგორც კომპოზიტორისთვის და როგორც ადამიანისთვის.

- როგორც სპეცილიალისტები აღნიშნავენ, მე-10 საუკუნეში მიქაელ მოდრეკილს შეუდგენია იადგარის სახით ქართული და ბიზანტიური საგალობლების კრებული, მაგრამ მიქაელ მოდრეკილის ცოდნის გამგრძელებლის ყველანაირი კვალი დაკარგულია. პროფესიულ ლიტერატურაში ისიც აღნიშნულია, რომ კლასიკურ მუსიკას დღეს „პროფესიულ მუსიკას“ უწოდებენ. საქართველოში მან მხოლოდ მე-19 საუკუნის ბოლოს შემოაღწია, მაგრამ ოპერის დიდი მოყვარულები ძალიან სწრაფად გავხდით. თქვენი შეფასებით, რა მდგომარეობაშია ლასიკური მუსიკა თანამედროვე საქართველოში?

ვერ ვიტყვით, რომ საუკეთესო მდგომარეობაშია. ორკესტრები უკრავენ დღეს აქ, ხალხი დადი კონცერტებზე. ნიჭიერები ახალგაზრდებიც არიან. ნამვილად ნიჭიერი კაცია რაჭველი, არანჟირება კარგი აქვს. მაგას ჰქონდა ასეთი წესი, კონტრას უძახდა, ჩამოჰყავდა ერთი ქართული, მეორე უცხოური. ჩემი ჯერი რომ დადგა, ჩამოიყვანა მანსუიანი, კარგი კომპოზიტორია. პირველი განყოფილება ფლეიტის კონცერტი დაუკრეს. მაგარი ფლეიტისტი გვყავს ჩვენ ევსტაფიშვილი. ურთულესი კონცერტი აიღეს. ახლა ერთი საავტორო კონცერტი უნდა ჩაეტარებინა მანსურიანს, ჩამოიყვანა და ჩაატარა. ჩემი უნდა ჩაეტარებინა და არ ჩაატარა. კინო მუსიკა ჰქონდა. ვუთხარი, ბიჭო, დაგეკრა ტანგო, ხუთჯერ დაგაკრევიანებდნენ. იქნება მერეო. სად არის, აბა? ნანის გაუკეთა „გზები, გზები“. ბოლო სიმღერა იყო, დაანგრია იქაურობა. როცა გასამრჯელოს არ ვიღებთ, ოჯახი რითი უნდა შევინახოთ? მოსტაკოვიჩმა დამინერა ხუთიანი, ეგრე ხომ არ არის. ბიძინა რომ არ იყოს? ახლა კიდევ დათო მუქერიაა, კარგი ბიჭი. კარგი ახალგაზრდა კომპოზიტორია ფოთელი ნადარეიშვილი. ჩემი მესამე სიმფონია, საკმაოდ რთული. კარგად დაუკრეს. ამ ბოლოს დათო მუქერიამ ბათუმში ჩემი კონცერტი ჩაატარა, ყველაფერი იყო

კარგი. ნებიერიძეც ძალიან კარგი პიანისტი და კომპოზიტორია. კაი ბიჭია. ერთი არის კიდევ ბოლქვაზე, ბათუმელია. ე.ი. მაინც გრძელდება გარკვეული ქართული მუსიკალური ტრადიცია. გრძელდება, მაგრამ ფულს რომ არ ვიღებთ, შეიძლება ჩაკვდეს ყველაფერი. სამწუხაროდ, ახალგაზრდა კომპოზიტორები ჩვენთან არ მოდიან. მიდიან იურისტებად, ეკონომისტებად და ჩვენთან კი არ მოდიან.

- თქვენმა ქალიშვილმა, პირიქით, შეცვალა სპეციალობა. იყო საერთაშორისო ურთიერთობების სპეციალისტი და გულმა გაუნია მუსიკისკენ, თქვენმა გენებმა იყივლა?

დედამისის და მამის გენებმა. ალბათ ასეა. ჩვენ გვიხარია, გვინდა გამოჩნდეს ვინმე. კაცი რომ ნიჭიერია, ის ყოველთვის აფასებს ნამდვილ ხელოვნებას და კეთილია. ცინცაძეს უხაროდა, რომ დავნერე „ძველი თბილისის სურათები“, ლუკმა პურს მართმევო? - ხუმრობით მითხრა, გაუხარდა. შენ, კაცო, ამინდის ბიუროს ამართლებო - „მზე შენი მეგობარია“, „ისევ წვიმს“, „თოვლი, თოვლი“, ჩვენ გვთხოვეს ტიცციანის 10 წლის თავზე ჯერ სამინისტრომ, მერე შვილიშვილებმა, ორჯერ გადავიკითხე ტიცციანი და ავიღე „მამ გამარჯვება“. კაკულიამ და ჯალაღვიშვილმა იმღერეს. „სხვა საქართველო მაინც სად არის, რომელი კუთხე“... მოხვედი და ყველას ჩაგვიპამპულეო, მითხრა. ამას ვაუკაცობა უნდა. მე გალაკტიონს ვერიდები. ვერიდები იმიტომ, რომ დიდია. გალაკტიონის ლექსზე მუსიკა ახალციხის თეატრისთვის დავნერე. ახალციხის თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელმა ნანა დემეტრაშვილმა დადგა სპეკტაკლი. მაშინ არ მოვიდა მომღერალი და მე ვიმღერე. მერე მივეცი ნანის.

- ძალიან აქტიურად აფიქსირებთ თქვენს პოზიციას სხვადასხვა საკითხთან მიმართებით. გამოხატავთ მოქალაქეობრივ პოზიციას ისეთ საკითხებზე, რომელიც საკამათოა. ამ დროს თქვენ შედეგზე ხართ ორიენტირებული, თუ სხვაგვარად არ შეგიძლიათ?

სიმართლეზე ვარ ორიენტირებული. თუნდაც ვიცოდე, რომ არ გაითვალისწინებენ, მე მაინც ვამბობ. ძალიან გულნატკენი ვარ. სისხლის გადასხმის ინსტიტუტი დაანგრის. აქეთ და იქით უნდათ

ორი 42 სართულიანი შენობის აშენება. მე მრჩეველთა საბჭოს წევრი ვარ. ნარმანიას ვუთხარი, რომ ეს არის სიგიჟე. სინდისი არ აქვთ. ხმამალლა ვამბობ ამას. ფული გაქვს, გააკეთებ, ყველაფერს. სირცხვილია, ქართველებო! ნუ ამახინჯებენ თბილისს. დაამახინჯეს სპორტის სასახლე. დაამახინჯეს გალაკტიონის ძეგლი რომ არის. სინდისი არ აქვთ? ბაქოში ვიყავი, როგორ უვლიან, რა ქალაქია. იქ სახალხო არტისტებს 700 დოლარი აქვთ. ბაქრადეს რომ ვუთხარი, ისინი მდიდარი ქვეყანააო, - მიპასუხა. ჩვენ სახელმწიფო 400 ლარს გვაძლევს. მაგრამ რაც გვაქვს, იმას რატომ გვართმევთ? ბორჯომის სახლი რატომ წაგვართვით? ახლა მრჩეველი გავხდი, ვიღებ 300 ლარს. ვწერთ სიმღერებს, მაგრამ ფული არ არის, რომ ჩავწეროთ. ხომ უნდა შევინახო ოჯახი. ეს ჩვენი სინამდვილეა, მაგრამ ცხოვრება გრძელდება. ჩემი ნაწარმოებები ცოცხლობს. ბევრს უკრავენ უცხოეთში, გერმანიაში. ეს ძალას და მხნეობას მმატებს.

ინტერვიუერი: მაკა კაჭკაჭიშვილი - ბერიძე

პოეზია

მანანა დანგაძე

მანანა დანგაძე დაიბადა ქ. ხაშურში. პროფესიით მუსიკათმცოდნე გახლავთ. ბავშვობიდან წერს ლექსებს. არის ერთი პოეტური კრებულის ავტორი. მის ლექსებზე შექმნილი არაერთი ლამაზი სიმღერა აჩუქა ქართველ მსმენელს მისმა მეუღლემ, მანეტრო ვაჟა აზარამვილმა.



ოღონდაც, საქართველო დამიტოვე!

არ მინდა „ბრენდი“, „ვისკი“, „ჯინ-ტონიკი“,
ვერც „რომი“ და „ტეკილა“ გავიტოლე —
ვენახი „მანავით“ და „ოჯალეშით“,
უფალო, გევედრები — დამიტოვე!
არ მინდა „ფურშეტი“ და „პიკნიკ-ფართი“,
ვერც „შოუ“, „შოუმენი“ გავიტოლე,
თამადა — მჭევრმეტყველი, ქრისტეს სისხლით,
უფალო, არ მომაკლო — დამიტოვე!
არ მინდა ჯიშად გადაგვარებული,
სხვის ბაგას შეფარებულს ვერ ვიტომებ!..
უფალო, დამილოცე „ბიბლია“ და
მაცხოვრის სახარება დამიტოვე!
არ მინდა ურჯულოთა კანონები,
იუდა ქრისტეს მოსვლით გამოიცე,
მამაო, გამიხარე სიცოცხლის ხე,
ლაზარეს ამაღლება დამილოცე!..
მავანი ეკლესიას მედავება,
მავანი მიწის გოჯსაც არ მიტოვებს...
უფალო, ყველა ცოდვას ვაღიარებ,
ოღონდაც, საქართველო დამიტოვე!

ქველი თბილისის გახსენება

დანანლაობს
მტკვრის ნაპირთან თბილისი
და გვირისტი გაატარა ღამემ,
რა საარი შემოისმა, დილის ხმის, —
„ტურფავ, ტურფავ“ —
მიმღერეო რამე.
სატივეზე მოხსნეს ტივებს საბელი
და არღანმა გააყრუა მხარე.
შეუკაზმავთ ფაეტონში ცხენები,
გლახი ყიდის
მის მარჩენალ ხარებს.
ღულს თბილისი
ციებით და ცხელებით,
კინტოები თავს უკრავენ ქალებს.
ყვავილების მიწას ყიდის ვილაცა,
იეთიმ-გურჯი
ჩამორითმავს პნკარებს,
აქ სიმღერა დაუნყია თიხასაც,
მეთარენი აკვნესებენ თარებს...
ისმის ზარი,
ზარი — ცისკრის ლოცვებად,
გალობის ხმა ეკლესიას ავსებს,
მაცხოვარი ისევ დაილოცება
და მირონი ჩაედვრება თასებს...
გულს მანვება
დარდებად და იარად,
ისევ ისე, იმ ძველ თბილისს
ვნატრობ,
როცა მთლიან საქართველოს კი არა,
ყვავილების მიწას ჰყიდდნენ
მარტო!

ჩემო ქართველო

ბინძური წყალი თუ შეასხეს შენს დიდ ღირსებებს, —
ნუ მოიღრუბლე, თუ სიკეთის მოგჭრეს მარჯვენა.
თუ მამა-ღმერთი განსანმენდად წარღვნას ინებებს,
იცოდე, ნოე შენ მოგძებნის გადასარჩენად.
ნუ დალონდები, თუ გაგინებს რწმენას მავანი,
თუ მტვერმა წმინდა ეკლესიის ჯვარი ჩამოხსნა, —
გაძლიერდება შენი ჯიში, შთამომავალი
და შენ იხილავ წყვიადიდან ქვეყნის გამოხსნას.
ტკივილს გაუძელ, თუ შენს მინას სხეულს წინკნიან,
თუ გატანჯული ვერ ახერხებს ფეხზე დადგომას,
უგნურმა მტრებმა არ უწყიან და არ იციან,
რომ ძირს დაცემას მუდამ მოსდევს დიდი აღდგომა!..
ნუ სევდიანობ, თუ არ გხურავს მანტია ფარჩის,
თუ შენს ქვეყანას ნისლიანი ზეცა დაჰხურეს,
ოღონდ სინდისს არ უღალატო, ერთგული დარჩი
და ღვთის გლახაკი წრფელი გულით კვლავ დააპურე.
გზააბნეული თუ მიჰყვები მღვრიე დინებებს
და კვლავ განიცდი, რატომ მოსჭრეს უტას მარჯვენა...
თუ მამა-ღმერთი განსანმენდად წარღვნას ინებებს,
იცოდე, ნოე შენ მოგძებნის გადასარჩენად.

სამშობლოვ, ჩემო!

ტაძრის გუმბათზე თავს იხრჩობს ქარი,
სხვაგვარს დავეძებ შენთვის ზვარაკებს,
როგორ შეძელი, ეს უტყვი ქალი
შენზე ლექსებით მალაპარაკე!

მძულხარ!

მძულხარ, როდესაც კვირტი იშლება,
ყვავილებს პენტავს ფიფქებად ქარი,
წვიმის ნაჟურით დაორსულებულ
მინას რომ სტკივა ნამამრის კვალი.
მძულხარ, როდესაც ყველა ნაკვალევს
ზეცის ცრემლები გადარეცხს, ნაშლის,
მძულხარ, როდესაც, ისევ და ისევ,
შეიფერება სისხლისფრად ვაშლი.
მძულხარ, როდესაც თეთრი ფიფქები
სუდარასავით მეხვევა ტანზე,
მძულხარ, როდესაც მოგონებების
კარავს გაიშლის ფიქრები ბანზე.
მძულხარ ზამთარში, მძულხარ ზაფხულში,
მძულხარ დარსა და მძულხარ ავდარში,
მძულხარ, როდესაც ლექსთან ვჭიდილობ,
სტრიქონს ვატარებ ცეცხლის ლადარში.
მძულხარ უჩუმრად, მძულხარ უსიტყვოდ,
მძულხარ, როდესაც სარეცელს ვკეცავ
და სულ ერთია, მზე გამიცინებს,
თუ ცრემლებს იწმენდს ღრუბლებით ზეცა...
უფალს ავხედე, ცა მოწმენდილა,
გული საგულეს კვლავ შენით ფეთქავს...
იქ, სადაც სიტყვა „მძულხარ“ წამომცდა, —
ყველგან „მიყვარხარ“ მინდოდა მეთქვა.

მაცხოვრის მონოლოგი

თენდება, მესამედ იყივლებს მამალი,
დამთავრდა, არსაით არ ველი შენდობას,
მე თქვენთვის მინდოდა საზრდო და წამალი,
ცუდია, როცა კაცს კაცი არ გენდობა.
მე ვიცი, სად მიდის ეს ჩემი აღმართი,
ცრემლები არ გინდა, დედაო მარიამ,

ზურგზე რომ მკიდია — ეს ტვირთი არ არის,
ეს ჩემი საზიდი მაცხოვრის ჯვარია.
გათენდა... მესამედ იყივლებს მამალი,
იუდა თვალებით ერთ წერტილს მიესო,
მთვარემაც მოასწრო ღრუბლებში ჩამალვა,
ზეციდან მომესმა მამის ხმა — იესო!..
სული ხორცს გაყრილი ზეცისკენ აიჭრა,
სხეული მიწაზე დატოვა ხუნდებით,
ოღონდ თქვენ მინატრეთ, ოღონდ თქვენ მინატრეთ,
ოღონდ თქვენ მინატრეთ!..
მე დაგიბრუნდებით...

რაა სიყვარული...

„რაა სიყვარული?“ — მკითხეს მეგობრებმა,
თითქოს გულისგულში მიყრიან სადგისს,
— კაცი რომ დაეძებს დაკარგულ ნეკნს და,
ქალი რომ დაეძებს ამ ნეკნის ადგილს. —
ასე ვუპასუხე, ვითომდა იოლადა,
ვდგავარ ეული და ერთ ადგილს ვტკეპნი,
ვითომდა, მე მეძებნოს ნანატრი შიოლა,
ანდა, „მას“ ეპოვოს თავისი ნეკნი.

პირ ვისსენაბ

ზამთრის ლოლო-ყინულები
ცრემლებივით დნებიან
და ამოა გაზაფხული
თვალში მომჩერებია.
აფეთქებულ ხის ტოტებზე
ჟღურტულებენ ჩიტები,
შეიფოთლენენ ხეები და
აელვარდნენ ტიტები.
სისხლმა ჩქროლვას მოუმატა,
ვერ ვიხსენებ, — მიყვარდა?
თუ მიყვარდა, რად არ მახსოვს,
ან რად გადამიყვარდა?!
რად არ მახსოვს მოფერება,
ტკბილზე ტკბილი ამბორი?
არ ვენდობი ყურმოკრულს და
არ ვენდობი გაგონილს.
არც ის მახსოვს, ოცნებების
ნიგნს თუ ვაფრიალებდი,
ღმერთო, ბოლო გამახსენე —
იმ ერთ ჭიქას დავლევდი.
ჰოი, როგორ გახარჯულა
გრძნობით სავსე სკივრები,
აღარ მახსოვს, დავაპურე
გულიანად მშვივრები?!
დავრჩი ასე გაძარცვული,
დრომ ტლინკები მიყარა,
ვერ ვიხსენებ, უარყვავი,
თუ მან გადამიყვარა?!

მივდივარ...

ნუ გიკვირს ჩემი მეტამორფოზა,
არაფერია აქ საკვირველი,
ყველა ჩაგრული ქალის სანაცვლოდ,
დღეს, მე მივდივარ შენგან პირველი.
ტყუილად ეძებ სასროლად ტალახს,
ჩემკენ სიმშვიდე, თუმცა, ბინდია
და ნურც მიგზავნი ვარდებით კალათს,
მდედრნი სიყვარულს არა ჰყიდიან.
ნუ შემომყურებ საცრის თვალებით
და ჩემს ქცევაში ნუ ეძებ ღალატს,
მე მივდივარ და თან გავიყოლებ
კარგად მორგებულ ერთგულის ხალათს.
ჰო, მივდივარ და ჩვენს შორის უკვე
დღეს, ჩამტვრეული დიდი ხიდია
და რომ ქალები კარგებისაგან,
კარგებისაგან არსად მიდიან.

ჩვენი სახელოვნანი წინაპრები

ნიკოლოზ ოთინაშვილი

ფირან ჩარქეზიშვილი

ცხინვალის აღმოსავლეთით არის სოფელი კულბითი, რომელიც ისტორიული პროვინცია გვერდისძირის ძველი დასახლებული პუნქტია და არაერთხელ არის მოხსენებული ისტორიულ დოკუმენტებში.

ფირანი დაიბადა 1778 წელს აღნიშნულ სოფელში აზნაურის ოჯახში და ჩინებული განათლება მიიღო.

ცნობილია, რომ ქსნის ერისთავის გიორგი ყულარაღაზის ღალატის გამო მეფე ერეკლე მეორემ საერისთაო გააუქმა და პატარა ლიახვის მეჯუდის ხეობა და გვერდისძირი საუფლისწულოდ გამოაცხადა, თავის შვილებს დაურიგა, პატარა ლიახვის ხეობა ერგო იულონს, რომელიც კულბითში ჩერქეზიანთ ოჯახში იყო აღზრდილი და კარგად იცნობდა ამ ისტორიული მხარის ადგილებს, ადამიანებს.

იულონმა რეზიდენციად აირჩია ბელოთის დიდი ციხე-სიმაგრე და სახლთუხუცესად დანიშნა თავისთან შეზრდილი ფირან ჩერქეზიშვილი, რომელიც სახელოვნად უძღვებოდა ამ ვრცელი ხეობის მამულებს.

მათ ერთად ჩამოაყალიბეს რაზმი და მტრების წინააღმდეგ არაერთი ბრძოლა გადაიხადეს.

1795 წელს როცა ირანის საჭურისმა ალა-მაჰმად-ხანმა ათასეული ბრბოები დაძრა საქართველოს წინააღმდეგ, კრწანისის ბრძოლაში ლიახვის რაზმს იულონი და ფირან ჩერქეზიშვილი სარდლობდნენ. რაზმს უკან არ დაუხევია და არსებობს ზეპირი გადმოცემა, რომელშიც ფირანის გმირულ ბრძოლაზეა საუბარი. მან არაერთი მომხდური გამოასალმა წუთისოფელს და სულ ბოლოს გამოვიდა ბრძოლის ველიდან დაჭრილი.

ფირანის უკანდახეულმა რაზმა გაამაგრა პატარა ლიახვი და მისი მიმდებარე ადგილები და მოსახლეობა დაიცვა მტრისგან.

მალე საქართველო რუსეთმა დაიპყრო, რასაც ვერ ურიგდებოდა ბაგრატიონთა სამეფო სახლი, ცხადია იულონ ბატონიშვილიც თავისი მომხრეებით.

როგორც (აქტები, 1,394) გვატყობინებს 1801 წელს, როცა იულონ და ფარნაოზ ბატონიშვილები ბელოთიდან იმერეთს

გადავიდნენ, ფირან ჩერქეზიშვილს, როგორც სანდო კაცს, ბატონიშვილების წერილები მიჰქონდა და მოჰქონდა, ხალხს აიარალებდა დამპყრობლების წინააღმდეგ ბრძოლისათვის. ეს შეიძლება რუსეთის ხელისუფლებამ და ბრძანება გასცა ფირანის დასაჭერად.

1804 წლის ზაფხულში მთიულეთის აჯანყების ჩაქრობის შემდეგ, იულონ და ფარნაოზ ბატონიშვილები იმერეთიდან ქართლზე გამოვლით სპარსეთში გასვლას აპირებდნენ. მათ თან ახლდა მცველთა რაზმი ფირანის მეთაურობით.

ას მეთაურმა გიორგი ამირეჯიბმა ჩაიდინა უღირსი, უპატივებელი საქციელი და ყველაფერი რუს ხელისუფალთ აცნობა. მიიღეს საჭირო ზომები და ბატონიშვილები სრულიად მოულოდნელად სურამთან ახლოს რუს ჩასაფრებულ როტას გადაეყარნენ. გაიმართა ბრძოლა და მოკლეს არაერთი მომხდური, ასევე მოიკლა ფარნაოზ ბატონიშვილის მცველი ტიტია თარხნიშვილი, კეზელი დათუა, ფირან ჩერქეზიშვილი და სხვები, ასევე მცირედ გადარჩა რუსთა რაზმი. ფარნაოზმა გაასწრო, ხოლო იულონი მოსულმა დამხმარე ძალამ შეიპყრო.

გაზეთი „ივერია“ (1890, №10) იწყებოდა: „კულბითში ხშირად უცხოვრიათ ქართველ მეფეებს მათ შვილებს. სოფელი ძლიერ ჰყვარებია დიდი ერეკლე მეფის შვილს იულონს, რომელიც ჩერქეზიანთ ოჯახში აღზრდილა. როდესაც სამშობლოსათვის თავი უნდა დაენებებინა, ამას თან გაჰყოლიან იმერეთში ერთგული მხლებელნი, მათ შორის ცნობილი ფირანიც, რომელიც იულონის შეპყრობის დროს ლუკმა-ლუკმა დაუკეპიათ. თავგანწირულის დაკეპილი სხეული კალთებში ჩაულაგებია კულბითელ ივანე შევარდენიძეს და გადმოუტანია კულბითში სამშობლო მინისათვის მისაბარებლად...“

საქტივების ჩახახა მზიანი მისხეთის ერთი ღლა...*

ჩვეულებრივი მერვე თუ მეცხრე „პირველი ზარი“... უცნაური თანაც ისევ ჩვეული მღელვარება. ახალი სახეები, ახალი უცნობი გაფართოებული თვალეები, უცნაური გულის კანკალი. აუდიტორია ჩვეული და ნაცნობი, ისევ გაბზარული მინა ფანჯარაში, დაღურს-მული სარკმელი... გაღიმებული დაფა, დაფის წინ ამოყრილი რამდენიმე პარკეტი... საგულდაგულოდ შელამაზებული უნივერსიტეტის ტექნიკური პერსონალის მიერ. მერხები დარბაისლური სიდინჯით ელოდებიან ლექციის დაწყებას... მისაღმება, მოკრძალებული პასუხები, გაცნობა... | სემესტრის დასასრული... ავტობიოგრაფიები...

„მე დავიბადე მარტის თვეში... მოულოდნელობითა და ცვალებადობით აღსავსე მარტში... ჩვეულებრივი ინტელიგენტის ოჯახში... დედ-მამა პედაგოგები მყავს“ - ასე იწყებდა თავის ბიოგრაფიას ერთი ჩვეულებრივი თვალეებრივიალა მესხი გოგონა – „მიყვარს ყველა ეროვნული დღესასწაული და საერთოდ ყველაფერი ქართული... ჩემი ერის ისტორია მაძლევს იმის საშუალებას, რომ ვიამაყო ქართველობით, იმით რომ დავიბადე საქართველოში და თანაც მესხეთში...“ ყველაფერი ერთმანეთს მიჰყვამ... პატარა ბიჭი, პატარა ოჯახი, მალე სულ პატარაც.

სანიმუშო დასწრება, სანიმუშო მეცადინეობა და პასუხი ყოველთვის ფრიადზე. გოგონამ მალე დაიმსახურა ავტორიტეტი, პედაგოგმა კი - ნდობა, ყველაზე ძვირფასი, რაც შეიძლება ადამიანს ჰქონდეს:

„ქალბატონო ნათელა, მე მსურს, შეიტყოთ ჩემი პატარა საიდუმლო, რომელიც მე და ჩემმა უახლოესმა მეგობრებმა ვიცით, მე ლექსებს ვწერ... ისე ჩემთვის“ – ასე წარდგამ თეონა თათეშვილი ჩემ წინ თავისი მოკრძალებული ლექსებით.

* ეს მასალა ჩვენს საოჯახო არქივში აღმოჩნდა. ლექსები და დინამიკა თავის-თავად საინტერესო გვეჩვენა. მივიღეთ თანხმობა ქალბატონ ნათელასგან, დავეუკავშირდით ავტორს თეონა თათეშვილს და გადავწყვიტეთ, დაგვებეჭდა, გაგვეცოცხლებინა ის ურთიერთობები, რომელიც ჩვენს უნივერსიტეტში, მაშინდელ ფილიალში არსებობდა. **რედაქტორი.**

ჩემო თეონა, მადლობელი ვარ ნდობისათვის, ასეთი დიდი პატივისთვის, დაგილოცავ დიდი პროექტური გზის დასაწყისს... მაშ ასე, მოვუსმინოთ თეონას:

ნათელა ნაცვლიშვილი-ბერიძე
1999 წ.

თეონა თათეშვილი

დავიბადე ადიგენის რაიონის სოფელ არალში 1980 წლის 2 მარტს პედაგოგების ეთერ და ვაჟა თათეშვილების ოჯახში. 1997 ჩავირიცხე ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ახალციხის ფილალში, სწავლა გავაგრძელე ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის მაგისტრატურაში უახლესი ქართული ლიტერატურის ისტორიის განხრით.

2004-2005 წლებში დავინწყე მუშაობა რეგიონალურ საბაჟო „ჩრდილოეთში“ დამხმარე თანამშრომლის პოზიციაზე, 2005-2006 წლებში საბაჟო დეპარტამენტის რეგიონალურ საბაჟო „აღმოსავლეთში“ უფროსი ინსპექტორის პოზიციაზე. საბაჟო დეპარტამენტის სპეციფიკიდან გამომდინარე, გამოვიცვალე ბევრი სამუშაო ადგილი.

მყავს 2 შვილი – თამარი და გიორგი.



ჩემი ბიოგრაფია

დავიბადე მარტის თვეში... მოულოდნელობებით და ცვალებადობით აღსავსე მარტში მოვევლინე ქვეყანას, როგორც ყველა მოკვდავი, რა თქმა უნდა, ტირილით. გავიზარდე სოფ. არალში, მასწავლებლების ოჯახში, ვიზრდებოდი, როგორც ყველა ჩვეულებრივი ბავშვი, იმ განსხვავებით, რომ ქვეყნის ავ-კარგში ბავშვობიდანვე ვერკვეოდი. ამაში კი დიდი როლი ჩემა ოჯახმა ითამაშა. 1986 წლის სექტემბერში პირველად შევალე სოფ. არლის საშ. სკოლის კარი, სადაც ვისწავლე მე-4 კლასამდე, შემდეგ სწავლა გავაგრძელე სოფ. უდის №2 საშ. სკოლაში, რომელიც ფრიალებზე დავამთავრე.

მიყვარს ყველა ეროვნული დღესასწაული და საერთოდ პატრიოტი ვარ... ჩემი ერის ისტორიის ცოდნა მაძლევს იმის საშუალებას, რომ ვიამაყო ქართველობით, იმით რომ დავიბადე საქართველოში და თანაც მესხეთში...

ქალბატონო ნათელა! თქვენ წინა ლექციაზე ბრძანეთ, რომ გსურთ იცოდეთ რა გვსურს, რითი ვცოცხლობთ, რა გვაარსებებს... მე კი მსურს, თქვენ შეიტყოთ ჩემი (ასე ვთქვათ) პატარა საიდუმლო, რომელიც მე და ჩემმა უახლოესმა მეგობარმა ვიცით, მე ლექსებს ვწერ... არა, უბრალოდ ვვლახნი... როგორ შეიძლება ჩემს ნაწერებს ლექსი ვუნოდო გალაკტიონის, ვაჟას, აკაკის, გ. ლეონიძის, პ. იაშვილის, ტიცვიანის ლექსებთან შედარებით. არ ვიცი, რატომ, მაგრამ მაინც მინდოდა, რომ თქვენ ეს გცოდნოდათ. მიუხედავად იმისა, რომ ჩემს ცხოვრებაში მნიშვნელოვანი ცვლილებები მოხდა, „მე იგივე ვარ მარად და მარად“...

თქვენ ალბათ გაინტერესებთ, რამ მაიძულა ეს ნაბიჯი გადამედგა... (ჩემს გათხოვებას ვგულისხმობ). მე იძულებული ვიყავი, რადგან მშობლები მაინც, მინდოდა თუ არ მინდოდა, მათხოვებდნენ და მე ჩემი არჩევანი გავაკეთე... წინა ლექციაზე თქვენმა სიტყვებმა დამაფიქრა, მაგრამ ქ-ნო ნათელა, ნუ ჩამთვლით თავქარიან გოგოდ, რომელსაც გათხოვება უნდოდა, მე უბრალოდ ჩემი, პირველი, დამოუკიდებელი არჩევანი გავაკეთე... დღეს 15 აპრილია, სიყვარულის დღე და სწორედ ამ დღეს მინდოდა თქვენ ეს გცოდნოდათ, რადგან თქვენ ჩვენი ტკივილი გტკივათ, ჩვენს შეცდომებს მტკივნეულად განიცდით, გწამდეთ მომავლის, ჩვენი გწამდეთ, რადგან ჩვენ შევძლებთ რალაცის გაკეთებას...

1997 წელს თსუ ახალციხის ფილიალის უცხო ენათა ფაკულტეტის სტუდენტი გავხდი...

მიყვარს კითხვა, განსაკუთრებით ისტორიული რომანების კითხვა... კ. გამსახურდიას „დავით აღმაშენებელი“ ჩემი უსაყვარლესი წიგნია... „დიდოსტატის კონსტანტინის მარჯვენაც“ ძალიან მიყვარს, რადგან იქ მთავარი გმირი, ჩემი საყვარელი მეფე – გიორგი პირველია... ვკითხულობ ხელოვნებაზე, მუსიკაზე, პოეზიაზე...

თავისუფალ დროს ვუკრავ პიანინოზე, მუსიკა სულიერად მასვენებს... პოეზიას კი ძალიან დიდ დროს ვუთმობ... მიყვარს ესენინი, ცვეტაევა, ახმატოვა, ტიცვიანი, პაოლო, გალაკტიონი...

„ესა ვარ რაცა ვარ, დარდი და კვნესა ვარ,
ხვალ იქნებ არც ვიყო ამ ქვეყნად მე“

1999 წ.

თოვლა

გასაოცარი სიღმაზით ათოვდა ბალებს,
ბარდნიდა ნელა, უშფოთველად ცვიოდა ფიფქი.
ნუგეშად დამრჩა მოლოდინი, მხოლოდ ლოდინი,
თოვა და ღამე, შენზე ფიქრი, კვალავ შენზე ფიქრი.
საოცარია... ბნელმა ღამემ შეაკრთო თოვა,
ცრემლი და დარდი შემატოვეს ანგელოზებმა,
ბავშვურ ზმანებებს მივტირი და ვრგძნობ სიამაყეს,
ვგრძნობ ჩემს სისუსტეს, ისევ ვტირი და მენანება,
საოცარია, ცას ვამსგავსე თვალები შენი...
თოვს...

* * *

წუხელის წვიმდა... ძალიან დიდხანს ტიროდა ზეცა,
შენზე ოცნებით სევდიანად იდგა ჭაადარი,
ზეცის ცრემლები სარკმლის მინებს ეაღერებდა,
ჩემთვის აღთქმული სიყვარული, ღმერთო, სად არის?!

წუხელის წვიმდა... ძალიან დიდხანს ქარი ტიროდა,
ასე ფერმკრთალი არ მენახა არასდროს ღამე...
ისევ წარსულის ლურჯ ლანდებთან გამოსაღმება,
დედაო ღვთისავ, სიყვარულზე მიაბზე რამე...

* * *

... და შენ გასცდები წუთისოფელს თითქოს არასდროს არ გიცხოვრია მის სიღრმეში ნაკლოვანებით, მისაყვედურებ: „მოტყუება შენც შეგძლება, რად მიხატავდი ამ ცხოვრებას ხატოვანებით?“

შენი სახელი აღარავის ემახსოვრება
და საფლავს მხოლოდ ყვავილები დაგიმშვენებენ.
აღარასოდეს დაგიჯერებ, შენ მოლაღატვე
და ისევ სხვისი სიყვარულით დამამშვიდებენ.

ბებერ ნიავექარს თან გაჰყვება შენი ჩურჩული,
ოდესღაც თქმული სინამდვილის იდუმალება,
საფლავის ქვასთან წავანყდები უსაზღვრო გრძნობას
და ორეული საფლავთ შორის დამემალება...

გაკვირვებული მივაშტერებ სევდიან თვალებს,
სასაფლაოზე შენს საფლავთან მდგარ საოცრებას,
მე ქედს მოვიხრი მის წინაშე, ვეთაყვანები
და დავინანებ, რომ ოდესმე ის მაოცებდა...

მოვალ ყოველთვის, თან მოგიტან ველურ ყვავილებს,
საფლავის ქვასთან გავფითრდები ცრემლმორეული,
უსაზღვრო გრძნობით შეირჩევა ცაზე მნათობი
და მარტის ქარი თავს მოიკლავს გადარეული...

მიამბე რამე, რომ ძალიან დიდხანს ვიტირო,
ლარნაკში დაჭკდნენ ყვავილები უსაზღვრო სევდით,
მხოლოდ ხატის წინ ვიგრძნო ჩემი სულის სიმშვიდე
და აღარასდროს არ შევწუხდე საყვარლის ბედით...

* * *

ღმერთს დავუჩოქებ, შეგავედრებ ზეციურ მამას,
დაველოდები შელამების დამტანჯველ ლანდებს,
ხატის წინ სანთელს მოცახცახეს ადგილს შევუცვლი,
თან ღმერთს მივუძღვენი ლოცვით აღვსილ სევდიან ჰანგებს...

შევალ ტაძარში, სადაც მხოლოდ ანგელოზები
წმინდათა წმინდა ლოცვას შენთვის აღასრულებენ...
ცრემლით დავალტობ ხატებს, ღამეს შევეხიზნები,
„და ჩემთვის კუთვნილ კუბოს სადღაც დაასრულებენ“...

გადაკარგავენ აჩრდილები წარსულის სიზმრებს
და ავტირდები აუხდენელ, ბავშვურ ოცნებით,
დიდი ხნის წინათ დამარხული წარსულის სევდით
მე და ზამთარი უზომოდ, ჩუმად ერთად მოვკვდებით...

ღამე გვიტირებს, ჩამოსწყდება ზეცას ცრემლები,
ჩვენი კი არა, სიყვარულის იქნება გლოვა!
ვიცი, გვიტირებს უსასრულო ზეცის სამყარო
და მხოლოდ ქარი ჩვენს საფლავთან ცახცახით მოვა...

ყაყაჩო

ნამცეცა ქარმა შემომიღო დილით სარკმელი,
ჩემს სარეცელზე დააბნია, ვარდი, ყაყაჩო,
ჩამჩურჩულებდა: „ასე ნაზი ნუ ხარო, თორემ
იცოდე, კარგო, გრძნობით მთვრალი კოცნით დაგახრჩობ“...

ავდექი, ჩუმად მივეახლე სარკმელთან მქროლავს,
შორს ჩანდა ზეცით ჩაკირული მშვენიერება...
დიდი ხნის წინათ მე და ქარმა დავკარგეთ იგი,
დავკარგეთ ჩვენთვის განკუთვნილი ბედნიერება...

ნამცეცა სიომ დამათოვა ყაყაჩოები,
გონი დაკარგა უჩვეულო სურათის ხილვით
და, როცა ისევ აფეთქდება ბალები წითლად,
კვლავ მე და ქარი დაუღლეელი ოცნებით ვივლით...

დილით სარკმელი შემომიღო ქროლვამ უეცრად,
თმაზე ალერსით დამაბნია ნაზი ყაყაჩო,
მეუბნებოდა: „ქალღმერთივით ნუ ხარო ნაზი,
თორემ, ოდესმე გრძნობით მთვრალი კოცნით დაგახრჩობ“.

მარიკას...

სარკმლებს ეხეთქება გლოვა უსიცოცხლოდ,
ზეცის სამრეკლოზე ზარი ატირდება...
ცრემლი ეწვიმება ხატებს ღვთისმშობლისას,
სევდით, სინანულით ღამე გაფითრდება...

გლოვა აინთება, გლოვა კელაპტრებად,
ზეცა ათრთოლდება ხატთა ელვარებით,
სევდით აივსება გზები, ბილიკები,
ჩუმი ტრაგედიით, სულთა მღელვარებით...

ზეცას დაიკვრება ქარი საუკუნო
გნამდეს სიყვარული გულის საოცნებო!
ვიცი, აღარასდროს აღარ გაიღიმებ,
მაგრამ გრძნობას ენდე, უნდა იოცნებო!

1997 წლის 10 აპრილი

* * *

ხეებს თავზე დაფარფატებს ქარი,
მათ სიშიშველეს წამით ფარავს ფრთებით,
ღრმა ფიქრებით ჩაძირული ღამე
მოაბიჯებს ჯოჯოხეთის ფრთებით...

განშორების შემდეგ მხოლოდ ერთხელ
გაიელვე ჩემ წინ ერთი წამით,
ეს ხდებოდა გარიჟრაჟზე, შენ კი
ჩემს ცხოვრებას ანამებდი ღამით...

* * *

მე მოვალ მაშინ, როცა არსად აღარ მელიან,
მე მოვალ მაშინ, როცა ღამეც იცრიცება...
მოვალ და შენთვის ნაცნობ სევდად გადავიქცევი,
მოვალ და მაშინ ლურჯი ზეცაც გადაფითრდება...

გადაფითრდება... შენ კი რაღაც წარსულში ივლი,
ანწყობი ყოფნის მე მექნება მხოლოდ უფლება.
მე მაშინ მოვალ შენ წარსულში, როცა დამეძებ,
მოვალ, რადგანაც მსურს, განგვსაჯოს ორნი უფალმა!...

* * *

თოვს და მგონია სიზმრად ვხედავ ფოთოლთა ცვენას,
ოჰ, რამ მასიზმრა შემოდგომის მწუხარე ხედი,
თოვს და მგონია, სიზმრად გხედავ ზამთრის სიღრმეში,
თოვს და მგონია, არა დამრჩა სიკვდილის მეტი.

თოვს და საოცრად კანკალებენ ფიფქები, ვხედავ,
მწუხარე ხმებით მამცნობენ, რომ გათავდა ღამე,
შენკენ მომავალ ბილიკებზე ითოვა სევდამ,
შენზე ზამთარმა ჩამჩურჩულოს იქნება რამე!

იქნება თოვამ მიმატოვოს, დამტოვოს მარტო,
იქნებ ღამემაც მომიხუროს თავისი კარი,
ზამთარმაც იქნებ სამუდამოდ მაქციოს ზურგი
და მომიხიოს ოცნებათა სასჯელი ჯარი...

თოვს და მგონია, სიზმრად ვხედავ ფოთოლთა ცვენას,
ოჰ, ღმერთო ჩემო, რამ განიზრახა მწუხარე ხედი...
უნდა ვეშვილო შემოდგომას ჩუმი წარსულით,
ვგრძნობ, რომ არა მაქვს ქვეყანაზე ხსნა ამის მეტი...

დღე

არადა, მახსოვს, დღეს შენი დღეა,
როგორც წლების წინ, ისევ მზიანი,
მხოლოდ დააკლდა ზეცას ლადარი,
სხივებს-ციმციმი, კრთომა, ბრდღვიალი!
არადა, მახსოვს, მაშინ განვიმდა,
იმ სალამოს ხომ მზე პირს იბანდა
და ეს ღიმილი, შენი ღიმილი,
როგორ მიყვარდა, როგორ მიყვარდა...
არადა, მახსოვს, დღეს შენი დღეა,
როგორც წლების წინ, ისევ მზიანი,
გეძებო, გითხრა, როგორ მიყვარდი?!
არის გვიანი, ძალზე გვიანი...
არადა, მახსოვს შენი ღიმილი,
როგორც წლების წინ, ისევ მზიანი
და შენთან მოსვლა დაღლილი სულით
არის გვიანი, ძალზე გვიანი!..

კესანე

სულმა ისევ გაარღვია საზღვარი,
ანუგეშეს კესანებმა თითქოს,
მინდა გკითხო: ოცნებები სად არი?!
მლოცველივით აღსარებას ვითხოვ.
მინდა, მითხრა, სად იარე, სად – არა.
ისევ სდუმხარ?! იქნებ,
მითხრა რამე.
მე დავბერდი, შემერია ჭალარა,
ისე ვწუხვარ, თითქოს ვითვლი წამებს!
თითქოს გხედავ, თითქოს აქ ხარ, იცოდე,
სიყვარულს კვლავ ჰაერივით მანვდი,
მახსოვს, ერთხელ, კესანეო-მიწოდე.
მე, კი ჩემო, მლოცველივით მწამდი!

ოცნება- ტაო

ოცნებას ვბედავ ჩუმად, ფრთხილად შენს მდელოებში,
ყაყაჩოს ბალებს რომ მოურთავთ, ჩემო, ველები,
აქვეა ხანძთა!
შენი ტკივილი, სევდა, ცრემლი, მომავალს გასცდა,
შემოგვევლები...
ბილიკებს როგორ დაუბზარავთ ვრცელი სერები,
აქა ვარ, ჩემო, სულის ტკივილს უძლებს სხეული,
დუდუნებს ბანა...
შემორჩენიათ ტაძრის კედლებს შენი ფერები,
მიმიღებ განა?!
დამაგვიანდა... კითხვაც, ვიცი, უადგილოა,
შენთან ვარ, ჩემო, შემაგებე შენი ნიავი,
ოცნება-ტბეთი...
მიმიღე, ჩემო, ისე, როგორც მგზავრი გვიანი,
რომ დავრჩეთ ერთად, თუნდაც წამით,
მე, შენ და ღმერთი!

სანამ აქ ვარ...

სანამ აქ ვარ, სანამ დღეებს ვითვლი,
სანამ ფიქრებს შეუძლით შველა,
სანამ მწამს და შესანდობარს მითვლი,
სანამ წამით გარინდულა ყველა...
მანამ უნდა ვაზიარო სული,
შენთან მოსვლის საუცხოო წამებს,
სულს დაეჭდო სიმარტოვის წნული,
ჩამორეკენ სადღაც მწუხრის ზარებს...
მე მოვედი, აქ ვარ, თითქოს, წამით,
გადათელა ვნებამ ლოცვის კვალი,
მოველ, გითხრა უსიცოცხლო ღამით
დაგიბრუნე საუკუნო ვალი.

შნიპერსიტების ისტორიისათვის

მერაბ ბერიძე

მოსაზრადებალი კურსები ფილიალში

საქართველოს საგანმანათლებლო სისტემას ერთი უცნაურობა ახლდა და ახლავს. როგორი ცვლილებებიც უნდა მოხდეს, რა სიახლეც უნდა გადმოინერგოს, სკოლა ვერასოდეს აძლევს მოსწავლეს შესაბამის დონეს, რომ მან ჩააბაროს უმაღლეს სასწავლებელში. ამის ახსნა ბევრი მიზეზით შეიძლება, მაგრამ უმთავრესი მიზეზი არაეროვნულ და არასაქმისათვის საჭირო ნაბიჯების გადადგმაა. ნებისმიერი ანალოგია, ევროპული იქნება თუ ამერიკული, ჰაერშია გამოკიდებული და არ აგრძელებს იმას, რაც იყო, იწყებს თავიდან. ეს თავიდან დაწყება კი დამოკიდებულია ახალ მინისტრზე და მის ახალ გარემოზე, ვის რა ორიენტაცია აქვს, ვინ რომელი ენა იცის და საერთოდ ვინ რა იცის და არა ის, რა არის საჭირო არსებულის განსავითარებლად და თვისობრივად შესაცვლელად. სასკოლო, საგანმანათლებლო, ცვლილებები არის სიახლეები (კარგია თუ ცუდი, ამაზე არ არის საუბარი), რომელთაც ყველა სკოლაში ვერ დანერგავ ასე უცებ. სამინისტროს და მასთან დაქვემდებარებულ შესაბამის სტრუქტურებს, ბუნებრივია, ამ სიახლეების დაჩქარებული გატარება და თავის მოწონება სურს. ამ ტიპის დისბალანსი - განსხვავებული მოთხოვნა (ფორმით და შინაარსით) და განსხვავებული შესაძლებლობა სკოლის მხრივ, ქმნის რეპეტიტორის ინსტიტუტის არსებობის საფუძველს. ამიტომაცაა, რომ დღეს მაღალ კლასებში თითქმის აღარ დადიან მოსწავლეები. აღარ არსებობს მე-11-მე-12 კლასი რეალურად, მხოლოდ ფორმალური სახე აქვს ამ ორი წლის განმავლობაში მოსწავლის სკოლაში სიარულს. გამოცდები კი რთულდება და რაც უფრო მეტად ღებულობს ელექტრონულ სახეს, მით უფრო შორდება ადამიანურ მიზანს. ამიტომაცაა, რომ ვისაც შესაძლებლობა აქვს, ცდილობს სხვაენოვან სკოლებში შეიყვანოს თავისი შვილი.

მომზადების, რეპეტიტორების პრობლემა სულ იყო მე-20 საუკუნეში. მე-20 საუკუნეს ვამბობ, რადგან მე თვითონ ვარ ამ ყველაფრის მომსწრე და მონაწილე, რასაც განსაკუთრებული კვლევა არ სჭირდება. რეპეტიტორობა მე-20 საუკუნეში ერთი მხრივ გახლდათ არსებობის ერთ-ერთი საშუალება და მეორე მხრივ – პროფესიული დევალვაციის მიზეზი.

ცნობილია, რომ თავის დროზე ბევრი პროფესორი ეწეოდა რეპეტიტორობას. ისინი გარკვეული სახსრის მიღების შემდეგ შორდებოდნენ ამ საქმეს და ქმნიდნენ შესაბამის მეცნიერულ პროდუქციას. რეპეტიტორთა უმრავლესობა დაიშტამპა და მათგან მეცნიერული პროდუქციის შექმნა შეუძლებელია. რეპეტიტორობის გამრუდებულმა ფორმამ ფეხი მოიკიდა ახალციხეში. სამწუხაროდ, სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბევრი თანამშრომელი იმიტომ „მუშაობს“ უნივერსიტეტში, რომ „მოამზადოს ბავშვები“. ბევრი მათგანი თავის საქმიანობას აგებს აბიტურიენტებთან ურთიერთობაზე და სალექციო დატვირთვაც უნდა, რომ მოარგოს ამ საქმეს. ეს არის ჩვენი ბევრი თანამშრომლის გზა და ამას სერიოზული მიხედვა სჭირდება.

სხვა არის, როდესაც უნივერსიტეტი ხსნის მოსამზადებელ კურსებს, დაბალია გადასახადი ან სულაც არ არის და, რაც მთავარია, ამ შემთხვევაში აბიტურიენტები მოდიან სასწავლებლად იმ უნივერსიტეტში, სადაც ემზადებიან. ამ ტიპის მოსამზადებელ კურსებს ჩაუყარა საფუძველი მე-20 საუკუნის 60-იან წლებში თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა ე.წ. არჩილ ჯანაშვილის კურსებით. მაშინ იქ თავი მოგვიყარეს საქართველოს შორეული, მთიანი რაიონების და საინგილოს ახალგაზრდებს, გვამეცადინეს ყველა საჭირო საგანში.

1990 წელს, როდესაც გაიხსნა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ახალციხის ფილიალი, დიდი კონკურსები იყო მისაღებ გამოცდებზე. ჯერ კიდევ არ სტაცებდნენ ერთმანეთს უნივერსიტეტები აბიტურიენტებს. ჯერ კიდევ ქარბად იყო ახალგაზრდობა და ქვეყანასაც ამ ახალგაზრდობის იმედი ჰქონდა. ეროვნული იდეოლოგია, რომელიც დაუნერეელი კანონის სახეს ატარებდა, უფრთხილდებოდა თითოეულ ახალგაზრდას, ცდილობდა მათს ადგილზე დაკავება-

დასაქმებას, არ ერეკებოდა საზღვარგარეთ. თავკომბალად ქცეული დედაქალაქი ისრუტავდა რეგიონის ბავშვებს, რომლებიც უკან აღარ ბრუნდებოდნენ. ამის შემხედვარე ჩვენი ახალგაზსნილი ფილიალი ცდილობდა, ჩემოეყალიბებინა დროის შესაბამისი ტაქტიკა, რომ გაკეთებულიყო საქვეყნო საქმე. ახალციხეში სამუშაოდ როდესაც ვინმეს ვინვევდით, ორი ნიშნით ვარჩევდით – პროფესიონალიზმისა და ეროვნულობის ნიშნით. ამ პრინციპმა გაამართლა. 90-იანი წლებიდან გამოყოლილი მუხტი დღევანდლამდე მოქმედებს. ასეთი დამოკიდებულება არ გვაძლევდა უფლებას, არ გაგვეთვალისწინებინა ნიუანსური დეტალები.

1990 წლის 3 დეკემბერს ვწერდით: „ახალციხეში უნივერსიტეტის ფილიალის გახსნა მრავალი ფაქტორით არის განპირობებული. უპირველესი მისი ფუნქცია, მაინც, დედაქალაქისაკენ ახალგაზრდობის სწრაფვის შეჩერება და ამით თბილისის განტვირთვაა. ურბანიზაციის მექანიკური წინააღმდეგობა შეუძლებელია“ (გაზეთი „მესხეთი“, N1). მექანიკურ წინააღმდეგობაში ვგულისხმობდით აკრძალვას. საჭირო იყო ადგილზე შეგვექმნა შესაბამისი პირობები, რომელიც გარდა საუნივერსიტეტო განათლებისა მომზადებასაც გულისხმობდა.

პირველივე წელს სტუდენტები მოვიდნენ საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან. „განსაკუთრებით მოგვეძალა ახალგაზრდობა ქართლიდან და დასავლეთიდან. ეს ბუნებრივიცაა. მესხეთის ისტორიული ფუნქცია ოდითგანვე იყო აღმოსავლეთისა და დასავლეთის შემაკავშირებელი როლი, ამიტომაც საქართველოს ერთიანობა ყოველთვის განისაზღვრებოდა სამხრეთის პოლიტიკური და კულტურული ორიენტაციით“ (გაზეთი „მესხეთი“ N1, 1990წ).

ახალციხისთვის ადვილი არ იყო ახალგაზრდობის მოძალებისათვის საჭირო პირობების შექმნა. ახალციხე პატარა პროვინციული ქალაქობიდან, საქართველოს შლანგბაუმით მოწყვეტილი ქალაქობიდან უნდა ქცეულიყო ახალგაზრდულ ქალაქად. ამას ყველა ერთნაირად არ უყურებდა. ბევრს არც კი მოსწონდა საგანმანათლებლო სიახლე ახალციხეში. რადგან ყველა პრობლემას ჩვენ განვიხილავდით პერსპექტივაში და მომავალი შედეგების ანალიზით ვწყვეტდით საკითხს, პირველივე წელმა გვიჩვენა, რომ თუ

გვინდოდა გამარჯვება, საუნივერსიტეტო ცხოვრება არ უნდა შემოფარგლულიყო მხოლოდ მისაღები გამოცდებითა და ლექციებით.

რაც მთავარია, სამთვრობო გადაწყვეტილება, რომ ვყოფილიყავით ერთი დაუსწრებელი ფაკულტეტი, შევცვალეთ და ახალციხეში ფილიალი ჩამოვაცალიბეთ, რამაც მოგვცა საშუალება თვალი და გონება მიგვედევნებინა ყოველდღიურობისათვის. თბილისიდან ჩამოსული პროფესურა რჩებოდა ადგილზე, ბალანსზე გადმოუცემელმა, მაგრამ „დე-ფაქტო“ საერთო საცხოვრებელმა მოგვცა საშუალება, ბევრ რამეზე გვეფიქრა და ამ მრავალთაგან ერთი სწორედ აბიტურიენტების მომზადების საკითხი გახლდათ.

ფილიალი ჩამოყალიბდა 1990 წელს. მართლია, მოსამზადებელი სამუშაოები ადრიდანვე დაიწყო, მაგრამ მიღება მოხდა ამ წლის ზაფხულში და სწავლა დავიწყეთ შემოდგომით. შემოდგომითვე შეიქმნა სარეპეტიტორო კურსები. მაშინდელი ფილიალის გაზეთი „მესხეთი“ 1990 წელს წერდა: „გადავწყვიტეთ გაგვეხსნა ფასიანი სარეპეტიტორო კურსები, რომელიც ჩარიცხვის არავითარ გარანტიას არ იძლევა. ასეთ კურსებზე შეიძლება ცოდნის მიღება შესაბამისი გადასახადის საფასურად. ჩვენი მსმენელები ჩვეულებრივად გავლენ მისაღები გამოცდების კონკურსში და თუ გაიმარჯვებენ, ჩაირიცხებიან. როგორც ხედავთ, მხოლოდ და მხოლოდ ცოდნას მიენიჭება უპირატესობა, სხვა - არაფერს“ („მესხეთი“ N2. 1990წ). იგივე გაზეთი გვამცნობს, რომ მოსამზადებელ კურსებზე ჩაირიცხა 246 მსმენელი, მათ შორის: ახალციხიდან - 61 აბიტურიენტი, ადიგენიდან - 40, ასპინძიდან - 29, ბორჯომიდან - 23, ხაშურიდან - 22, ახალქალაქიდან - 18, ქარელიდან - 7, ხარაგაულიდან - 6, ჭიათურიდან - 5, ტყიბულიდან - 3, ლანჩხუთიდან - 2, გალიდან - 1 და სხვა. ასე შეიქმნა 64 ჯგუფი ქართულში, ისტორიაში, მათემატიკასა და უცხო ენებში (ინგლისური, გერმანული, ფრანგული). პედაგოგებად ძირითადად დაკავებული იყვნენ ფილიალის თანამშრომლები და მოწვეული სპეციალისტები. სულ 35 პედაგოგი, რომელთაგან 4 იყო მეცნიერებათა დოქტორი, 8 - მეცნიერებათა კანდიდატი, 5 ადგილობრივი პედაგოგი. აბიტურიენტთაგან ობოლი, მრავალშვილიანი და გაჭირვებულები - 67

მსმენელი, ემზადებოდა უფასოდ, ხოლო 30 იხდიდა გადასახადის ნახევარს.

მოსამზადებელი კურსები საბოლოოდ ჩამოყალიბდა ფილიალის მოსამზადებელ განყოფილებად (ბრძანება N70, 28 ნოემბერი, 1990წ), თუმცა ზოგჯერ ხდებოდა ტერმინოლოგიური აღრევა, გვხვდება ბრძანებებში „კურსები“ და „განყოფილება“.

კიდევ უფრო დაიხვეწა მეორე წელს ეს პროცესი. მაგალითად: ბრძანება N276 - ის (1991წლის 10 დეკემბერი) მიხედვით თითოეულ ჯგუფში განსაზღვრული იყო მსმენელთა რაოდენობა. 5-დან 15 - მდე. შესაბამისად 5 კაციანი ჯგუფის პედაგოგი (ძირითადად - უცხო ენები) ნაკლებს ლეზულობდა ხელფასს, ვიდრე 15 კაციანისა. თითოეულ ჯგუფში საკვირაო მეცადინეობა დადგინდა 4 ასტრონომიული საათის ოდენობით.

1991 წლის 10 დეკემბრის ბრძანება N277 - ით ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ახალციხის ფილიალთან არსებული ფასიანი მოსამზადებელი კურსების გამგედ დაინიშნა ზ. ვაშაკიძე ხელფასი თვეში 300 მანეთი. მოსამზადებელი სარეპეტიტორო სწავლება პრინციპის დონემდე გასერიოზულდა, დიდი იყო მოსახლეობის ინტერესი, ამიტომ ჩავატარეთ გამოცდები, საამისოდ კი თბილისიდან მოვიწვიეთ გამომცდელები:

ქართულში: ლეილა გეგუჩიძე, ვილენა ჯოჯუა და ნესტან სულავა.

ისტორიაში: ნოდარ შოშიტაიშვილი, ივანე მენტეთაშვილი, დავით ლომიტაშვილი და ალექსანდრე დაუშვილი.

გეოგრაფიაში: ზურაბ სეფერთელაძე, ქრისტეფორე ჯაყელი, იოსებ ქართველიშვილი, ლიანა კვერენჩხილაძე და ნონა დიასამიძე (ბრძანება N 88, 17 იანვარი).

მოსამზადებელი კურსებისათვის ტარდებოდა სპეციალური ღია კარის დღე (ბრძანება N 255, 26 აპრილი, 1991წ).

ადმინისტრაციული ზედამხედველობა გამკაცრებული გვექონდა. გარდა იმისა, რომ განყოფილებას (კურსებს) ხელმძღვანელობდა სპეციალურად გამოყოფილი პროფესორი, თავის პასუხისმგებლობას ინანილებდნენ ფაკულტეტები: 1991 წლის 7 მარტის ბრძანება N125 გვამცნობს: „დაევალოს კათედრებს მოსამზადებელი კურსების სრული პასუხისმგებლობა შესაბამის სპეციალობებზე“

ფილოლოგიის ფაკულტეტზე - კ. კაკიტაძეს
ისტორიის ფაკულტეტზე - ვ. სილოგავას
ეკონომიკის ფაკულტეტზე - გ. კვინიკაძეს

მოსამზადებელ კურსებზე ყოველგვარი მოძრაობა, ჯგუფიდან ჯგუფში გადასვლა ან ჩამორჩენილობის გამო ამორიცხვა, ფორმდებოდა შესაბამისი ბრძანებით, ყოველგვარი გაუგებრობის თავიდან აცილების მიზნით (იხ. 1991 წლის ბრძანება NN 120, 121 და 154).

ფილიალში რეპეტიტორობის სისტემის შექმნით არასოდეს რეკლამა არ გაგვიწვია იოლი გამოსავლის, უნივერსიტეტში ადვილად მოხვედრისათვის. მსმენელებს როგორც ზემოთ ითქვა, ვუტარებდით გამოცდას, თუ ვერ ისწავლიდა, ამოვრიცხავდით კურსებიდან და ამასთან ერთდ ვუხსნიდით, რომ სულ არ არის აუცილებელი გქონდეს უმაღლესი განათლების დიპლომი, თუ არა გაქვს შესაბამისი ცოდნა.

ჯერ კიდევ 1990 წელს ვწერდით: „ქართველი კაცის ფსიქოლოგიაში ჩამოყალიბდა ხშირად უაზრო ლტოლვა უმაღლესი განათლებისაკენ.

თუ ახალგაზრდას უმაღლესი განათლების დიპლომი აქვს, ყველაფერი აქვს, თუ არა და - არაფერი. რა თქმა უნდა, საუნივერსიტეტო განათლებას აქვს მნიშვნელობა ადამიანის ფორმირებაში; კარგია, როდესაც უნივერსიტეტდამთვრებული დედა ზრდის შვილებს, მაგრამ არასოდეს კატასტროფად არ უნდა აღვიქვათ, თუ ჩვენმა შვილმა ვერ დაამთავრა უმაღლესი სასწავლებელი.

აუცილებლად უნდა ვირწმუნოთ, რომ დიპლომიანთა დრო წავიდა. დასრულდა ეპოქა, როდესაც დიპლომის მქონე არაფრის მცოდნე პიროვნება შეიქმნიდა პარტიულ კარიერას და ისე შეეძლო გაეველო მთელი ცხოვრება, რომ ხელმძღვანელი ყოფილიყო, მანქანა მომსახურებოდა და არასოდეს ემუშვა სპეციალობით. დიპლომიანთა დევალვაცია სახეზეა.

ზოგჯერ იქნებ დროის კარგვაა მთელი ხუთი წლის განმავლობაში მერხთან ჯდომა („მესხეთი“, N 2, 25 დეკემბერი, 1990წ).

ეს ვრცელი ამონაწერი იმიტომ მოვიყვანეთ, რომ პრობლემას აქტუალურობა დღესაც არ დაუკარგავს. შემდეგმა პერიოდმა ნათქვამი გაამართლა. არ არის შემთხვევით პროფესიული

სწავლების სახელმწიფო დონეზე აყვანა დღეისათვის და პრიორიტეტად გამოცხადება. სხვას რომ თავი დავანებოთ, იქნებ არც ღირდა რეპეტიტორობის საკითხზე ყურადღების გამახვილება, მაგრამ დღევანდელი გადასახედიდან აშკარაა ერთი ტენდენცია: რაოდენ მეტი იყო ახალგაზრდობა მე-20 საუკუნის 90-იან წლებში და როგორ შემცირდა დღეს. მოსამზადებელი სარეპეტიტორო კურსები დღესაც არის ბევრ უმაღლეს სასწავლებელში და მათ შორის სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში. დიდია კონკურენცია, თბილისის უმაღლესი სასწავლებლები სთვაზობენ „განსაკუთრებულ“ პირობებს აბიტურიენტებს, მაგრამ ამ პირობებშიც კი თავის მისიას არ ღალატობს ჩვენი უნივერსიტეტი, მისიას, რომ ემსახუროს თავის ქვეყანას, სამცხე-ჯავახეთს და მაქსიმალურად შეემციროს ახალგაზრდობის გადინება სამხრეთ საქართველოდან.

მოგონებები უნივერსიტეტზე*

ლეილა გეგუჩაძე



ახალციხეში, საქართველოს ამ მრავალჭირნახულ კუთხეში, უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა უნივერსიტეტის დაარსებას. ამ საქმეში განუზომელია როლი ი. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა, რომელმაც 1990 წელს ახალციხეში გახსნა თავისი ფილიალი: თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მესხეთის ფილიალი - ასე

ენოდებოდა მას იმ წლებში.

არანაკლები მნიშვნელობა ჰქონდა იმას, თუ ვის დაეკისრებოდა პასუხისმგებლობა ამ საშვილიშვილო საქმის ღირსეულად წარმართვასა და იმ დიდი მიზნების განხორციელებაში, რომლებიც ახალი ქართული უნივერსიტეტის წინაშე იდგა. ამ თვალსაზრისითაც, ჩემი (და არა მხოლოდ ჩემი) აზრით, შესანიშნავი არჩევანი გაკეთდა: რექტორად (მაშინ დირექტორი ერქვა) იმ კუთხის ერთგული შვილი, დედაუნივერსიტეტის აღზრდილი და იმჟამად ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი, ტოპონიმიკის ლაბორატორიის უფროსი მეცნიერი თანამშრომელი მერაბ ბერიძე დანიშნა.

იმავე 1990 წელს ჩატარდა პირველი მისაღები გამოცდები. ქართული ენისა და ლიტერატურის საგნობრივი კომისიის თავმჯდომარეობა ბ-ნმა მერაბმა მე მთხოვა. ეს ჩემთვის დიდ პატივი, დიდი ნდობა იყო, თან - დიდი პასუხისმგებლობა, რომელსაც არც

* 2015 წელს 25 წელი შეუსრულდა დაარსებიდან სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტს, რომელიც მაშინ, 1990 წელს, იყო ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ახალციხის ფილიალი. იუბილესთან დაკავშირებით შეიქმნა მოგონებათა ციკლი, რომელთა ბეჭდვას იწყებს „არავი“. **რექტორი.**

მე და არც კომისიის წევრები (რომელთა შერჩევა მე მანდო და, ცხადია, მისი თანხმობით იქნა დადგენილი) არ გავქცევით. ყველას ერთი მიზანი გვამოძრავებდა: ისე ჩაგვეტარებინა გამოცდები, რომ „ბუნებრივად მლელვარე“ აბიტურიენტებისათვის დაგვეხვედრებინა სიმშვიდე და კეთილგანწყობა, მათი ცოდნის შეფასებისას კი არავის გასჩენოდა უსამართლობის, არაობიექტურობის ოდნავი განცდაც კი. ვფიქრობ, ჩვენ ეს შევძელით...

25 წელი გავიდა მას შემდეგ. ყველა დეტალი ახალციხის უნივერსიტეტთან ჩემი იმდროინდელი ურთიერთობისა დღეს, ცხადია, ძნელი აღსადგენია, მაგრამ ერთი რამ გულ-წრფელად უნდა ვთქვა: ყველაფერს, წვრილმანსაც კი, რასაც ვიხსენებ, სიყვარულის, სიხარულის, სიამოვნების გაუნელებელი განცდა ახლავს თან.

მასხოვს, როგორი ბედნიერები ვიყავით, როდესაც ახალციხეში ჩასულებმა გავიგეთ, რომ კონკურსი საკმაოდ დიდი იყო და რომ ჩვენი აბიტურიენტები, შესანიშნავი გოგო-ბიჭები, მხოლოდ ადგილობრივები კი არ იყვნენ, საქართველოს თითქმის ყველა კუთხიდან იყვნენ ახალციხეში ჩამოსულები უმაღლესი განათლების მისაღებად...

ერთხელ, წერიტი გამოცდის დღეს, აბიტურიენტებით გადავსებულ დარბაზში ყველასათვის მოულოდნელად ქალბატონი მზექალა შანიძე შემობრძანდა. იმ პერიოდში თბილისის უნივერსიტეტში საზაფხულო სკოლა მუშაობდა ქართული ენის შესწავლის მსურველი უცხოელებისათვის. ქალბატონ მზექალას, მათს პედაგოგს, ვარძიაში მიჰყავდა ისინი ექსკურსიაზე და საგანგებოდ შემოიარა ახლადგახსნილ უნივერსიტეტში, რომ ენახა, როგორ მიმდინარეობდა გამოცდები. ამ სასიამოვნო მოულოდნელობამ ყველა გაგვახარა (ვფიქრობ, ეს მნიშვნელოვანი იყო აბიტურიენტებისათვისაც).

ხანმოკლე ექსკურსიებზე გასვლას ჩვენც ვახერხებდით: ბატონი მერაბი ცდილობდა ყველა პირობა შეექმნა ნორმალური მუშაობისა და დასვენებისათვის. ზეპირი გამოცდის დასრულების შემდეგ, თუ თავისუფალი დრო გვრჩებოდა, ვათვალიერებდით ქალაქის ღირსშესანიშნაობებს, ამ კუთხის ბრწყინვალე ეკლესია-მონასტრებს: მოვიინახულეთ ზარზმა, ადრეფეოდალური ხანის ქართული ხუ-

როთმოდღვრების ბრწყინვალე ძეგლი და მნიშვნელოვანი კულტურულ-საგანმანათლებლო კერა; პირველად ვნახე ულამაზესი საფარა, წმინდა საბა განწმენდილის მთავარი ტაძარი, ტყეში ჩამალული „შუენიერად დიდნაშენი, გუმბათიანი“ (ვახუშტი ბატონიშვილს დავესესხე) მონასტერი, რომელიც მოულოდნელად მხოლოდ მაშინ აღიმართა ჩვენ წინ, როდესაც მივუახლოვდით, და უზარმაზარი შთაბეჭდილება მოახდინა. მოუხახულებელი არც ვარძია დაგვიტოვებია - კლდეში ნაკვეთი სამონასტრო ანსამბლი, უნიკალური ძეგლი ქართული კულტურისა...

ისევ გამოცდებს უნდა მივუბრუნდე: 1990 წელს თბილისის სახ. უნივერსიტეტში მისაღები გამოცდები ქართულ ენასა და ლიტერატურაში განსხვავებულად ჩატარდა. ფილოლოგიის ფაკულტეტის იმჟამინდელი დეკანის - პროფ. კორნელი დანელიას ინიციატივით, წერით გამოცდაზე აბიტურიენტებს შესთავაზეს იმგვარი სამუშაო, რომელიც (ნაცვლად ტრადიციული „გარჩევის“, ათასჯერ „გადაღეჭილი“ თემებისა) საპროგრამო მხატვრული ნაწარ-მოებების ტექსტის გააზრებულ ცოდნასა და დამოუკიდებელი მსჯელობის უნარს ამოწმებდა. ექსპერიმენტმა გაამართლა. კარგად მახსოვს: იმ წელს უნივერსიტეტმა პირველკურსელთა ძლიერი ნაკადი მიიღო (ეს განსაკუთრებით თვალსაჩინო იყო ფილოლოგიისა და აღმოსავლეთმცოდნეობის ფალულტეტებზე).

რადგან გადაწყდა, რომ ახალციხის უნივერსიტეტშიც მისაღები გამოცდები ქართულ ენასა და ლიტერატურაში ანალოგიური წესით უნდა ჩატარებულიყო, ბატონმა მერაბმა საჭიროდ ჩათვალა, რომ მისაღები გამოცდების დაწყებამდე მომავალი აბიტურიენტებისათვის წინასწარ გაგვეცნო სიახლე და ამ მიზნით საცდელი, სასინჯი წერა ჩაგვეტარებინა. მოვამზადე საწერი მასალა (ვარიანტები) და 1991 წლის 8 იანვარს, ღამით, თბილისიდან ახალ-ციხეში მატარებლით გავემგზავრეთ სამნი: ვიკა ჯოჯუა (ნამდვილი პროფესიონალი და შესანიშნავი ადამიანი. ღმერთმა ნათელში ამყოფოს მისი სული), ნესტან სულავა და მე (ისინი ახალციხის უნივერსიტეტის მისაღებ გამოცდებში მონაწილეობდნენ). დილით მივედით უნივერსიტეტში, რომელიც სასინჯი წერისათვის მზად დაგვხვდა. ძალიან ველავდით ჩვენც და დამხვდურებიც: აბიტურიენტები, დამამთავრებელი კლასების მოსწავლეები, პედაგოგები, მაგრამ, საბედნიეროდ, ყველაფერმა ნორმალურად ჩაიარა...

არასოდეს დამავინწყდება, როგორ ვასწორებდით ნაწერებს სანთლის შუქზე, გაუთბო-ბელ შენობაში (ან კი რა დაგვაავინწყებს იმ მძიმე 90-იან წლებს), მაგრამ იმდენად დიდი იყო ჩვენი ენთუზიაზმი (ბატონი მერაბიც ჩვენ გვერდით იყო და ყველაფერს აკეთებდა, რომ მუშაობისათვის ხელი შეეწყოს), თითქოს არც კი ვგრძნობდით დისკომფორტს და ამ ეპიზოდსაც სიამოვნებით ვიხსენებდით ხოლმე (ახალციხეში გატარებული ის ოროდე დღე ჩემთვის იმის გამოცაა დაუფინყარი, რომ სწორედ მაშინ გავხდით ბებია - 9 იანვარს ჩემი საბა დაიბადა).

ნორმალურად ჩაიარა 1991 წლის მისაღებმა გამოცდებმაც. ახალციხის უნივერსიტეტთან ურთიერთობა მოგვიანებითაც გაგრძელდა: ჩვენი ინიციატივით ჩატარდა ერთობლივი სამეცნიერო კონფერენცია (თბილისის სახ. უნივერსიტეტისა და მისი ფილიალების ფილოლოგიის ფაკულტეტებისა), მოვანყვეთ სტუდენტთა საენათმეცნიერო წრის გამსვლელი კონფერენცია ახალციხეში (იმდროინდელი სტუდენტები, დღეს ჩემი უმცროსი კოლეგები, ხშირად იხსენებენ იმ დღეებს)... გასახსენებელი სხვაც ბევრია, მაგრამ ჩემი ყველაზე დიდი, დაუფინყარი, გაუნელებელი შთაბეჭდილება ახალციხეში მისაღებ გამოცდებზე მეორე წელს ჩასვლას უკავშირდება: ეს იყო შეხვედრა აბსოლუტურად შეცვლილ ქალაქთან! პირველ წელს ქალაქი მოწყენილი მეჩვენა, ქუჩებში ქართულზე უფრო ხშირად სხვა (რუსულ, სომხურ) ენებზე მოლაპარაკე ადამიანები მხვდებოდნენ... ახლა კი თვალნათლივ დავინახე სასიკეთო ცვლილება - ეს აშკარად სხვა ახალციხე იყო, გაახალგაზრდავებული, ხალისიანი...

დღეს ახალციხის უნივერსიტეტს სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი ჰქვია, რომელიც ახორციელებს საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამებს, აქვს საკუთარი გამომცემლობა, სამეცნიერო გამოცემები, გაზეთი... წარმატებული საერთაშორისო ურთიერთობები... რაც იმის დასტურია, რომ 25 წლის წინ საფუძველჩაყრილი უნივერსიტეტი თავის მისიას ღირსეულად ასრულებს. ვუსურვებ მას შემდგომ წინსვლას, წარმატებებს. მრავალი სიკეთე მოეტანოს თავისი რეგიონისა და მთელი საქართველოს-თვის. მიხარია, რომ რექტორად კვლავ ბატონ მერაბს ვხედავ, რომელსაც უზარმაზარი წვლილი მიუძღვის მესხეთ-ჯავახეთში ქართული სულის გაძლიერებაში.

ცაგერისა და ლენტეხის მთავარეპისკოპოსი სტეფანე



ახალციხეში უმაღლესი სასწავლებლის იდეა ახალციხელ ახალგაზრდებს ჯერ კიდევ წინა საუკუნის ოთხმოციანი წლების დასაწყისში დაგვებადა. მაშინ დაიწყო ე. წ. პერესტროიკა, რამაც საბჭოთა იდეოლოგიური პრესი შეასუსტა და ასეთ საკითხებზე ფიქრის შესაძლებლობა მოგვეცა. 1981 წელს დავამთავრე საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის ავტომატიკისა და გამოთვლითი ტექნიკის ფაკულტეტი და ინჟინრად დავინწყე მუშაობა, მაგრამ ძალიან მაინტერესებდა ისტორია – ზოგა-

დად და საქართველოს ისტორია – განსაკუთრებით.

შევეცადე ჩამეზარებინა თბილისის სახ. უნივერსიტეტში ისტორიის ფაკულტეტზე, მაგრამ უარი მივიღე, საბუთებიც კი არ მიიღეს. მაშინ ერთი უმაღლესი სასწავლებლის დამთავრების შემდეგ მეორეში ჩაბარების უფლებას არ იძლეოდნენ. რა უნდა მექნა. ვკითხულობდი ივანე ჯავახიშვილის ტომეულებს, პავლე ინგოროყვას წიგნებს, სხვა ისტორიკოსების ნაშრომებს. ყველაფერი მაინტერესებდა, მაგრამ განსაკუთრებით მესხეთის ისტორია მიზიდავდა. ყოველივე ამან ძალზედ გაამძაფრა ჩემში სურვილი რაიმე გამეკეთებინა ჩემი კუთხისთვის.

მეგობრების წრეში ხშირად ვსაუბრობდით ასეთ თემებზე და სწორედ მაშინ წარმოგვეშვა იდეა ახალციხეში უმაღლესი სასწავლებლის დაარსებისთვის ბრძოლისა. კიდევ ერთი საკითხი, რაც აფერხებდა სამცხე-ჯავახეთის განვითარებას, იყო სასაზღვრო რეჟიმი, რომელიც მაშინ მოქმედებდა და აწყურში განლაგებული შლაგბაუმი, რომლის გადალახვისთვისაც ძალზედ დიდი ძალისხმევა სჭირდებოდათ ხოლმე დანარჩენი საქართველოს მცხოვრებლებს. ამ ორი მიმართულებით გადავწყვიტეთ მოქმედება.

უმაღლეს სასწავლებელზე ფიქრისას ყველა ვთანხმდებოდით, რომ საუკეთესო იქნებოდა უნივერსიტეტის გახსნა, თავდაპირველად, თუნდაც თბილისის სახ. უნივერსიტეტის ფილიალის სა-

ხით. თუმცა, თუ ამის შესაძლებლობას არ მოგვცემდნენ, რომელიმე უმაღლესი სასწავლებლის ფილიალის გახსნასაც გამარჯვებულად მივიჩნევდით.

შემდეგ გავიცანით ახალგაზრდა მეცნიერთა კლუბის წევრები, რომელიც მდებარეობდა თბილისში, ფილარმონიის შენობაში. ისინი ხშირად ჩამოდიოდნენ სამცხე-ჯავახეთში იმავე მიზნებითა და იდეებით, რაც ჩვენ გვამოძრავებდა და ძალზედ დავახლოვდით. მაშინ ერთობლივად შევიმუშავეთ გეგმა სამცხე-ჯავახეთის ალორძინებისა და შევფიცეთ ერთმანეთს, რომ მთელს ჩვენს ძალებსა და ენერგიას არ დავიმუშრებდით ამ გეგმის შესასრულებლად. ჩვენს წრეში იყვნენ ახალგაზრდები, რომელთა მშობლებსაც შეეძლოთ გავლენა მოეხდინათ ამ საკითხების გადაწყვეტაზე. ამავე დროს ჩვენც ვცდილობდით ჩვენი შესაძლებლობების ფარგლებში გვეაქტიურა. უნდა აღვნიშნო, რომ ამ გეგმის ძირითადი ნაწილი დღეისათვის განხორციელდა და პირველი პუნქტი ამ გეგმისა იყო ახალციხეში უნივერსიტეტის დაარსება.

ოთხმოციან წლებში დაარსდა რუსთაველის საზოგადოება, რომლის მეშვეობითაც საბჭოთა ხელისუფლებას სურდა დაპირისპირებოდა მაშინ მოქმედ არაფორმალურ გაერთიანებებს, მაგრამ ეს გეგმა მათ ვერ განახორციელეს, რადგან ცოტა ხანში რუსთაველის საზოგადოებაც დაუპირისპირდა კომუნისტურ რეჟიმს. მე ამირჩიეს რუსთაველის საზოგადოების სამცხე-ჯავახეთის ორგანიზაციის თავმჯდომარედ და უნივერსიტეტის საკითხი ამ მხრიდანაც მძაფრად დაისვა.

ხშირად დავდიოდი ხოლმე სამცხე-ჯავახეთის ისტორიულ მუზეუმში და იქ მუზეუმის დირექტორის, ქალბატონ ციური ლაფაჩის კაბინეტში გავიცანი ახალციხის უნივერსიტეტის მომავალი რექტორი, ბატონი მერაბ ბერიძე. ამ დროს ჯერ უნივერსიტეტის საკითხი არ იდგა დღის წესრიგში. ბატონი მერაბი სამეცნიერო მიზნებით ჩამოდიოდა ხოლმე ახალციხეში და ხშირად ვსაუბრობდით სამცხე-ჯავახეთის პრობლემებზე. აქვე უნდა აღვნიშნო, რომ ახალციხეში თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილიალის დაფუძნებაში უდიდესი წვლილი მიუძღვის თსუ-ს მაშინდელ რექტორს, ბატონ ნოდარ ამაღლობელს.

ერთ მშვენიერ დღეს, აღარ მახსოვს 1989 წელი იყო, თუ 1990 გავიგე, რომ ახალციხეში იხსნება უნივერსიტეტი და მის რექტორად ინიშნება ბატონი მერაბ ბერიძე. ჩემს სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა. გადავწყვიტე ჩამებარებინა ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ახალციხის ფილიალში ისტორიის ფაკულტეტზე. ამით ბოლოს და ბოლოს აღვასრულებდი დიდი ხნის ოცნებას, მესწავლა ისტორიის ფაკულტეტზე და, ამავე დროს, მაინტერესებდა, როგორი იქნებოდა ახალი უნივერსიტეტი, მსურდა შიგნიდან, სტუდენტის სტატუსით დამენახა მისი ცხოვრება.

მაშინ 100 სტუდენტზე ოდნავ მეტი მოეწყო ახალ უნივერსიტეტში. ერთი ოჯახივით ვიყავით. ყველა ყველას ვიცნობდით. ძალზედ თბილი ატმოსფერო სუფევდა. ლექტორები ძირითადად თბილისიდან დადიოდნენ. ისტორიის კათედრის გამგე ბატონი ვალერი სილოგავა იყო, ძალზედ დიდი მეცნიერი. ჩვენ ძალიან დავმეგობრდით, მან მასწავლა მეცნიერული მუშაობა და შემდეგ უკვე არაერთ სამეცნიერო კონფერენციაში ვლებულობდით მონაწილეობას. ათონის ქართველთა მონასტრის – ივერონის ბიბლიოთეკაშიც ვიმუშავებთ ერთად ძველ ქართულ ხელნაწერებზე. დაუვინყარია მის გვერდით გატარებული ყოველი დღე. სამწუხაროდ, ბატონი ვალერი გარდაიცვალა და ველარ მოვასწარით მრავალი გეგმის განხორციელება. არასოდეს დამავინყედება ბატონი ოთარ ლამბაშიძე დიდი არქეოლოგი და კეთილი ადამიანი. ღმერთმა აცხოვროს მათი სულები.

სტუდენტური ცხოვრება საინტერესოდ წარიმართა. მე, სხვებთან შედარებით უფროსი ვიყავი წლოვანებით, თუმცა ეს განსვავება მაინცდამაინც არ იგრძნობოდა. მრავალი მეგობარი მყავდა. ხშირად დავდიოდით ერთად წირვა-ლოცვაზე ახალციხეში, საკათედრო ტაძარში და საფარის მონასტერში.

ბატონი მერაბი უამრავ პრობლემას უმკლავდებოდა. უნივერსიტეტის დაარსება იოლი საქმე არ არის. მის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ყველა სიძნელეს ჩვეული სიდინჯითა და ერთგულებით ართმევდა თავს. ჩვენც, სტუდენტები, შეძლებისდაგვარად ვედექით მხარში.

1994 წელს დიაკვნად მაკურთხეს და უნივერსიტეტის დამთავრება სასულიერო პირის ხარისხში მომიწია. უნივერსიტეტის

დამთავრების შემდეგაც არ წყდებოდა ჩვენი კავშირი. უნივერსიტეტი და, პირადად, ბატონი მერაბი მხარში ედგა ეკლესიას. განსაკუთრებით საფარის მონასტერსა და შემდგომ, ჭულევის მონასტერს. უამრავი სადიპლომო ნაშრომი მიეძღვნა ჭულევის მონასტერს, განსაკუთრებით აქტიურობდნენ გამოყენებითი ფაკულტეტის სტუდენტები და მასწავლებლები, ფაკულტეტის დეკანის ბატონ რამაზ კორშიას მეთაურობით. რა თქმა უნდა, ეს ყოველივე, ბატონ მერაბ ბერიძის მხარდაჭერითა და უდიდესი ძალისხმევით ხდებოდა.

უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლები და სტუდენტები აქტიურად ჩაერთვნენ სამცხე-ჯავახეთის საზოგადოებრივ ცხოვრებაში და უამრავი კეთილი საქმე აღასრულეს. ბატონი მერაბის დიდი ძალისხმევით უნივერსიტეტის ფილიალი გაიხსნა ჯავახეთშიც – ახალქალაქში, რაც ძალზედ მნიშვნელოვანი მოვლენა იყო საქართველოს ცხოვრებაში. უამრავი სამეცნიერო ნაშრომი დაინერა, უამრავი კვლევა განხორციელდა, უამრავი კეთილი საქმე აღესრულა ახალციხის უნივერსიტეტის თაოსნობით. ახალციხის უნივერსიტეტისა და ახალციხისა და ტაო-კლარჯეთის ეპარქიის ძალისხმევით ჩამოყალიბდა გრიგოლ ხანძთელის საზოგადოება, რომელმაც მრავალ სასიკეთო წამოწყებას ჩაუყარა საფუძველი.

უნივერსიტეტს გარკვეული პრობლემები შეუქმნა იმ ე.წ. განათლების რეფორმამ, რომელიც სრულიად გაუაზრებლად და მეცნიერებისგან დამოუკიდებლად განახორციელა საკუთარი მიზნებისთვის ავტორიტარულმა ხელისუფლებამ, მაგრამ უნივერსიტეტი გადარჩა და კვლავ განაგრძობს თავის, უაღრესად მნიშვნელოვან საქმიანობას.

წარმატებები მინდა ვუსურვო სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტს, მის პროფესორ-მასწავლებლებსა და სტუდენტებს, მის რექტორს. მრავალჯამიერ ელვანოს უნივერსიტეტს ჩვენი ქვეყნისა და ეკლესიის საკეთილდღეოდ.

მაია ქუქჩიშვილი

ყველაზე ბედნიერი მაშინ ვიყავი, როდესაც ექვსი წლის შემდეგ ჩემს სიყვარულის უნივერსიტეტში ხელახლა შემოვაბიჯე საბერძნეთიდან დაბრუნებულმა. დამხვდა განახლებული შენობა, ინვენტარიზებული, მონესრიგებული აუდიტორიები, კაშკაშა დერეფნები... მე ამ უნივერსიტეტის პირველი სტუდენტი ვიყავი და ჩემს თანაკურსელებთან ერთად, მისი არსებობის პირველივე დღეებიდან, მისი წარმატების თუ პრობლემების მონაწილე და თანამოზიარე.

არ დამავინწყდება მისაღები გამოცდების ცხელი დღეები, უნივერსიტეტის ეზოში მოფუსფუსე მშობლები და შემდეგ უკვე ჩემი თანაკურსელები. 16 წლის ვიყავი მხოლოდ, კარგად მქონდა ჩემი დეიდისგან გათავისებული ფილოლოგის ხვედრი და ფასი. თვითონაც ფილოლოგი, მანებვირებდა ჯერ კიდევ სკოლის მოსწავლეს შესაბამისი ლიტერატურით, რითაც შემდეგ ვეხმარებოდი ჩემს მეგობრებს მეცადინეობაში, გასული საუკუნის 90-იან წლებში ხომ ყველაფერი დეფიციტი იყო.

1990 წელი იდგა, სექტემბერი, ჩვენმა უნივერსიტეტმა მაშინ აიღვა ფეხი. ტექნიკურ-მატერიალური ბაზის უქონლობის გამო, ბევრი ქველმოქმედი დაეხმარა უნივერსიტეტს და მათ შორის, მამაჩემმა 1000 ლარი ჩარიცხა უნივერსიტეტის ანგარიშზე, „რეპეტიტორებში არ დამიხარჯავს და ჩვენს უნივერსიტეტს მოვახმარო“. მახსოვს, როგორ იქმნებოდა აუდიტორიები, როგორ შეგვექონდა თითოეული სკამი, მერხი და დაფა... სამი სპეციალობა, 150-მდე ადამიანი სტუდენტ-პედაგოგიან-ადმინისტრაციანად. თითქმის ყველა ერთმანეთს ვიცნობდით, პატივს ვცემდით, გვიყვარდა კიდევ ერთმანეთი და დღემდე ასე მოვდივართ.

მერე იყო სტუდენტობის წლები, იმ ეპოქის საოცრად დუხჭირი ცხოვრება, ყველანაირი თვალსაზრისით, მაგრამ მაინც ულამაზესი წლები. ჩვენ გავაცოცხლეთ და გავახალისეთ ქალაქი ახალციხე. საიდან არ იყვნენ ჩემი მეგობრები ჩამოსულები ცოდნის მისაღებად, საქართველოს თითქმის ყველა კუთხიდან. უნივერსიტეტისკენ თუ უნივერსიტეტიდან მიმავალ-მომავლები ყოველთვის სიმღერით მივუყვებოდით რუსთაველის ქუჩაზე ალვის ხეების

ხეივანს. უნივერსიტეტში შესვლისას კი გვხვდებოდა პედაგოგებისა და ადმინისტრაციის თანამშრომლების საოცარი სიტობო და ყურადღება, საოცარი სიყვარული. მიუხედავად ზამთრის მკაცრი კლიმატისა, რაც იმ ხანებში სამხრეთ საქართველოში იცოდა, მიუხედავად იმისა, რომ არ გვქონდა შენობის გათბობის ფუფუნება, ხელები გვეყინებოდა და პირიდან გამოშვებული ორთქლით ვილხობდით... ლექციას უმიზეზოდ არავინ აცდენდა. ჩვენთან ლექციების ჩასატარებლად ხომ დედაქალაქიდან ჩამოდიოდნენ პროფესორები და ისინიც არაკომფორტულ გარემოში მგზავრობდნენ და ცხოვრობდნენ, გვიკითხავდნენ შესანიშნავ ლექციებს. რა პირობებშიც მათ უწევდათ ტრანსპორტირება და სხვა ყველა დანარჩენი, წარმოუდგენლად მიმაჩნია დღეს მათი თავგანწირვა, ისინი ჩვენი დროის გმირები იყვნენ.

მალევე შევქმენი ოჯახი და თითქოს მოვწყდი სტუდენტურ ცხოვრებას, მაგრამ ყველაზე მნიშვნელოვანი ის იყო, რომ სწავლას ისევ მაქსიმალური მონდომებით ვაგრძელებდი. პირველი შვილის შეძენის მოლოდინში ერთხელ უნივერსიტეტის ეზოში ცუდად ვიგრძენი თავი. უნივერსიტეტის კომენდანტებმა ქალბატონებმა თამარ გელაშვილმა და ნინო გიგოლაშვილმა გულწასული საავადმყოფოში გამაქანეს ქალბატონი თამარის მეუღლის „ვილისით“. ქალბატონი თამარი თავს მევლებოდა, მიპატრონა, დედობრივი მზრუნველობით მიყურებდა მას შემდეგ, მეც თავს დავალეებულად ვგრძნობდი ყოველთვის. გავიდა წლები, დიდხანს აღარსად შევხვედრივართ ერთმანეთს. ახლახანს, 25 წლის შემდეგ მანქანას ქალაქის ცენტრში სადგომზე ვაჩერებდი, მზე ურტყამდა უკანა საქარე მინას და ვერ შევნიშნე ქალი, რომელიც მანქანას უკან ამოდგომოდა და გზის მეორე მხარეს გადასვლას ცდილობდა. თვითონაც რაღაც დაბნეული იყო, ვეღარ გაერკვია, საით წასულიყო, მე კი უკან ნელი სვლით მას დავეჯახე. ახმაურდა, შეემინდა, საყვედურს საყვედურზე ამბობდა მძღოლის მისამართით, რომ ვერ შეამჩნიეს... მეც აღშფოთებული გადავხტი მანქანიდან და ქალბატონი თამარი შემრჩა. ჩავეხუტე, მოვეფერე, დავამშვიდე და შევახსენე, რომ ერთ დროს მან დახმარების ხელი გამომიწოდა, რომელიც ღრმად ჩამებეჭდა გულში და არასდროს დამავინწყებდა, მე კი

იმდენი რამ დამიგროვდა სათქმელი ამ წლების განმავლობაში, ძალიან გამიჭირდება კონკრეტულად ვინმეზე ან რამე დეტალზე ყურადღების გამახვილება. ჩემს თვალწინ გაიარა უნივერსიტეტის 25 წლიანმა ცხოვრებამ, თითქმის ერთად გავიზარდეთ, ერთად გვიხაროდა და გვტკიოდა, ერთად შევექმენით ჩვენივე მომავალი. რაც ყველაზე მეტად გულსატკენია, ჩვენ რიგებს გამოაკლდნენ ჩვენივე პედაგოგები, შემდეგ უკვე თანამშრომლები - კოტე კაკიტაძე, სერგო მელიქიძე, ზურა ქუქჩიშვილი, ვალერი სილოგავა, სოსო მახარაშვილი და სხვანი, რომელთა გარეშეც წარმოუდგენელია უნივერსიტეტის ისტორია.

პოეზია

თამაზ ზერეკიძე

თამაზ ზერეკიძე – დაიბადა 1953 წელს გორის რაიონში, სოფელ ტირძნისში. დაამთავრა ვ. კომაროვის სახელობის თბილისის ფიზიკა-მათემატიკური სკოლა-ინტერნატი,

შემდეგ – ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მექანიკა-მათემატიკის ფაკულტეტი და საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ასპირანტურა. მუშაობს ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში. არის ფიზიკა – მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი. პირველი ლექსი დაწერა 46 წლის ასაკში.



წინასიტყვაობის მაგიერ

კალმოსნობას არ ვიქადნი - ცხრა მუზისას ვიღებ ვალსა,
ვერცა დავთმობ ათენასთან გაჩენიდან ნაწერ ჯვარსა,
განდიდებას ვესწრაფვოდე - თავს არ ვკადრებ საქმეს ავსა,
ერთგულ ყმობით ხომ დავტოვებ უჩინარსა თუნდაც კვალსა.

ამიჯანყდა ნადარდალი, დახშულს მიმტვრევს გულის კარსა,
ფორმულებით ეს არ ითქმის - თავი მივცე მამ რა წყალსა,
ორი სიტყვის თქმა მინდოდა, განა ვიყრი რამე ჯავრსა,
ხოტბას არ გთხოვთ - ნუ ჩაქოლავთ სიყვარულით უმაძღარსა.

საით ქართველო?

საით ქართველო, ჰერო?
თავზე გექცევა ჭერო,
სატანას როგორ მიჰყიდე
პაპისეული ქვევერიო?!
საით ქართველო, ჰერო?
იავარქმნილა სერო,
სანატრებელი გაგიხდა
მატლებნაჭამი ქერო!
საით ქართველო, ჰერო?
როგორ გიცვლია ფერო,
რისი იმედით ვსუნთქავდი
მე უგუნური, შტერო?!
საით ქართველო, ჰერო?
რად შემიგინე წვერიო,
შენისთანების შემყურე
სოფლისა გავხდი გერო!
საით ქართველო, ჰერო?
ნაბილწე ერი-ბერიო,
ტვინ-გონი გაგმრუდებია,
სულს მოგდებია მტვერიო.
საით ქართველო, ჰერო?
უხმარ გიგდია კვერიო,
ეშმას მსახურად დამდგარხარ,
დაგწვია ობლის კვერიო!
საით ქართველო, ჰერო?
აღარ ღირს გითხრა ბვერიო,
იმაზე მეტი გვყოლია,
ვიდრე მეგონა - მტვერიო!
საით ქართველო, ჰერო?
ნამტირალევი ვმღერო,
დაფიქრდი, ვინძლო შემოგრჩა
კაცობის ერთი ღერო!

ბედნიერი პოლიტიკა

დანგრეული ოცნებები,
კარ-მიდამო და ფსიქიკა,
არ ვპატიჟობ, თავად მსტუმრობს
უსირცხვილო პოლიტიკა!

მარჩენალის სადღეგრძელო-
ერთი ყანწი, ორი ჭიქა,
სულ ეს არის მარჯვე ბიჭითა
ჩვენებური პოლიტიკა.

უნინ კაცი, ახლა იქეც
უსარგებლო ღორის ტიკად-
გაბერილი რომ დადიხარ,
ეს გგონია პოლიტიკა?

ფულის შოვნას შეახარჯე
თუ რამ გქონდა გონი, სიქა,
ლამე მშვიდად ველარ გძინავს,
რისთვის გინდა პოლიტიკა?

ვაშლი თურქისგან შემოგაქვს,
კარტოფილს სთხოვ კოსტა-რიკას,
ბალი გახმა - ასე იცის
უმეცარმა პოლიტიკამ!

ტყუილს ამბობ, თავს იმართლებ,
ხალხს მიიჩნევ უკვე ბრიყვად,
თქვენებურად „დაბოლება“
მიგაჩნია პოლიტიკად?

უტიფრობა ჰობად გექცა,
ღალატი კი ჩვევა - „ნიკად“,
ამისთანა უნამუსო
სად ისწავლე პოლიტიკა?

ხალხმა ხმა რომ ამოიღო,
იარაღზეც ხელი იკარ,
თუ დაგჭირდა, ტყვიას მესვრი-
არ დაგიშლის პოლიტიკა.

ალაზევებ, მერე იჭერ-
მონავ, ცოტა ჭკუით იყავ!
ერთმანეთის ჩაძირვაა
საყვარელი პოლიტიკა.

თქვენთვის უცხოს სულ მიჩნევ
მაბეზრებელ მკბენარ ბზიკად,
მატლებივით გასრესვა გაქვს
საოცნებო პოლიტიკად.

ზოგჯერ ისე იმალები,
თითქოს იქეც უკვე ხვლიკად,
პრემიებს კი არ აკლდები-
შე მსუნაგო პოლიტიკავ!

სალამოს პირს - რესტორნებში,
სამსახურში - სიზმრებში ხარ,
გეშინია, მარჩენალის-
არ გაგინყრეს პოლიტიკა.

მეტი რომ აქვს განათლება
მეზობლისას ჩოჩორიკას,
ცოდნა ჯობდა მოგეპარა,
მოიგებდა პოლიტიკაც.

ქართველი მძვინვარებდა-
ცოლით, შვილით შორით იყავ,
კურდღელივით რომ გარბოდი,
არ გრცხვენია პოლიტიკავ?

ხან დასავლეთს ეხუტები,
ხან მღერიხარ „ჩიკა - ჩიკას“,
ორივე რომ გიბარტყუნებს,
გამოტვინდი პოლიტიკა?

ლორის ტილი თავს დაგაჯდა,
შიშით უკვე ველარც იფხან,
ამბობ - დათვებს არ ენყინოთ.
ბრძნული მაქვსო პოლიტიკა.

ფუფუნება დააგროვე,
გუშინ ცალი ქოშით იყავ,
ასე გესმის რჩეულების
გამჭრიახი პოლიტიკა?

ღარიბს ართმევ, მდიდარს აძლევ,
ღმერთთან ნეტავ როგორ მიხვალ,
იქ ცხელ ქვაბში თუ აღმოჩნდი-
ჩაბჟირდება პოლიტიკა!

ქვეყნიდან რომ გაიქცევა-
ყველა ნიკა, ყველა ლიკა,
საზრუნავი მოგაკლდება,
დანყნარდები პოლიტიკა?

გაგონებაც აღარ მინდა,
შემადულეთ თვითონ სიტყვაც,
გოგოვ თავო, ბიჭო გიკა
შეიბრაღეთ პოლიტიკა.

რა მითხარი? რა მაცინე!-
ეს ქვეყანა თურმე გიყვარს?!
ეგ ჩასვრილი პოლიტიკა
ნუთუ ვერ გრძნობ როგორ გიყვარს?!

2010 წელი

მინდა და ვყვები!

ერთი ხანია ველარ ვიძინებ,
სარკმელთან ვზივარ და ვუსმენ ყმუილს.
მეზობლისაა - ხმაზე მეცნობა,
გულში ჩამწვდომად ყმუის და ყმუის,
განა ჩერდება-
ყმუის და ყმუის!

ძალზე გავბრაზდი - რომელს გავუძლო?
ღამით ყმუილს თუ დილიდან ტყუილს?
გამწარებულმა ესეც ვიფიქრე-
ავახევ ყურებს ძაღლის გაჩენილს-
რა ჯანდაბაა?! ასე რად ყმუის?
ხომ კარგად იცის მაგ ვაჟბატონმა-
ვერ ვიტან ტყუილს!

მერე გავნითლდი ძლიერ და ძლიერ-
ძალუმად შემრცხვა ჩემი უგულო
გულის სიყრუის!
ბრაზიც დავძლიე..
ჩემს თავს ვუმჯეღე:
იქნება არის გაჭირვებული?!
მამ, დალხინებული როდისა ყმუის?!
დალხინებული მღერის და სტყუის,
მაგრამ არ ყმუის!

ყური დაუგდე! - იქნებ არც სტყუის?!
სავარაუდოდ, ყმუის სიმართლეს-
იქნებ საბრალო არის ქართველი-
მაშინ ნუ გიკვირს - ასე რად ყმუის!

და საერთოდაც:

მართალი ყმუის,
მტყუანი სტყუის.

..

რა დროს ძილია! - მე და ის ძალღი
დავმეგობრდით და ვაგრძელებთ ერთად
გაბმულად ყმუილს.

უჭირთ გარჩევა რომელი ვარ მე
რომელი ძალღი,

ის თუ მე? მე თუ ის?

შორიდან მესმის:

- ნახე! უფრო კარგად კაცი ყმუის!

- ჰო! კიდეც - მგონი არც ერთი სტყუის!

...

გული მიგრძობს, მაინცა მკითხავთ-
შენ რა გაყმუვლებს, შენ რატომ ყმუი!

გეტყვით მიზეზებს:

- ძალღი რომ ყმუის,

- ხალხი რომ ყმუის

- ვილაც რომ სტყუის

- ნამუსი მაქვს და ამიტომ ვყმუი!

ბოლოს და ბოლოს:

- ჩემი საქმეა, მინდა და ვყმუი!

2011 წელი

სინდისო შე უსინდისო

ნადი დამეხსენ სინდისო,
სულ თან რას დამდეც კუდშია?!
სად გაგონილა მარადჟამს,
კაცს თავი ჰქონდეს ქუდშია?!
ამომასუნთქე ხანდახან,
რას მომენებე სულშია,
ტყუილი მეც მათქმევიწე,
ბორკილი ამხსენ გულშია.
მიმიშვი მეც გავერიო
უნამუსოთა გუნდშია,

კაცსა რომ დავალაღატებ-
არ ვაგდო აინუშშია.
როდემდე ვიყო ამ მგლებში
უტვინო ბაიყუშია,
თვალის მოხუჭვა მაცალე,
ნუ მახრჩობ საყვედურშია-
„აბა, შენ იცი, არ შეცდეს!“-
სულ ნუ ჩამჩხავი ყურშია,
ბევრი აშენდა უშენოდ,
მე კიდევ ვზივარ ქურშია
(გგონია მე ვერ ვიცურებ
ქონებასა და ფულშია?),
პატარა მეც დამასვენე,
რამდენ ხანს ვეგდო ხნულშია,
ხანდახან გავინავარდო,
გავმართო ტაში-ტუშია.
ჩამოვვჯდე მოზრდილ სკამზედა,
ოქრო-ვერცხლ ვზიდო ზურგშია,
ამბობენ სულ სხვა გემოა
აკრძალულ-მოპარულშია.
მომშორდი მეთქი - შენ გითხარ,
ნუ მომდეგ ნაფეხურშია!
(ხმას აღარ იღებ? გაყურდი?
ჩაეფალ სინანულშია?!)

* * *

მართლა წასულა ოხერი!
ვერ მოველ ბაიბურშია,
აღბათ იმიტომ გავმხეცდი,
შევტოპე უკაცურშია!
ეხლავე უკან დაბრუნდი!
გინდა მაცხოვრო ფურთხშია?!
ცოტა თუ დააგვიანე,
ეშმა მიპოვის მრუშია!

* * *

გეხუმრე შე უსინდისო -
ვარ ცოტა გადაკრულშია!

ოი, რარიგად მომწყურებია!

უტეხი რომ ვარ, ვის დავაბრალო,
არავინ იცით, ეს რომ მიამბოს?
იქნებ ქეთევანს, იქნებ შუშანიკს,
ან რწმენისათვის დაფერფლილ აბოს?

ხალხის ღალატი რად ვერ ვისწავლე-
ვინ გეგულებათ ამ ამბის მცოდნე?
მიზეზი თუა მღვდელი თევდორე
ანდა სულმნათი ვაჟკაცი ცოტნე?

არ მყავს ძმაკაცი და ამხანაგი,
მყავს მეგობარი - ნალდი და ცოტა,
ამაში მაინც ვინ სტყუის ნეტავ-
იქნებ მე თვითონ ან იქნებ შოთა?

უსამართლობას რომ ვერ შევეკარ,
წელან ვილაცამ დათა ახსენა,
რა ვიცი აბა, იქნება მართლა,
ან იქნებ სულაც ბიჭი არსენა!

ვიცი რომ ფიქრობთ, რად ვარ პირქუში,
სიტყვებიც ზოგჯერ არ მაქვს ტკბილია!
მაშ გაიხსენეთ გოროზი ქვრივი,
ან თუნდაც თვითონ დიდი ილია.

თუკი ვინანებ - რალად ვაკეთებ?
მგონი ვერ ხვდებით, თუმცა ხართ ბევრი!
კარგად დაფიქრდით და მოიგონეთ
მეფე დავითი ან ხევისბერი.

ვამბობ - განვსაჯოთ მხოლოდ ღირსებით,
რა შუამია ვისი შვილია!
იქნებ მიზეზი ეს ჩვენებური-
დღეს დაგმოხილი ჯულაშვილია?

ორგულს და ხორცმეტს ვერ ვეგუები,
იციოთ რა არის ამის საბაბი?
აღბათ ის არის, რომ დღესაც ბევრი
გვყავს შადიმანი და ლუარსაბი!

ხშირად რომ მიჭირს მაგრამ არ ვმრუდობ-
მიკვირს, რომ უკვირს ზოგიერთ ვინმეს,
ნუთუ არ იცნობს ან ცრუ თაყვანს სცემს
განძის მფლობელ და მშიერ ექვთიმეს?

არა ვჩერდები, თუმცა კი ბევრი
უთანასწორო გადამხდა ომი,
აღბათ იმიტომ, რომ შემომყურებს
პატარა კახი - მოხუცი ლომი.

ზოგჯერ მეტყვიან - ცოტანი რომ ვართ,
რატომ არ ფიქრობ მარცხი რა გველის?
მიტომ ხომ არა, რომ მესმის მუდამ
მხოლოდ სამასის ხმა არაგველის!

ნუ დააბრალებთ ჯორდანო ბრუნოს!

შხამის წვეთების კაკუნი მესმის,
ქვითინებს ტოტი ობოლი ჭერმის,
ჭაობი პირთან მოსულა უკვე,
შიშით შევეყურებ დაწყველილ მერმისს.

უდაბნო მჯაბნის, ქვესკნელში ურევს
ნაღვლის ჯაგნებით თავმობმულ ურმებს,
უკუნეთს მიღმა წერტილი ბუუტავს,
ვაი, რომ ისიც მშორდება თურმე!

ახოში ჩიტის გუნდი რომ ბუდობს,
ობობა ცოცხალს უქსოვდა კუბოს,
ღმერთებს ეძინათ, უკვირდათ ვერხვებს -
ეს კაცი მაინც რატომ არ ჩხუბობს?!

დასვრიათ ბარტყებს ჯერ თოთო ბურტყლი,
ვერ ავარიდე სიყალბის ტურტლი,
მე ხევისბერი მეგონა თავი,
ბრიყვი ვყოფილვარ! ლაჩარი, უტყვი!

ნიშნისმოგებით ეშმა ბჟირდება,
(რად არა ვჩნდებით ნეტავ გიჟებად!)
ჯოჯოხეთს ხახა დაუფჩენია, -
შემობრანდოთო - მეპატიჟება!

თავი გამექცა, ვერ ვიჭერ წყეულს,
გველის წელია ეტყობა წლეულს,
ყრანტალი გესმით? - სვავები კენკენ
ჩემს გაოგნებულ, დაფლეთილ სხეულს.

ნუთუ დამლალა სულ ომმა, ღელვამ?
ქრება სანთელი, მძვინვარებს ელვა,
ოი, რარიგად მომწყურებია
ამ ჩემი ღეშის წიხლით გათელვა!

წარსული ჩემი მოვიხმე ურცხვად,
მიხსენი მეთქი - ვაპირებ ვუთხრა,
იმანაც ზიზლით ასწია წარბი,
არც მომისმინა - შემომაფურთხა!

ახოში ჩიტის გუნდი რომ ბუდობს,
ობობა ცოცხალს უქსოვდა კუბოს,
ღმერთებს ეძინათ, უკვირდათ ვერხვებს-
ეს კაცი მაინც რატომ არ ჩხუბობს?!

მეუბნებიან - თუნდ გაიმარჯვო,
მაინც ფუჭია ბრძოლა ყოველი,
დილაც ვიცი - მკლავი მას მოჭრეს,
ვინაც ააგო სვეტიცხოველი!

ქედს არ მოვიხრი, გზას არ შევიცვლი,
თუ გინდაც ბედმა უფრო მაბრუნოს,
ჯანდაბას, გეტყვით ამ საიდუმლოს-
ნულარ აბრალებთ ჯორდანო ბრუნოს:

გზა არის თუმცა ძნელად სავალი-
წინაპარია წინ მიმავალი,
ამ მიწით მოველ, ამ ზეცით ვსუნთქავ,
წუთისოფლისა მეცა მაქვს ვალი!

მაგრამ ისაა უფრო მთავარი,
ჩემს უკან მოდის კიდევ მრავალი-
მოდის გიორგი, წინო, თამარი-
იმედი ქვეყნის და მომავალის.

ჩაუქინდრიათ თაჰი ზამბახეზს

ჯანყი განელდა, კოცონიც ცხრება,
დარჩა მარტოდენ გრილი ნაცარი,
ოი რამდენი, ოი რამდენი
კაცი მინახავს მე ნაკაცარი!

წინ მეწყერია, ბილიკი წყდება,
ვერ გამოვდექი მეგზურ - გამყოლად,
ეტყობა ჩემი არ იყო საქმე
წუნკი ტურების ამქრის აყოლა.

თემიდა თვალებს მიმალავს განზრახ,
თან მხრებს იჩეჩავს - „მე რას გიშველი,
ამ ნილბოსანთა ტიალ - ქალაქში
რამ გაგიყვანა ეგრე შიშველი?!“

მინისქვეშეთიც გადავაქოთე-
ქვენარმავალებს სორო ბევრი აქვთ,
თეთრი ყვავების საბუდარს ვეძებ,
ალარსადაა, დაურბევიათ.

დიოგენს ფარანს უკან ვუბრუნებ:
-ფარა რად მინდა ბალახის მძოვი,
ადამიანი დღისით ვერ ნახე,
ამ უკუნეთში მე რას ვიპოვი!

სიზმრად ტყეს ვხედავ, ალბათ იქაა
ჩემი ფიქრის და გულის ადგილი,
უნდა მოვსინჯო - მგლებთან ცხოვრება
იქნება არის უფრო ადვილი.

სიცარიელის ჩანჩქერი მავსებს,
გაუცხოებამ ეშვი ჩამასო,
ვერავინ ვნახე სოფელში მცნობი,
თუმცა, ვინა ვარ - თავად არ მახსოვს.

ზართა გუგუნი კლდეებს ასკდება,
მოთქმა დაუკრავთ მოცარტებს, ბახებს,
არწივსაც კეხზე ცრემლი ჰკიდია,
ჩაუქინდრიათ თავი ზამბახებს.

პასუხი სტუდენტებს

არ ვიცნობ, მაგრამ რომ
მიყვარს?-
ნაკლები ვისზე ვარ
ვითომ?
შენ რომ გიყვარს და მას
უყვარს-
მეც ალბათ მიყვარს
იმიტომ!
როცა თქვენ გიყვართ, მათ
უყვართ,
კარგს უყვარს, ცუდს კი არ
უყვარს,
კარგი ყმა უყვარს, ცუდს
არ ძმობს,
ცნობა რად უნდა?-მეც
მიყვარს!

ეპიგრაფული პოეზია

მადონა ჯავახიშვილი - საბერძნეთი, ათენი

დავიბადე და გავიზარდე ქ.თბილისში. 14 წელია ვიმყოფები ქ. ათენში. ამჟამად ვმუშაობ ათენის 50-ე საჯარო სკოლაში ქართული ენის პედაგოგად. ვარ ათენის „ქართული სახლის“ წევრი. ბავშვობიდან ვწერ ლექსებს. პოეზია ჩემი ბედნიერებაა. მყავს სამი შვილი და ორი შვილიშვილი. გამოცემულია ჩემი ლექსების კრებული. ასევე, ვარ ორი წიგნის თანაავტორი.



ზოგჯერ თასში ჩამოსხმული ღვინო ვარ,
ზოგჯერ ლექსში დაკარგული სტრიქონი.
სიმღერა ვარ, იქნებ მხატვრის ტილო ვარ,
თუ მომძებნი უსათუოდ მიპოვნი.

ხან სიო ვარ მზიანი დღის საამოდ,
მონაქრული მწვანე მთების კორდიდან.
იქნებ წვიმის წვეთად გადავიქცევი
და ღრუბელმა გადმომღვარა კოკიდან.

ხან ჩიტი ვარ, მოჭიკჭიკე ბელურა,
ანდა თევზი, მოცურავე წყლის ფსკერზე.
იქნებ ველზე ამოსული ია ვარ,
ან ვარსკვლავი, მიკერილი ცის მკერდზე.

უსასრულოდ გადაშლილი ლურჯი ზღვა,
ტალღის ქაფზე ჩამომჯდარი თოლია,
მე ყველგან ვარ, სადაც არ მელოდები,
მე იქა ვარ, სადაც შენ არ გგონია.

ხან მაისად მოვალ, ვარდებს მოგიტან,
დეკემბერში გზას მოგიფენ ფიფქებით,
არასოდე მიგატოვებ გახსოვდეს,
თუ მინატრებ, მეც შენს გვერდით ვიქნები.

27-06-2018

სველი ვალსი

წუხელ გიჟი წვიმა ასფალტზე ცეკვავდა,
წვეთები უკრავდნენ მინაზე არიებს,
ფიქრებმა სიზმრების კარი შემოაღეს,
გული ააჩქარეს და სულ გადამრიეს.

მღეროდნენ შხეფები ისევ იმ სიმღერას,
შენ რომ მომიძღვენი ოდესღაც ფარულად.
მუსიკას გავყევი და ვალსი ვეცეკვე,
წლები ფეხაკრეფით სადღაც გაპარულან.

მერე ღრუბლებიდან წარსულმა იელვა,
შეჩერდა ორკესტრი, დამშვიდნენ წვეთები,
წამით გაიელვა ღამის სიბნელეში,
შიშით აცახცახდნენ ძლიერი ვერხვები.

როდესაც იწვიმებს, კვლავ მოხვალ წვეთებად,
არ დამეძინება მუსიკის ლოდინში.
ვერასდროს გავბედე, რომ ცხადში გვეცეკვა,
ალბათ გვიანია დღეს ჩემი ბოდიშიც.

29-06-2018

საქართველო მეკარგება მგონი

ფრთებმესხმული დავდიოდი მიწაზე,
მქონდა ენა, მამული და რწმენა,
სხვისი რამე არასოდეს მდომია,
მე მდიდარი გამაჩინა ზენამ.
მქონდა ენა, დამწერლობა, ანბანი...
ათასობით ერს რომ არ აქვს დღესა,
მქონდა მიწა, წინაპართა საფლავი,
სხვა სურნელი ასდიოდა ტყესაც.
მთა და ბარი, გადაშლილი ველები,
ხშირად მესმა მე ჩურჩული ზღვისა,
ყველაფერი მქონდა ჩემი სანილო,
რალა უნდა შემხარბვოდა სხვისა?
ვაზიც მქონდა და მის ძირში აკვანი,
შიგ რომ ზრდიდნენ ილიას და შოთას.
რწმენაც გვექონდა - უფლისა და მომავლის,
უდიდესი, განა ასე ცოტა?
საამაყო შვილიც გვახსოვს მრავალი,
მის სახელს რომ იფიცებდა ერი.
სიყვარულით ერთმანეთის გატანით,
ბევრჯერ თურმე გააკვირვა მტერი.
დღეს კი მხარზე მოტეხილი ფრთა მტკივა,
ნელა-ნელა მეკარგება ღონი.
დედაენას დაუკარგეს დიდება,
ქართულ სიტყვას თაკილობენ მგონი.
ჩემს მამულში ჩამოსახლდნენ მღრღნელები,
იტაცებენ, მაყვედრიან მიწას,
სადაც ჩემი წინაპრების ძვლებია,
მათი ლოცვა თაობებს რომ იცავს.
უფლის რწმენაც ისე დაპატარავდა,
ლამის ღმერთთან გააჩაღონ ომი.
მე დღეს მხარზე მოკვეთილი ფრთა მტკივა,
საქართველო მეკარგება მგონი.

სამი ფიალა

გულზე დარდები რომ მომეჯარა,
შემომთავაზეს სამი ფიალა.
წითელი ღვინით სადღეგრძელო ვთქვი,
ტრფობით გული რომ ამიფრიალა.
შევიყვარე და ყმანვილურ ჟინით,
ცაზე ვხედავდი ვარსკვლავს კრიალას.
იმ სიყვარულმა ფრთები შემასხა,
მანვე დამცა და გამატიალა.
მეორე - ღვინო მოვარდისფერო,
უფრო დაჰკრავდა ფერი ლალისა,
იმით დავლოცე ძალა და რწმენა
დაღვინებული დედა-ქალისა.
ბოლო ფიალა ქარვით აივსო,
გამომატარა გზები მრავალი,
ხან დავეცი და ხანაც ვიტირე,
ბევრჯერ ვიპოვე გამოსავალიც.
ვაზი ცრემლებით დიდხანს მეფერა,
მეც ლექსს ვუძღვნიდი განთიადამდე,
გადავუშალე გულის ფურცელი
და ხვაშიადი ჩემი გავანდე.
ახლა კი ვხვდები, კაცები ღვინით
რად იშუმებენ დარდს და იარას.
სამი ფიალით მთელმა ცხოვრებამ
წუხებელ სარკმელთან ჩამომიარა.

16-05-2018

ლოგიკის კანონი

ერთ კაცს ეძახდნენ შეშლილს,
ყველა იგდებდა მასხრად.
ჩვევად ჰქონია თურმე
გზაზე ფეხსაცმლის გახდა.
ამბობდა, - უნდა იგრძნო
მინის სიგრილე-სითბო,
წვიმაში, თოვლში, დარში,
სულ ფეხშიშველი იყო.
დააპურებდა ჩიტებს,
პურს ჩაუღობობდა წყალში
და უპატრონო ძაღლი,
ხშირად მიჰყავდა სახლში.
ლუკმას უყოფდა მაშვრალს,
ქვრივ-ობოლსა და სნეულს,
თავად შიშველი იყო,
ძონძში მალავდა სხეულს.
ბრაზობდა თუკი ხეებს,
ვინმე ატეხდა ტოტებს.
ამბობდა, - გულს თუ ატკენ,
გახმება და დაგვტოვებს.
დილაადრიან გზაზე
შეშლილს ნახავდით ხშირად,
ასუფთავებდა სკვერს და
ნაგავს კალათში ყრიდა.
ბრაზობდა, - დაემსგავსა
ადამიანი ნადირს,
რასაც სჭამს, დაბლა ჰყრის და
მეფის შვილივით დადის.
არ ივინყებდა მკვდრებსაც,
უნთებდა თითო სანთელს
და მიტოვებულ საფლავს
აცლიდა ეკალ-ბარდებს.
გაბრაზდებოდა ზოგჯერ,
დაიყვირებდა რისხვით

- ცა განითლდაო, ხალხო,
უცოდველ კაცის სისხლით!
მაინც ვერ ვხვდები დღემდე
რად ეძახოდნენ შეშლილს,
აღბათ სურვილი ჰქონდა
კაცობრიობის შეცვლის.
ასე გვჩვევია, ვწუხვარ,
ჩვენ ლოგიკურებს მკაცრად...
თუ გამოეყავ ფარას,
იქცევი შეშლილ კაცად.
შენც ფეხშიშველი ივლი,
ქვასაც გესვრიან ბევრჯერ,
ლოგიკურობის კანონს
რა ვქნა, ვერ ჩავწვდი მე ჯერ.

5-03-2018

ლეგენდა ცისარტყელაზე (ეძღვნება საიდ მულიანს)

ფერეინდანში თქმულა ამბავი,
როგორც ლეგენდა, მითი, ზღაპარი:
თუ ცისარტყელის გაღმა გადახვალ
იქ დაგიხვდება ტურფა მთა-ბარი,
რომ ცისარტყელის მეორე მხარეს,
შვიდფერადოვან სხივით ქარგული,
არის სამშობლო, ჯერ არნახული,
ისმის სიმღერა, „ნანა“ ქართული.
ამ ლეგენდით თუ ლამაზი ზღაპრით,
ოთხასი წელი ზრდიდნენ თაობებს,
ზეცის სარტყელის ფერთა ხილვაზე,
წარმოიდგენდნენ მთებს და ხეობებს,
აამღერებდნენ ფანდურს ქართულად,
შოთას შაირებს ტრფობით გალობდნენ.
ცისარტყელაზე გადასვლის რწმენით,
„დედა ენას“ და ქართულს სწავლობდნენ.

მე ეს ამბავი მიაშობო ერთმა
ფერეიდნელმა დიდმა ქართველმა,
იმ ცისარტყელის მეორე მხარეს
სამშობლო ქვეყნის ცხადად მნახველმა.
და იმ დღის შემდეგ უფრო ძლიერად
მე ცისარტყელის მხიბლავს ფერები.
თქვენ ამ ლეგენდით გამოზრდილებო
მიყვარხართ, გკოცნით და გეფერებით.

306 თქვა

ვაი, გაჩეხილო ვაზო,
მტრისგან ნატერფალო მიწავ!
ჭინობს ააკვნესებ ლაზო,
დედასაქართველოს ჰფიცავ.
ვაი, ამღვრეულო მტკვარო,
ცრემლით დანაფულო ლიახვს.
ასჯერ დამხრჩვალო და მკვდარო,
დარდს რომ ვერ გაატან ნიავს.
ვაი, სამაჩაბლოვ, ჩემო!
სისხლი მეყინება ძარღვში.
მტერმა გაგისინჯა გემო,
წასვლას არ აპირებს სახლში.
მირონგადმოსული ზეთი,
ისევ შერევია ენგურს.
შველას ითხოვს აფხაზეთი,
შვილებს ელოდება ერთგულს.
ნეტავ მერამდენედ დავწერ,
დარდი ამიტორებს მუზას.
ნუთუ საიქიოს გავწევ,
ფსოუს ვერ ჩავუშვებთ ლუზას.
შვილებს მონატრებულ დედას
მითხარ, რა პასუხი გავცე.
მტერო, ამოგკვეთავ ენას,
ვფიცავ, ზურგზე მალე დაგცემ.

შენ ვერ ამიტირებ შავლევს,
ლელას ვერ შეუცვლი ადათს,
მტერო, დაგაყენებ შავ დღეს,
დედა ცოცხალი ჰყავთ მაგათ!
აბა, დედებო და დებო,
შევკრათ წმინდა ნინოს ჯვარი,
ჩემი ქვეყნის მანანებო
მტრის არ შეგვეჭამოს ჯავრი.
რკინის ქალამნები გაცვდეს,
ძუ ლომს ვინ შეჰბედოს ღრენა?
„სადაც სუსტი იყოს, განწყდეს“
ჩვენ კი გვაძლირებს რწმენა.
ვინც სთქვა სუსტიაო ქალი,
დედა არ უნახავს ქართლის,
ფეხით იალბუსზეც ავალთ,
გულში ანთებული ალით.

21-07-2018

გზას მივუყვები

მივყვები ამ გზას ფიქრით და თმენით
იმედს მოვუხმობ უხილავ ფარად.
დარდს მოვიშორებ მომავლის რწმენით,
ღმერთი არს ჩემთან, ყოველთვის, მარად.
მივყვები, წლებიც უკან მომდევნენ,
ვით მოჟღერტულე, ანცი ჩიტები,
სხეულმაც იგრძნო ცოტათი დაღლა,
მაგრამ ბედ-ილბალს არ ვებუტები.
იყო რალაც და თითქოს არც იყო,
ასე იწყება ყველა ზღაპარი.
მეც ჩემი წილი გუდა მოვიგდე,
წინ გზა დამიხვდა მიუსაფარი.
ვკაფე და ვჩეხე გზებზე ეკალი,
რომ დამენახა სწორი ბილიკი,
ბევრჯერ თითებიც დამიკანრია,
შეუცდომლობას ნეტავ ვინ იტყვის?

მეც ჩემი ზღაპრის ერთი გმირი ვარ,
დევიც შემომხვდა, ნაცარქექიაც,
ქვიშაზეც ვწერე ბევრი ოცნება,
ტალღას ზღვის გულში დაულექია.
ფერიები და სირინოზები
მეხმარებოდნენ ამ გზის გავლაში,
ალქაჯიც შემხვდა, იმ კუდიანმა
გამომამწყვდია წლობით თავლაში.

17-07-2018

* * *

აჩქარებული გული ბავშვივით,
დამძიმებული სული ლოდებით,
ლამე ნათევი, როგორც აჩრდილი
ისევ სიყვარულს დაველოდები.
გავაბნევ ცაში ყვითელ გვირილებს,
გავატან სევდას ლამეს ქარიანს,
მინდორში დავკრეფ ლურჯკაბა იას,
ქალივით მორცხვს და თვალბცვარიანს.
შევხვდები წარსულს და მიჯნურივით
შემოვხვდები დაღლილ კისერზე,
გულში ჩავიკრავ და მხოლოდ ორნი
ვივლით ცხოვრების დამლღელ კიბეზე.
და ვივლით ორნი ვიდრემდე დილა
წამოგვეწევა როგორც მდევარი,
წარსული ჩემი საქმრო იქნება,
მე კი ერთგული მისი მხევალი.
სანამდის აწმყო თავს შემახსენებს,
წარსულთან ერთად ზღვას გადავცურავ,
ვიცი, რომ დილით ყოფადი მაინც
აქ დამაბრუნებს ისევ მაცდურად.
რატომ აჩქარდი გულო ბავშვივით,
რად ამოგვესო სული ლოდებით?
დადგება ლამე და შენც სიზმარში
წარსულს ვით მიჯნურს დაელოდები.

პოეზია

გიორგი სუთიძე

მე ვარ გიორგი სუთიძე, დავიბადე 1996 წლის 8 აგვისტოს თბილისში.

2014 წელს ჩავაბარე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე.

ლექსების წერა დავიწყე სამი წლის წინ.



კლასიკოსების სიყვარული

ჩემი ცხოვრების სინამდვილეს თან ახლავს ხაზი,
ყოველდღე ვფურცლავ ემოციებს ტემპში მაქვს ნაზი,
ვენის კარნავალს დავესწარი პასტორის სახლში,
შორეულ აჩრდილს დავანახე პროლოგი ცაში.

ულამაზესი ფრიდერიკე ბრიონის ტაში
და რომაული ელეგიის ვნება დევს მასში,
კლასიკოსების სიყვარულის მუზების მარში
მე აკრძალული ტრაგედიის რწმენაში დავრჩი.

ბევრი ყოფილა რომანის წინ განცდილი კრახი,
ბეთჰოვენიდან შუმანამდე ემერსონს ჩავწვდი,
ამ დიდი ჟამის შემოქმედად კლასიკას ჩავთვლი
რაც გოეთესთან მამეგობრებს ბოლოში დავსვი.

გვირილების დაისი

სიზმარშიაც ამოვიცნე გაზაფხულის მაისი,
აყვავებულ სიყვარულზე ლამაზ სიზმრებს არ ვიშლი,
წვიმიანი გვირილები ერევიან ბუნებას,
მზემ დაუჭყვიტინა და სხივებს ელლაბუცება.
დღეს ნოემბრის რიცხვებია,
მოვინდომე მაისი,
თუმცა ეზოს გვირილებს
არ აკლიათ ხალისი
ამ ეზოში ბევრი მოჩანს სიყვარულის დიდება,
ამიტომაც აის ვარდი პეპლებს ენატიფება,
ეგ კი არა თოვლის ფიფქიც
ელოდება აქ მოსვლას,
იასამანს ეჯიბრება მომავალის გამოთვლას,
მოსვლა უყვარს დილის შუქზე შეყვარებულ ჩიტუნას,
ელოდება, მნათობი რომ გაამდიდრებს მის სუნთქვას.
ჩემს ფანჯრიდან ყოველთვის ჩანს
გვირილების დაისი,
ამ ეზოში დეკემბერშიც ბატონია მაისი.

პოეტური სიხარული

ეს იყო ჩემი გულის დამარეთი,
თითქოს ბავშური და არა ერთი,
ეს იყო ჩემი სულის ლურჯი ზოლი,
ამპარტავნული და არა სწორი,
ჩემი ზეციური სიყვარული,
თვალზე ცრემლები და სინანული,
მთაზე ატანილი სისხლის ჯვარი,
ციდან წამოსული რისხვის ღვარი,
მერე გაკვირვება, სიბრაღური,
თავზე ნაზი ხელი დემონური,
ჩემი პოეტური სიხარული,
სტროფში ატანილი სიყვარული,

ნლებში გაფანტული მოგონება,
ზღვაში ჩამვებული მყარი ღუზა,
ჩემი ლაჟვარდული ნაზი სული,
ამპარტავნული და არა სრული.

ამპარტავანი მე

მე ამპარტავანს მუზებიდან ცრემლები მომდის,
ვერ ვეგუები ვერც სიყვარულს ვერც სიტყვებს ორპირს,
ვისაც ვჭირდები, მანუგეშებს,
„ვფიცავარ ორ შვილს“,
სახეს იკანწავს იფიცება, თითქოს ეს ყოფნის.

რა დამღლეღია, საჭირო ხარ, სუყველა გკოცნის,
მერე არავის არ ჭირდები, იკიდებს ორ შვილს.
მინდა სუყველა დაგიტვალოთ, აღგწეროთ ორ გზის,
მაგრამ ლექსია, სირცხვიღია მუზების როკვის.

თუკი სამყარომ დაასრულა გამოცანები,
მე ამბიციურ აღმართებზე მივექანები,
დროზე ლუციფერ, მოიფიქრე რამე ზრახვები,
თორემ ავედი, დაგიქნიე დროშის კალთები.
მე ამპარტავანს მუზებიდან ცრემლები მომდის
და რომ სტრიქონი გადავაბა, ისიც კი მყოფნის.

პირველი თოვლი

პირველი თოვლი, ნისლი და ქუჩა,
ამღვრეულია ცივი თვალები,
შენ მაგონდები, ეხლა მე როცა,
ფიფქებად გხედავ და ვიტანჯები.

მყინვარის ცივი გოდება ავი
და უფსკრულებში ბნელი ლაქები,
ყავარჯნიანი მოხუცის კვალი,
გადარეული ქუჩის კალთები.

ხასიათიდან მოდის ტალახი,
მე ჩემს ფიქრებთან მიყვარს კამათი,
სიყვარულია შენთვის ბარათი,
თუ კი დავტოვე სადმე ტალანტი.

პოეზია

ციცო მაისურაძე

ციცო მაისურაძე დაიბადა და აღიზარდა ახალციხის მუნიციპალიტეტის სოფელ მუსხში. მისი ყველაზე დიდი მასწავლებელი პაპა – ლაზარე მაისურაძე იყო. სწორედ მან შეასწავლა და შეაყვარა მშობლიური სოფელი და კუთხე, მისი უმდიდრესი ისტორია ციცოს. თანასოფლელებთან ერთად 1984-1985 წლებში დააფუძნა „ომის ვეტერან უზუცესთა ანსამბლი“. აღადგინა ძველი მესხური სიმღერები და საჭიდაო ცეკვები. – შვიდი წლის განმავლობაში სოფელ მუსხში ატარებს „მუსხის ფოლკლორულ საღამოს“.

ციცო მაისურაძემ ლექსების წერაც ბავშვობაში დაიწყო. გამოსულია მისი ლექსების კრებული „ვიცი, ვისი გორისა ვარ.“



ისპვ

ისევ გაჰკივის
ზანზობს ჭილყვავი,
ნასოფლარებზე
რუხი ფერია.
მე სინანულის
წუხილის მეტი
შენს შემხედვარეს
რა დამრჩენია.
გარინდებულა
ტაძარი მარტოდ,
კვლავ ელოდება
შვილებს თავისას.
ვიცი, ოდესღაც
ეს ჩემი ერი
ლაბა ხარივით
ხნულებს გაიტანს.

ჯაყისმანი

ჯაყისმანში ჯანყი ღრუბლები
ჯარად დაჯარულა,
ემპელოს ციხე, ღონე მიხდილი
აღარ ჩარაზულა.
ნასოფლარებზე დევებივით
წევან ლოდები,
დაჯვარულები, ნახმაღევი,
გადაღლილები.
თავმოკვეთილი, მხრებ ნაჭრილი,
ბორგავს ახდილა.
დადუმებულა წყრომის ციხე,
ღრომა დაცლილა.
ვიღაც კამათელს აგორებდა,
რღაც ზრაპრიღან.
ქართული სული მოდიოღა,
ღვთიურ აკვნიღან.
ღღეისთვის ისეღ ოპიზრობენ
ოპიზარები,
მაჭიხეთს, ფუღას, ძვეღებურად
როკვენ ზარები.
შავღეგოები აგეღვებენ,
კვღავ ურა ცხენებს,
ქართული გული დასტრიღლებს
ქარაფებს ვეღებს.
ჯაყისმნის ცაზე ჯანყი ღრუბლების
მიცურავს ჯარი.
მზე კვღავ იბრწყინებს, ჰე, მამუღო,
არ გქონღეს ჯავრი.

აი, ეს მინა

აი, ეს მინა,
ეს მთები, ველები,
ჩემი სამშობლოა,
მეც თავზე ვეველები.
ზღაპრული სამყარო,
ცხრა მთა და ცხრა კარი,
ბადრი და უსუბი,
სუყველა აქ არი.
უკვდავების წყალი,
ცხრა წყარო ანკარა,
დევებს, რომ სჯობნიდა,
ჭინჭრაქა პატარა.
აქ ბუდეებია
სალ კლდეზე არწივთა,
კვლავ მოჩანს ნახმლევი
მამაც ყმანვილთა.
ნუნისი, ურბნისი,
ცხრა ძმა და ცხრა და,
მზის დედა გმირებს
არასდროს კლავდა.
აქ არის დალის,
დევების კლდეები,
თვით კავკასიონზე
დავდივართ ვედრებით.
აქ ამირანის
გაისმის გოდება,
მთები გაიხსნება,
მისი ხსნა მოხდება.
აქ მინის ქვეშეთში
წევს შავი ურჩხული,
შორიდან გვიმზერენ,
შხარა და უშგული.
აქ ხალხიც ამ ზღაპრის
მთავარი გმირია,

ძმობას და ერთობას
არასდრის ყიდიან.
აქ ყველა მთაზე
ამაყი ციხეა,
მტერს რომ უნგრევია
და ფუძე უცლია.
ჩვენი წინაპრებიც
არ იყვნენ ჯაბანნი,
ნიშა ხარს უწევია
ერთგულად ჭაპანი.
აი, ეს მინა,
ეს მთები, ველები,
გმირთა სამყაროა,
ზღაპრული ხედებით.

სიზმარი როდია

სიყვარული სიზმარი როდია,
გამოიღვიძო და გაქრეს,
სიყვარული სანთელი როდია,
შეუბერო და ჩაქრეს.
სიყვარული გრძნობაა, გრძნეული,
ვფიქრობ, არა აქვს ახსნა,
თუ დაგიმონა, გაგიბატონდა,
ძნელია თავის დახსნა.

პოეზია

შუშანა კალანდაძე

მე, შუშანა ვალერიანის ასული კალანდაძე, და-ვიბადე 1951 წლის 15 მარტს ჩოხატაურის რაიონის სოფელ ვრიკეთში.

6 წლისამ კარგად ვიცოდი წერა-კითხვა. სკოლაში წარჩინებული მოსწავლე და საქართველოს ჩემპიონი ვიყავი ბირთვის კვრასა და სიმაღლეში ბტომაში.

გსწავლობდი სხვადასხვა ტექნიკუმსა და ინსტიტუტში. მაქვს გამოქვეყნებული ლექსების კრებული, „თქვენთვის და ელისოსათვის“ ელისო არის ექიმი, რომელმაც მე სიცოცხლე მაჩუქა. მყავს ორი ვაჟი და ათი შვილიშვილი.



ახალგაზრდებს

ჩუხჩუხებს წყარო ანკარა,
ეს დასასრული როდია,
ბრწყინვალე ახალგაზრდები
ახალგაზრდები მოდიან.
გთხოვთ, გზა დაუთმოთ ძველებმა,
ჩვენი დრო უკვე წავიდა...
როდის იყო, რომ ცხოვრება
კვლავ იწყებოდა თავიდან?
ვჭირდებით? გვერდში დაგუდგეთ,
მათ ჩვენი სიბრძნე ჭირდებათ?
თუკი ერთმანეთს გაგუგებთ,
არასდროს გაგვიჭირდება.
ამ ლექს ვწერ გურიის მთებში,
წყარო ანკარა იღვრება,
კაცმა აქ უნდა იცხოვროს,
არასდროს არ დაიღლება.
წყარო წკრიალა ჩუხჩუხით
ახალგაზრდები მგონია,

მთელი ქვეყანა შეცვალეთ,
რამხელა ძალა გქონიათ?
ჩუხჩუხებს წყარო ანკარა,
ეს დასასრული როდია,
დამილოცნიხართ ყველანი,
ლამაზებო და ჭკვიანნო.
სიკეთის მატარებელნო
ნამდვილო ადამიანნო.

ჩემო ლამაზო სიცოცხლე

ჩემო ლამაზო სიცოცხლე,
ჩემო ლამაზო გურია.
სამიდღემჩიოდ დარჩენა,
შენთან სიცოცხლე მწყურია.
რა ლამაზი ხარ ქედებო,
ცამდე აწვდენილნო ედემად...
გუბაზოულის ჩუხჩუხი...
სულ გადამრიო ეგება.
ავყარო მუხებს ლექსები,
გადავაქციო ბალნარად.
ჩემო ლამაზო სიცოცხლე,
ჩემო გურია, აქა ვარ.
წასული ვიყავ, მოვედი,
ეხლა შენთან ვარ, აქა ვარ.
არ გიკვირს, შეყვარებული
ასე უზომოდ რადა ვარ?
ჩემი ლექსების წაკითხვა,
რა რიგად გაგხარებია,
მეუბნები, რომ ამრიგად
არასდროს არ გყვარებია,
ჩემო ლამაზო სიცოცხლე,
ჩემო ლამაზო გურია,
სამიდღემჩიოდ დარჩენა,
შენთან სიცოცხლე მწყურია!

**ჩემ სიცოცხლე შვილს,
სამგობლოს ღირსეულ დამცველს
ვეფხვია კაკელიძეს დედისგან.**

ავლანეთში ხარ, ძვირფასო შვილო,
რამდენმა ტყვიამ გადაგიარა.
რამდენი სევდა გვანევს ამ გულში,
რა მოვუხერხოთ ამ დიდ იარას?
ეხლა ვით ვეფხვი ისე ირჯები,
ნალველს თმენით და იმედით ახრჩობ,
შენ გამეზარდე ვეფხვივით ბიჭი,
ვეფხვივით შვილო პოულობ სარჩოს.
შენ ვაჟკაცი ხარ კეთილშობილი,
მამულისათვის გერგო მისია,
არ დაიჯეროთ, არ დაიჯეროთ,
რომ საქართველო ვინმე სხვისია.

დედას

ზარებმა მწყრალად დაიწყეს რეკვა,
სიკვდილმა მამცნო, აღარ გყავს დედა!
მე პოეტი ვარ, ცასთან ვსაუბრობ,
ცხადში, სიზმარში, ყოველთვის გხედავ,
ყოველთვის გხედავ, ერთი კი მიკვირს,
თუმც თავი ჩემი ბრძენი მგონია,
დედაზე ტკბილი, მოსიყვარულე
ამ ქვეყნად არვინ არა მყოლია!
და თავს ვგრძნობ, როგორც მარტოკა ქვეყნად,
სევდის მორევში ცურავს ლილილო,
მთელ ჩემ სიცოცხლეს მივცემდი დედა.
თუნდ ერთი ნუთი ცოცხლად გიხილო!

ჩოსტატაშრეალ გურულეხს

მე ვფიქრობ თქვენზე,
ჩემო ლამაზებო,
ჩემო ჭკვიანებო,
ჩემო ბუნებრივო.
მე გლოცავ შენ, საერთოდ ნიჭო,
ნიჭო პოეტის...
ყოვლად ღვთაებრივო.
აქ ამ ბუნებაში
სხვა არც შეიძლებაა
სულის სილამაზით.
ვერვინ დაგვენიოს,
არა მარტო ჩვენთვის,
მთელი მსოფლიოსთვის.
სიკეთე მოგვეტანოს,
ჯაფა გაგვენიოს,
ჩემო გურულეხო,
ხალხო ჩემიანო,
რაც რამ გვევალება,
მართლა გაგვენიოს
დიდი სათნოებით,
დიდი სიყვარულით,
სიბრძნით, ერთგულებით
ვერვინ დაგვენიოს.

თარგმანი

ია ხასაია

დაიბადა ქალაქ ზუგდიდში 1965 წელს, 1991 წელს დაამთავრა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტი თარგმანის სპეციალობით. მისი პირველი თარგმანი შესულია 1989 წელს გამოცემულ ტარას შევჩენკოს ლექსების კრებულში.

მოსწავლეობის წლებიდანვე იბეჭდებოდა საბავშვო პერიოდულ გამოცემებში, ჟურნალ-გაზეთებში, შემდგომ კი - „ლიტერატურულ საქართველოსა“ და „განთიადში“. არის ორი პოეტური კრებულის ავტორი.

მისი პოეტური თარგმანები შესულია 2017 წელს გამოცემულ „პოეტური თარგმანის ანთოლოგიაში“, რომელიც ფრანკფურტში, ნიგნის საერთაშორისო ფესტივალზე იქნა წარდგენილი.



ბელა ახმადულინა

ქართველ ქალთა სახელები

იქ იალქნები ზღვაში ხეტიალს
ნაჩვევი იყვნენ მცხუნვარე მზეში.
მწვანით მოსილი ჭადრის ხე ტიალს
ემსგავსებოდა ცივ ნოემბერში.
თეთრი დუქანი უფრთხობდა ყრუ ძილს
ძველ ბაღს, მზისაგან ვერგანახლებს,
იქ ასდიოდათ სურნელი ყურძნის
იდუმლად ქართველ ქალთა სახელებს.
და ეს ტიტინი ლალ სიმღერებით
ლურჯი ტალღების წერა ხდებოდა,
ნაპირთან უცხო ყელმოღერებით
შავი გედივით მოცურდებოდა.
კისკისით რბოდა ქალი ლამარა
კენჭებზე ქუსლებგადაყვლეფილი

და ტუჩზე ღვინო გრძნობის ამარას
ეფინებოდა, როგორც ზეფირი.
გულაჩქროლებულ ჩანჩქერს მოჰქონდა
ჩამონავარცხნი მედეას თმების,
ბზვინვარე კულულს კი ფერი ჰქონდა
ზვირთადანავლებ პრიალა ქვების.
და რაც ახშობდა აქ ოლეანდრას,
რაც ერქვა ყველა თაიგულს ერთად,
სახელი იყო ეს, არიანა,
ციტ რომ მიჰქონდა სურნელი ფერთა.
ნაპირთან ჩუმად თრთოდა საბელი,
თითქოს მზად იყო ტალღის სათელად.
„ცისანა!“- სარკმლით ხმოზდა სახელი.
იყო პასუხად მყისვე - „ნათელა!“

* * *

მე ხომ სიკვდილი იმდენჯერ მჯაბნის,
არყოფნის განცდა მუდამ თან დამაქვს,
და მხოლოდ ფურცელს, უცოდველს ვჯვლაბნი,
როცა სიტყვები მასზე გადამაქვს.
როცა ცხოვრება რუტინულ თვლაში
მტეხდა, მაქცევდა ხორცის ნარჩენად,
მე საქართველო მიხმოზდა მაშინ
თავისთან სულის გადასარჩენად...
და სიყვარულის საოცარ ცრემლით,
უცნობ მიზეზით რომ გაგახარებს,
ო, რომ იცოდეთ, თუ რა სინრფელით
ვუყვარდი მე ამ მშვენიერ მხარეს!
თბილისო, ზოგჯერ არ ვიცი, რატომ,
მანვალებს ფიქრი, მიუკარები,
რომ განირული ჩვილივით მარტო
ვაგდივარ ზღურბლთან შენი კარების.
თბილისო, თქვი, რად ამდენი მადლი?
სდუმხარ, პასუხი არ იცი ვითომ...

შენ მე სიკეთის სხივებით მრთავდი
და მადლობელი იყავი თვითონ.
რაც უნდა დღენი შევმატო მეომისს,
ჩემი ცხოვრების ნისლთაგან ნარწევს,
ძალიან მცირე იქნება მისთვის,
ამ სიყვარულის საზღაურს გასწვდეს.

* * *

იმ მაისის თვეს, ჩემს მაისის თვეს,
მე სიმსუბუქე შევიცან ისე,
ვგრძნობდი, რომ სული სამყაროს იტევს
და ფრენა მსურდა ისევ და ისევ.
სიმღერის ხმოვით ვარ ერთი ასად,
წინასწარ ჭვრეტით სული წრიალებს
და ჩიტბატონას სილალის მსგავსად
ჰაერს ბუმბული ავუფრიალე.
მადლობა ღმერთს, რომ ეს ჩემი ჭვრეტა
გონით, სიმკაცრით არ არის მწირი,
თითო აფრენა და სუნთქვა მეტად
უფრო და უფრო მიჯდება ძვირი.
რომ ვახლდე მოწმედ საკუთარ ნებით
დღეებს იდუმალს, ვგონებ, მეღირსა...
და ვიმზირები მე ჩაცინებით
ბებერი, ბრძენი ებრაელისა.
ვხედავ შავ თოვლზე დაბლა ჩამოშლილ
და ჩამოფენილ ჭილყვავის ჩრდილებს
და ქალებს ამ ჩვენს მოსაწყენ დროში
თავის საქსოვზე მზერით დახრილებს.
სადღაც კი სტვირის დუდუნა ხმაში
ყვავილთა მწკრივებს ცელქ მზერას ესვრის
რბენით დაღლილი სულ უცხო ბავშვი
და არღვევს ირგვლივ არსებულ წესრიგს.

ანა ახმატოვა

ვინ მიაჯაჭვა გული გულს ძალად?-
თუკი წასვლა გსურს, ღიაა კარი,
ასდენებია იღბალი კვალად
მას, ვინც სილალის ტრფიალი არი...
ცრემლით, ჩივილით ვის გავაოცებ,
აღარ ვტირივარ, მაგრამ რა, ბოლოს?...
ასე გადაღლილს ნულარ მაკოცებ,
აცადე სიკვდილს, რომ მეამბოროს.
დღეებს, დანინდულს ჩემს თეთრ ზამთართან,
ჰქვია მწარე და არა- ეული.
ანდა მითხარი, მეტი რადა ხარ,
ვიდრე ის არის, ჩემი რჩეული?

ემილი დიკინსონი

თუკი შენ მოხვალ შემოდგომაზე,
გადაფურაზავ მე კარებს ზაფხულს,
ისე, ვით ქალი მოიშორებდა
მობეზრებული მწერების ფაფხურს.
და თუ ლოდინი გასტანს წელიწადს,
თვეებს, ვით ძაფებს, დავახვევ ბურთად,
ვიდრე შეხვედრის ჟამი დადგება,
უჯრებში ჩავდებ, ფრთხილად შევფუთავ.
თუ საუკუნე სჭირდება ლოდინს,
შენახულ ძაფებს თითზე დავართავ,
დრო, თითო თითზე გადაგრეხილი,
დე, ვან-დიმენის მიწამ წამართვას.
იქ თუ განყდება, აღარ ვინალვლებ,
მიწა ნარჩენთა თუა სამარხი,
ვიცი, უთუოდ ჩვენს ძაფს თავიდან
მე უკვდავების კოჭზე დავახვევ.

ახლა კი, როცა დროის და სივრცის
უხილავ ფრთების შეცნობას ველტვი,
მეწვი გობლინი ფუტკურის ნაკბენად
და ამოღებას არ ვჩქარობ ნესტრის...

მარინა ცვეტაევა
/ოსიპ მანდელშტამს/

ვერ ვთმობ ჩვენ ორ შორის მანძილს,
ისე მეტკბო სიშორე!
გკოცნით, რითაც ვფარავ ას მილს,
ჩვენ რომ გვაშორიშორებს.
ვდუმვარ, რალა დავიჟინო,
თქვენს ნიჭთან ვარ ანდა ვინ?
რაა თქვენთვის, დერჟავინო,
ლექსი გაურანდავი.
მაშ, არნივო, შენს ფრთებს ვლოცავ
საშიშ ფრენად გაშლილებს!
მზეს უსწორებთ თვალებს როცა,
ჩემი ცქერა გაშინებთ?
ნაზს, ჟინჩამდგარს, მზერას ასეთს
კვალი ვით მოიშორებს.
გკოცნით, რითაც ვფარავ ას წელს,
ჩვენ რომ გვაშორიშორებს.

ესენინი

არ ვნანობ, არ ვღვრი ცრემლებს, არ გიხმობ.
ვით თეთრი კვამლი გაქრება ვაშლის,
ქრება ყოველი ჭკნობისგან, დრო ხომ
ჩემს სიყმანვილეს ქარვისფრად წაშლის.

გულო, არ ბორგავ ძველებურ ჟინით,
დაღლა დაგეტყო სიცივემიგვრილს,
და ვერც არყნარის ქვეყანა, ჩითის,
ვერ გამომტყუებს ფეხშიშველ სირბილს.
მოხეტიალე სულო, ვერ ჩემობ
დღეს გზნების ალით აანთო ბაგე,
ო, დაკარგულო სინორჩის წლებო,
წყალუხვო გრძნობავ, თვალთა სიშმაგევ.
ახლა სურვილშიც ვძუნნობ, ცხადია,
სიცოცხლეც, იქნებ მასიზმრებ ზღაპარს,
სადაც გაზაფხულს დილაადრიან
ვუქროლებ ცხენის ვარდისფერ ფაფარს?!.
წარმავალნი ვართ... გავიგებთ როდის?..
თითბერი ნელა ჩამოსდით ბოკვებს.
კურთხეულ იყოს მარად, ვინც მოდის,
რომ იყვავილოს და მერე მოკვდეს.

რობერტ ბერნსი

წითელი, წითელი ვარდი
ო, ეს ივნისის წითელი ვარდი
ისე ჰგავს გაშლილს სიყვარულს ჩემსას...
ჰგავს ტკბილ მუსიკას, რომელსაც სურს, რომ
ჩემს ყურს საამო ჰანგად ჩაესმას.
შენმა მშვენებამ, წარმტაცო ჩემო,
სამარადისო მომგვარა შვება
და მეყვარები ისე მხურვალედ,
ვიდრე ზღვა სრულად არ ამოშრება,
ვიდრე, ძვირფასო, არსთა გამრიგემ
მზისგან კლდეების დნობა ინება,
ვსულდგმულობ შენით, ამქვეყნად სანამ
სიცოცხლის ქვიშა მოედინება.

დღეს, ერთადერთო, გეტყვი, „ნახვამდის“,
გულში სიყვარულს ვტოვებ უვნებლად...
მერე თუნდ მილი ათი ათასი
რა არის შენთან დასაბრუნებლად?!..

ბულატ ოკუჯავა

აქ მხოლოდ სიბნელე თუ ბატონობს,
სიჩუმე, არაფრის მჩენი.
თქვენო ბრწყინვალეზავ, ქალბატონო,
ნუთუ სტუმარი ხართ ჩემი?..
მიმქრალი სინათლე ოთახს ტოვებს
და წყალი ქერიდან წვეთავს.
თქვენო ბრწყინვალეზავ, ქალბატონო,
აქ რამ მოგიყვანათ, ნეტავ?..
ო, თქვენი სტუმრობით ხანძარს ანთებთ,
კვამლია. გაძნელდა სუნთქვა.
მენვიეთ?- მაშ, იქნებ შემობრძანდეთ,
ასე ნუ დადგებით ზღურბლთან.
ვინა ხართ? საიდან? ნუ გამოსცდით
ამ ჩემს სასაცილო ლაქლაქს,
თქვენ ალბათ, თქვენს კარებს თუ გამოსცდით...
ქუჩას... საუკუნეს... ქალაქს...

ევარისტ დი პარნი

სვალ

თქვენ არ გჩვევიათ სიტყვამწირობა,
მართობთ და მიხმობთ მე საალერსოდ
და გავიწყდებათ მუდამ პირობა,
როცა დადგება დრო საამისო.

„ხვალ“... ჩურჩულებთ და ამბავი ორის
წყდება, მშორდება თქვენი მზე-პირი
და მოლოდინი ნაზი ამბორის
მელამუნება, როგორც ზეფირი.
„ხვალ“... იმეორებთ კვლავ ძველებურად.
მშვიდად ხართ, დრო კი ერთობა ამით...
საბურველივით თავს რომ გებურათ,
იმ სილამაზეს ნარგტაცებთ ჟამი.
მოდით, შევთანხმდეთ ერთად ამაზე-
დროს სხვა ძალა აქვს, აუნონები,
„ხვალ“ თქვენ იქნებით ნაკლებ ლამაზი,
„ხვალ“ მეც ნაკლებად მომეწონებით.

მესხური კილო ისტორიული და თანამედროვე თვალსაზრისით*



საგანგებო მტკიცება არ სჭირდება იმას, თუ რაოდენ დიდი მნიშვნელობა აქვს ცალკეულ კილოებს ეროვნული ენისათვის.

დიალექტები ის დვრიტაა, რომელიც სათავეს უდებს ერთიანი ეროვნული ენის წარმოქმნას.

დიალექტები ის ბალავარია, რომელსაც ხშირ-ხშირად მიმართავს ხოლმე სალიტერატურო ენა ძალ-ღონის მისაკრებად, ხმარებისაგან გაცვეთილი ფორმების გასაახლებლად, გამომხატველობნითი უნარის გასაცოცხლებლად.

სავსებით უმწეო აღმოჩნდება ენის მკვლევარი დიალექტების მონაცემების გაუთვალისწინებლად.

საერთოდ, ქართული ენის მკვლევარს სამი ძირითადი მომენტის გათვალისწინება სჭირდება წარმატებული საქმიანობისათვის.

ეს არის:

უპირველესად — ძველი სალიტერატურო ქართული,

შემდეგ — ქართული ენის ცოცხალი კილოები,

და, ბოლოს, მონათესავე/სვანური და მეგრულ-ჭანური/ ენები.

მათგან ცოცხალ/ეთნიკურ ანუ ტერიტორიულ/ დიალექტებს განსაკუთრებული შეუცვლელი სამეცნიერო ღირებულება აქვს.

* ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ახალციხის ფილიალში გახსნისთანავე ჩატარდა სამეცნიერო კონფერენცია, რომელზეც წარმოდგენილი ჰქონდა ეს მოხსენება პროფესორ ბესარიონ ჯორბენაძეს. დღევანდლამდე იგი არსად დაბეჭდილ. მასში დასმული პრობლემები დღესაც აქტუალურია ქართული დიალექტოლოგიისათვის. *რედაქტორი.*

ჯერ ერთი, დიალექტებს დაცული აქვს ბევრი ისეთი ფორმა, რომელიც უძველესი ქართულის კუთვნილებაა, მაგრამ თვით ძველი ქართული ენის ძეგლებში არ არის ჯერჯერობით მოძველებული.

შემდეგ: დიალექტებს ცოცხლად აქვს შემონახული ის პროცესი ფორმათ წარმოქმნისა, რომლის შედეგსა ვადასტურებთ სალიტერატურო ენაში და, ამდენად, დიალექტები ფასეულ ცნობებს გვანვდიან ამა თუ იმ ენობრივი ფორმის წარმოქმნისა და ჩამოყალიბების ისტორიისათვის.

გარდა ამისა, დიალექტებს, ასე ვთქვათ, თავისებული რეზერვის სახით აქვს დაცული ის გრამატიკული თუ ლექსიკური ფორმები, რომლებიც ჯერხნობით არ ასახულა სალიტერატურო ენაში, მაგრამ ასეთი პერსპექტივა კი უთუოდ უჩანთ.

დიალექტები ამა თუ იმ ერის შემადგენლობაში შემავალი ეთნიკური ერთეულის მეტყველებაა, რომელსაც უტყუარად აქვს დაცული ამ ეთნოსის ისტორია, ეთნიკური თავისებურება, იმავდროულად ძირითადი გამომხატველია მისი მსოფლხედვისა. ამიტომაც დიალექტების შესწავლას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ისტორიისათვის, ეთნოგრაფიისათვის, ფსიქოლოგიისათვის....

თანამედროვე ეპოქაში ქართული სალიტერატურო ენის სულ უფრო გაძლიერების, გავრცელებისა და საყოველთაოდ დამკვიდრების გამო თანდათანობით იშლება, იჩქმალება, ნიველირდება დიალექტური თავისებურებანი, დიალექტთა გამომრჩევი ნიშანთვისებანი. ეს არის აუცილებელი და ფრიად მნიშვნელოვანი მოვლენა ჩვენი ერის ცხოვრებაში. ეს გარდაუვალი და ყოველმხრივ მხარდასაჭერი პროცესი ხელს უწყობს ქართველი ერის კონსოლიდაციას, სულიერ ერთიანობას. მაგრამ ამავე პროცესს თან მოაქვს დიალექტებში შემორჩენილი მნიშვნელოვანი ენობრივი მოვლენების თანდათანობითი გაქრობაც, გადაშენება იმისა, რაც არავითარ შემთხვევაში არ უნდა დაკარგოს სალიტერატურო ენამ, რაც უდიდეს სამსახურს გაუწევს მას. ამიტომაც სწორედ ახლა განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება დიალექტური მასალის

ზუსტ ენათმეცნიერულ ფიქსირებას, დიალექტებისათვის დამახასიათებელი ენობრივი პროცესების გამოკვლევას, დიალექტებისათვის დამახასიათებელი ენობრივი პროცესების გამოკვლევას, დიალექტური ლექსიკური ფონდის მაქსიმალურ გამოვლენას და ზედმინვნით ობიექტური შეფასების შემდგომ ყოველივე ამის საერთო ეროვნული სალიტერატურო ქართული ენის სამსახურში ჩაყენებას.

დიალექტური თვასაზრისით ფრიად საინტერესო მოვლენაა მოსახლეობის მიგრაციის პროცესიც. ახალ ტერიტორიაზე მისულ მოსახლეობას თან მიაქვს თავისი დიალექტიც, რომელიც ურთიერთობს დამხვედურ დიალექტთან. ასეთ პირობებში გარდაუვალია ურთიერთზეგავლენის, ურთიერთშეღწევის, ახალი ენობრივი სიტუაციის შესაბამისი ცვლილებების პროცესი. ეს მოვლენა საგანგებო ყურადღებას იმსახურებს და გულისხმიერ დამოკიდებულებას საჭიროებს. ამ რიგისაა, მაგალითად, ქვემო იმერეთში გადასახლებულ მესხთა მეტყველებაში დო-უ-ძახ-ამ-ს//დო-უ-ძახ-ანს ტიპის ფორმები, სადაც აუ → ოუ იმერული მოვლენაა, ხოლო თემის ნიშნით შენაცვლება /-ებ→ამ//ან/ - მესხური.

ქართული ენის დიალექტებს შორის ფრიად თავისებური, განსაკუთრებული ადგილი უჭირავს მესხურსა და ჯავახურს.

მესხური და ჯავახური წმინდა ენობრივი თვალსაზრისით ურთიერთმიმართ კილო-კავებს წარმოადგენენ. ტერმინი „დიალექტი“ თითოეული მათგანის მიმართ პირობითად იხმარება.

ბევრი ნიშნით მესხური და ჯავახური ქვემო და დასავლურ ქართულს უახლოვდება. ეს სიახლოვე იმდენად ხელშესახებია, რომ ზოგ მკვლევარს/მაგალითად, არნ. ჩიქობავას/შესაძლებლად მიაჩნია მესხურ-ჯავახური კილოკავის დონეზე დაუკავშიროს ქართულ დიალექტს.

როგორც ცნობილია, ამჟამინდელი მესხეთი ისტორიულად სამცხედ იწოდებოდა. საკუთრივ მესხეთი კი გაცილებით უფრო

ვრცელ ტერიტორიას მოიცავდა, კერძოდ, მასში ერთიანდებოდა მტკვრისა და ქოროხის ხეობებში მდებარე საქართველოს ისტორიული კუთხეები. გეოგრაფიულად მესხეთი ნაწილია ისტორიული ზემო ქართლისა. ზემო ქართლის ნაწილია ჯავახეთიც. ასე რომ, მესხეთი არსებითად აერთიანებს სამცხესა და ჯავახეთს, მესხური კილო — სამცხურ და ჯავახურ კილოკავებს.

ისტორიული მესხები ჯერ კიდევ ჩვენს ნალთალრიცხვამდე VII — VI საუკუნეებიდან იხსენიება მუშქების//მუსკების, მოსინიკების, მოსოხების სახელწოდებით. ყველა ეს სახელწოდება, როგორც სპეციალურ ლიტერატურაშია გარკვეული, ერთი და იმავე „მესხების“ სხვადასხვაენოვანი გამოთქმაა.

მესხები დანიშნურებული და სახელგანთქმული ტომი ყოფილა. ივარაუდება ისიც, რომ გარკვეულ პერიოდში ძველ ქართულ სალიტერატურო ენას სწორედ მესხური დიალექტი უნდა დასდებოდა საფუძვლად. უნდა ვიგულისხმოთ, რომ გამონვლილვით შესწავლის შემდგომ მესხური საინტერესო მასალას მოგვანვდის ქართული ენის ისტორიული დიალექტოლოგიის პრობლემების გადასაწყვეტად.

მესხები საუკუნეების მანძილზე ემეზობლებოდნენ უცხო ენოვან ხალხებს, ამიტომაც უძველესი კონტაქტების თვალსაზრისით სწორედ მესხური ინვეს განსაკუთრებულ ინტერესს.

მესხურს დაცული აქვს ის თავისებურებანი, რომლებიც დამახასიათებელია ქართული ენის, როგორც აღმოსავლური ასევე დასავლური დიალექტებისათვის. ზოგი ნიშნით იგი ქართულს ეკედლება, სხვა ნიშნებით გურულ-აჭარულთან პოულობს საერთოს, ამდენად სწორედ მესხურშია თავმოყრილი, რაც დიალექტიკური დიფერენციაციის შედეგად განითესა და ნაირგვარად განანილდა აღმოსავლურ და დასავლურ ქართულ კილოებში.

ყოველივე ზემოხსენებული და მასთან ერთად სალიტერატურო ენის ზეგავლენით დიალექტურ თავისებურებათა ნივლირების შეუქცევადი პროცესი განსაკუთრებით საშურს ხდის მესხურის ყოველმხრივ ენათმეცნიერულ შესწავლას.

როგორც ისტორიული, ასევე ენათმეცნიერული თვალსაზრისით ყურადღებას იქცევს ის ფაქტი, რომ მესხურში, უპირატესად კი მესხურ ტოპონიმიაში, მკვლევართა ერთი ნაწილი ადასტურებს ზანიშმებს/ანუ: მეგრულ-ჭანურის სუბსტრატს/. ამ რიგისად მიიჩნევა: ჭობარეთი, ჭობისხევი, ოხომა, ტობა, ტოლოში, ჯინჯიგორა, ხონა... ეს ვითარება იმ პერიოდი რელიქტი ჩანს, როცა სამცხე ტაო-კლარჯეთში შედიოდა. თავის მხრივ კი, ეს ფაქტი ფრიად მნიშვნელოვან პრობლემებს აღძრავს ქართველურ ენათა ისტორიის თვალსაზრისითაც. იგი უშუალოდ უკავშირდება ქართველურ ტომთა უძველესი განსახიერების საკითხს

მესხურის ერთი თავისებური მოვლენის შესახებ ცნობა სულხან-საბა ორბელიანის ქართულ ლექსიკონში მოგვეპოვება.

სიტყვის „სიარული“ განმარტებაში სულხან-საბა ასახელებს სიარულის სხვადასხვა სახეს/მოთხვა, სეერობა, ხლდომა, ტანტალი, ბაჯბაჯი, თოხარიკობა და ა.შ / და აღნიშნავს: „მოგზაურთაგან სიარულად იარე და ჟარეც ითქმის“. ანალოგიური აღნიშვნა აქვს მას სიტყვა „სლვა“ განმერტებისას. იმავდროულად სულხან-საბას ცალკე აქვს გამოტანილი სიტყვა „ჟარე“ და მას ასე განმარტავს: „იარე მესხურად“, ანუ „ჟარე“ მესხურად იგივეაო, რაც ქართული ენის სხვა დიალექტებში „იარე“.

სულხან-საბა ორბელიანის ამ ცნობამ შემდგომ საგანგებო ყურადღება მიიქცია. მას სპეციალურად შეეხო გ. ახვლედიანი და ასეთი დებულება წამოაყენა: მესხურისათვის დამახასიათებელი ყოფილა ი-/→//-/ ხმოვნის გარკვეულ პოზიციაში თანხმოვნად ქცევა /კერძოდ, ჯ იქცეოდა ჟ-დ, როცა იგი ხვდებოდა ხმოვანს ერთი მარცვლის ფარგლებში/: იარე — ჯარე → ჟარე¹ ამ ვარაუდს მხარი დაუჭირა ივ. ჯავახიშვილმა.²

¹ გ. ახვლედიანი, შენიშვნა „ვეფრები“, „ჟარები“ შესახებ, ჩვენი მეცნიერება, თბ., 1923, NN№6-7.

² ივ. ჯავახიშვილი, ქართული და კავკასიური ენების თავდაპირველი ბუნება და ნათესაობა, თბ., 1937. N

ზემოხსენებული მრავალმხრივ საყურადღებო ფაქტია.

განსაზღვრულ პოზიციაში ი→ე→ჟ ქართველური ენებისათვის მოულოდნელი არ არის. ნ. მარმა დაადგინა, რომ მეგრული გვარები ჟვანია, ჟორდანია სწორედ ამ გზითაა მიღებული: ივანია → ჟვანია → ჟვანია, იორდანია → ჟორდანია - ჟორდანია...

ამჟამად მესხურმა „ჟარე“, „ვჟარები“ ფორმები არ იცის. ამ შემთხვევაში ჩვენ ისტორიული დიალექტოლოგიის მნიშვნელოვან პრობლემასთან გვაქვს საქმე, რომლის ყოველმხრივი შესწავლა ახალ პერსპექტივას შეუქმნის ქართული ენის ისტორიის შესწავლას, მისი ოდინდელი სახის აღდგენას.

სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონში მესხურის სხვა ფორმებიცაა შესული. „მარტვილი“ სუტყვის განმარტებისას სულხან-საბა აღნიშნავს: „ლათინთა ენაა, მონამეს უწოდენ, ხოლო მესხნი ჩვილ ყრმასა უწოდენ“.

ვ. თოფურია აღნიშნავდა: „ქართველურ ენათა დიალექტების ყოველმხრივი შესწავლა საშუალებას იძლევა, ერთი მხრივ, თვით ამ ენათა განვითარების ისტორიის უფრო ღრმად კვლევისათვის და, მეორე მხრივ, ზოგადი ენათმეცნიერების ისეთი უმნიშვნელოვანესი პრობლემების დასმისა და ნაწილობრივ გადაწყვეტისათვის, როგორცაა: დიალექტთა წარმოქმნა, დიალექტებისა თუ დიალექტთა და მეზობელ ენათა ურთიერთმოქმედება, კონვერგენცია, მოვლენათა უნიფიკაცია, ინოვაცია და სხვა“.³

ამ თვალსაზრისით მესხურ-ჯავახურ/ სამცხურ-ჯავახურ/ განსაკუთრებული ინტერესის ობიექტს წარმოადგენს. ნიმუშად შეიძლება დავასახელოთ რომელიმე ენობრივი მოვლენა, რომლებიც საგანგებო ყურადღებას იმსახურებენ.

მესხურ-ჯავახურში ხმოვანზე ფუძედაბოლოებულ საკუთარ სახელებთან სახელობით ბრუნვას -ი//-ე ნიშანი მოუდის,

³ ვ. თოფურია, ქართულ ენათა დიალექტების მონაცემთა მნიშვნელობა ენის ისტორიისა და ზოგადი ენათმეცნიერებისათვის, მაცნე, ენისა და კიტერატურის სერია, №2, 1965.

საზოგადო სახელები უნიშნოდაა წარმოდგენილი: შოთა-ი, ნუნუ-ი... მაგრამ: მიწა, ხე...

შენიშვნა: მესხურში უპირატესად -ი გვაქვს: შოთა-ი, ნუნუ-ი, ჯავახურში - -ა: შოთა - ა, ნუნუ-ა...

ძველ ქართულში საპირისპირო ვითარება იყო: სახელობითი ბრუნვის ნიშანი საზოგადო სახელებს ჰქონდათ, საკუთარს — არა.

სხვაობა რაოდენობრივი ხასიათისაა, თვისებრივად კი არსებითად იდენტური ვითარებაა. მიზანი საკუთარ და საზოგადო სახელთა მორფოლოგიური დაპირისპირებაა. ეს დაპირისპირება გამოიხატება 0/ნული/ -ი ოპოზიციით. ესაა თვით სისტემის შინაგანი შესაძლებლობა, ხოლო მის კონკრეტულ ნაირსახეობებს ქმნის ის, თუ როგორ ნაწილდება ეს ნიშნები საკუთარ და საზოგადო სახელებს შორის. ხსენებული ფაქტი არა მხოლოდ ძველ ქართულთან მიმართებითაა ღირსსაცნობი, მას გარკვეული ზოგადენათმეცნიერული ღირებულებაც ენიჭება: ძველი ქართულისა და მესხურ-ჯავახურის მაგალითზე აშკარა ხდება, რომ მორფმათა ერთი და იმავე ვარიანტების ურთიერთსაპირისპირო განაწილება სემანტიკური თვალსაზრისით შესაძლოა ერთსა და იმავე შედეგს იძლეოდეს.

ა და ე ხმოვანზე დაბოლოებული სახელები -ებ მრავლობითობის ნიშნის დართვისას ფონეტიკურ ნიადაგზე იცვლიან ფუძისეულ ხმოვანს: ციხე→ციხე-ებ-ი→ციხე-ებ-ი; ჭალა-ჭალა-ებ-ი→ჭალე-ებ-ი→ჭალი-ებ-ი... ... ამ თვალსაზრისით მესხურ-ჯავახურს შუალედური საფეხური უჭირავს აღმოსავლეთ საქართველოს დიალექტებში პოვნიერი ჭალე-ებ-ი და აჭარულში დადასტურებული ჭალე-ებ-ი ფორმებს შორის. ამასთან დაკავშირებით ყურადღებას სხვა ფაქტიც იქცევს: ფუძისეული -ი და მრავლობითობის -ებ ერთიან ფორმატად გაიაზრება და წარმოდგენილია როგორც -ებ -იებ. მაგრამ იგი განუკითხავად კი არ მიერთვის ყველა ფორმას, არამედ მოქმედებს მკაცრად განსაზღვრული წესი: -იებ დაერთვის თანხმოვანზე დასრულებულ ერთმარცვლიან კუმშვად ფუძეებს: ცხვარ-ი→ცხვრ-იებ-ი,/მ/გელ-ი → /მ/გლ-იებ-ი... ანუ: დიალექტში გადააზრიანების საფუძველზე ჩამოყალიბდა „ახალი“ ფორმატი, რომლის გამოყენება

განისაზღვრა ზუსტი მორფოლოგიური წესით. ამ ფაქტსაც უთუოდ აქვს გარკვეული ზოგადენათმეცნიერული ღირებულება.

ფორმატის ახალი სახეობის ჩამოყალიბების თვალსაზრისით ყურადღებას იქცევს აგრეთვე ვალდებულებითი კილოს ფორმები, ნაწარმოები „უნდა“ მორფემოიოდით. მესხურ-ჯავახურში/ანალოგიური ვითარებაა აჭარულშიც/ ხდება ამ მორფემოიდის ცვება: უნდა→ნდა//ნა//და: გავაკეთო უნდა→გავაკეთო-ნა//გავაკეთო-და... მესხურ-ჯავახურმა რეალურად დაადასტურა ის ვარაუდი, რომ მორფემები /ყოველ შემთხვევაში, მათი ერთი ნაწილი/ დამოუკიდებელი სიტყვების ცვებითაა მიღებული.

ქართული ენის დიალექტებიდან ცნობილია თემის ნიშანთა მონაცვლეობის შემთხვევები. მონაცვლეობა ფონეტიკური და მორფოლოგიური ხასიათისაა. ამ რიგისაა: -ავ→ამ/ხატ-ავ-ს→ ხატ-ამ-ს/, -ებ→ ამ/ა-კეთ-ებ-ს→ა-კეთ-ამ-ს/ და მისთ. ხერხდება გამოყოფა იმ დიალექტური არეალისა, სადაც თავს იჩენს ამგვარი ცვლილება. კერძოდ: კახური და ქართლური გვიმონმებს -ავ→ ამ, ქვემო ქართლური -ებ→ამ გადასვლებს. მესხურ-ჯავახური უფრო შორს მიდის: -ამ→-ან: ხატ-ან-ს, ა-კეთ-ანს-//ა-კეთ-ენ-ს. ამრიგად, წარმოდგენილის ფონეტიკური და მორფოლოგიური ცვლილების ერთი იზოგლოსა: კახური – ქართული – მესხურ-ჯავახური/ამ იზოგლოსაში გაერთიანდება ფშავურიც, ზემომერულიც, ქვემორაჭულიც.../. აქ ყურადღებას იქცევს ის ფაქტი, რომ დასავლეთის მიმართულებით ცვლილების პროცესი უფრო ღრმავდება და, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, მესხურ-ჯავახურის საშუალებით ზუსტ ანალოგიას პოულობს ზანურში; შდრ.: მესხური ი-ღ-ენ-ს „იღებს“ და მეგრული ი-ღ-ან-ს „იღებს“ /გახმოვანება ე:ა ბგერათმესატყვისობის დონეზეა წარმოდგენილი მეგრულში/. ეს მოვლენა ქართველურ ენათა ურთიერთობის თვალსაზრისით არის ნიშანდობრივი: იგი კიდევ ერთხელ ამტკიცებს, რომ იმანენტური ტენდენციები ქართველურ ენებს საერთო აქვს.

ზემოთ შერჩევით წარმოდგენილი ნიმუშები ნათელს ხდიან, თუ რაოდენ დიდი მნიშვნელობა ენიჭება მესხურ-ჯავახურში დადასტურებულ მოვლენებს არა მხოლოდ ქართველური ენების

სტრუქტურისა და ისტორიის შესწავლისას, არამედ თვით ზოგადენათმეცნიერული თვალსაზრისითაც.

მესხურ-ჯავახური ყურადღებას იქცევს არამონათესავე ენებთან ხანგრძლივი კონტაქტების თვალსაზრისითაც.

სამცხე-საათაბაგოს აღწერისას ვახუშტი ბატონიშვილია აღნიშნავს: „კაცი და ქალნი არიან მგზავრნი ქართველთანი, არამედ უმეტეს ნელიად და ენა-ტკბილად მოუბარნი“... შემდეგ კი იგი საგანგებოდ ეხება იმჟამინდელ ისტორიულ და ენობრივ სიტუაციას: „სარწმუნოებით იყვნენ... სრულიად ქრისტიანენი ქართველთა თანა და სამწყსონი ქართლის კათალიკოზისანი, ხოლო ან მთავარნი და წარჩინებულნი არიან მოჰმადიანნი და გლეხნი ქრისტიანენი... ენა საკუთრად აქუსთ იგივე ქართული. გარნა წარჩინებულნი ნადიმთა და კრებულთა შინა უბნობენ ან თათრულსა და თქსთა სახლებთა ანუ ურთიერთის მეგობრობა შინა იტყკან ქართულსავე“ /ქართლის ცხოვრება, IV, 1973/. ეს ვითარება თანდათანობით უფრო მძიმდებოდა და თვით ვახუშტი ბატონიშვილს აქვს შენიშნული, რომ „გლეხნი კუალადცა მაჰმადიანდებიან ჭირისათვის დიდისა“.

ბუნებრივია, ასეთი მდგომარეობა უკვალოდ არ ჩაივლიდა ადგილობრივი მეტყველებისათვის. იგი აისახა ძირითადად ლექსიკაში /ამი „ბიძა“, ზენგინი „მდიდარი“, ზაჰმათი „გარჯა, შრომა“../, ნაწილობრივ მორფოლოგიასა და სინტაქსში /კაცი-მი არა ხარ? „კაცი არა ხარ“?... ძალა უყვეს „დააძალეს“, ამბავი მისცეს „შეატყობინეს“ - სინტაქსური კალკებია/.

ამგვარი მოვლენები ამჟამად უპირატესად მოხუცთა მეტყველებაში იჩენს თავს და მესხურ-ჯავახურის ძირითად ენობრივ მახასიათებელთა რიგს, რა თქმა უნდა, არ განეკუთვნება.

ამ სახის კონტაქტების თვალსაზრისით სათანადო დაკვირვებას საჭიროებს მესხურ-ჯავახურისა და აჭარულის ურთიერთ-მიმართებას.

ფრიად თავისებური დიალექტოლოგიური ვითარების გამო მესხურ-ჯავახურს მკვლევართა ყურადღება არ მოჰკლებია. და მაინც, ზემოხსენებულის საფუძველზე, უნდა ითქვას, რომ მესხურ-ჯავახურში ბევრი ისეთი მოვლენა იჩენს თავს, რომელიც ჯერჯერობით ელის უფრო გულდასმით და გამონწვლილვით შესწავლას არა მხოლოდ ამ დიალექტის შინაგანი ბუნების წარმოსაჩენად, არამედ ქართველურ ენათა დიალექტოლოგიის არსებითი პრობლემების გადასაწყვეტადაც.

ილია ჭავჭავაძე ოჯახის შესახებ

ოჯახი საზოგადოების სპეციფიკური ქვესისტემაა, რომელიც ურთიერთგანმსაზღვრელ კავშირშია საზოგადოების სხვა ქვესისტემებთან (თუმცა გარკვეული დამოუკიდებლობითაც ხასიათდება). მას აქვს განვითარების ფაზები და ოჯახის წევრთა გარკვეული სტრუქტურა. მისი საზოგადოებრივი მნიშვნელობა გამომდინარეობს მისი მრავალფეროვანი ფუნქციებიდან, რომლებიც მთელი საზოგადოებისა თუ პიროვნების მოთხოვნილებების განვითარების კვალდაკვალ იცვლება. ერთი რიგის ფუნქციები თითქმის მუდმივად ინარჩუნებენ ძირითადობას, მეორენი, სხვადასხვა კულტურულ-ისტორიულ თუ სოციალურ-ეკონომიკური წყობის პირობებში, სხვადასხვა ძალით მოქმედებენ ან ქრებიან. მესამენი კი თანდათან მზარდ საზოგადოების მნიშვნელობას იძენენ.

ოჯახი საზოგადოების არსებობის უპირველესი საფუძველია. ოცდამეერთე საუკუნის ნიშანდობლივი ფაქტია, რომ ოჯახის სხვადასხვაგვარი გაგება გაჩნდა და მეცნიერები მსჯელობენ არა ზოგადად ოჯახზე, არამედ მის ტიპებზე, რომლებსაც ზოგიერთ შემთხვევაში არაფერი საერთო არ აქვს ოჯახის კლასიკურ გაგებასთან. ოჯახი როგორც სისტემის ფორმა და მისი ცვალებადობა განისაზღვრება ქალისა და მამაკაცის მიმართებათა დამოკიდებულობით.

ოჯახზე, მის გარკვეულ ყალიბში მოქცევაზე, ზემოქმედებას ახდენს საზოგადოებრივი ინსტიტუციონალური წესრიგი. აქედან გამომდინარე, იგი მუდმივ განვითარებად მიკროსისტემას წარმოადგენს.

ოჯახი „ყველგან, განსაკუთრებით პატრიარქალურ ქვეყნებში, მაღალი კულტურული ღირებულებებით ხასიათდება. იგი, როგორც სოციალური ერთეული, სახელმწიფოს „მიკრომოდელია.“

ისტორიულად საქართველოსათვის ოჯახის დახურულობა, ერთიანობა და შინაგანი შეჭიდულობა ეთნოსის გადარჩენის უმნიშვნელოვანესი პირობა იყო.“¹

ქართული ოჯახის პატრიარქალურობა, ტრადიციულობა, კონფორმულობა, დახურულობა, სიახლის ძიება, ერთიანობა, შინაგანი სიმტკიცე, მკვეთრად გამოხატული ოჯახის დიასახლისის–დედის კულტი, ქვეყნისა და საზოგადოების წინაშე გარკვეული ვალდებულებების და პასუხისმგებლობის აღება ეთნოსის თვითგადარჩენის უმნიშვნელოვანესი პირობა იყო და დღესაც უნდა იყოს.

ოჯახის, როგორც უმნიშვნელოვანესი სოციალური ინსტიტუტის შესახებ დღესაც ყურადსაღები და კვლავ აქტუალურია ი. ჭავჭავაძის შეგონება, რომ: „ჩვენს სახლს, ჩვენს ოჯახს, ჩვენს ნაოფლს, ჩვენს ნაღვანს, ერთობ ჩვენს საცხოვრებელს შინ თუ გარეთ დედაკაცობის მხნეობა, გარჯა, გაფრთხილება, მოვლა, ჭკუა-გონება, მამულიშვილობა მოაკლდა,.. ლამის ოჯახები თავზე წამოგვექცეს, მინა-წყალი ხელიდამ გამოგვეცალოს, ენა დაგვიმუნჯდეს, დაგვეკარგოს, სახელი ქართველისა დედამინის ზურგიდამ აიგავოს,.. ჩვენი საქმე ლამის სულის ამოხდომამდე მივიდეს და უდედაკაცოდ უღონოდ ქმნილი მამაკაცობა ინვევს (ჩვენ ვიტყოდით დღესაც უნდა მოუნოდოს –თ. ი.)თავის დედებს, დებს, მეუღლეებს, თქვენც კაცნი ხართ, როგორც ჩვენ, მოდით მოგვეშველენით, ერთმანეთით გავლონიერდეთ, გავძლიერდეთ, გავმხნევდეთ, რადგანაც უთქვენოდ ყოველივე ეს შეუძლებელია.“²

იგი შემდეგ დასძენს: „მინამ დედაკაცობა ჩვენში დედაკაცობდა, მამაკაცებს დიდი ზურგი ჰქონდათ, მტერსაც და მოყვარესაც, როგორც იყო უძღვებოდნენ სახელგაუტეხლად, ჩვენი ოჯახი მაგრად იდგა და მაგრად იდგა ჩვენი ქვეყანაცა. შინ დედაკაცი ჰპატრონობდა ოჯახს, ქვეყანას და გარეთ მამაკაცი; დედაკაცი ბურჯი იყო ოჯახისა, ქვეყნისა და მამაკაცი ზღუდე, გალავანი; სწორედ ამან შეგვინახა, სწორედ ამან შეგვინარჩუნა ჩვენი მინა—

¹ ლ. ყიფიანი, ვ. გვენეტაძე, ქართველი ქალის როლი ოჯახში (წარსული და აწმყო)//კრ. ქალი და 21—ე საუკუნე, თბილისი, 2010, გვ. 205.

² ი. ჭავჭავაძე, თხზ. ერთტომეული, თბილისი, 1986, გვ. 692.

წყალი... სულით გაძლიერება ჩვენის „დედაკაცობისა“ გაძლიერებაა ოჯახისა, ქვეყნისა, ერისა. როგორც დედაკაცია, ისეთია ოჯახიცა, როგორც ოჯახია, ისეთია სახელმწიფოც.“³ „დედაკაცობა“ უფრო მაღალი, სასიქადულო დანიშნულებაა ჩვენის დედებისა და მეუღლეებისათვის ვიდრე „ქალობა,“ და „დედაკაცობის“ ჩამოხდომა „ქალობამდე“ იმ დიდი სამცნების დადნობაა, რომელიც გამოიხატება სიტყვით „დედაკაცი.“...სიტყვა „დედა“ ხმარებულია ვითარცა ასამაღლებელი საგნისა, სამცნებისა. ესეთი პატივი, რა თქმა უნდა, უსაბუთო მიზეზი არ იქნებოდა.

დღეს „ჩვენს სახლს, ჩვენს ოჯახს, ჩვენს ნაოფლარს, ჩვენს ნაღვანს, ერთობ ჩვენს საცხოვრებელს შინ თუ გარეთ დედაკაცობის მხნეობა, გარჯა, გაფრთხილება, მოვლა, ჭკუა-გონება, მამულიშვილობა მოაკლდა. ლამის ოჯახები თავზე წამოგვექცეს, მინა-წყალი ხელიდამ გამოგვეცალოს, ენა დაგვიმუწვდეს, დაგვეკარგოს, სახელი ქართველისა დედამინის ზურგიდან აღიგაოს... ჩვენი საქმე ლამის სულის ამოხდომამდე მივიდეს და უდედაკაცოდ უღონოდ ქმნილი მამაკაცობა ინვეეს თავის დედებს, დებს, მეუღლეებს თქვენც კაცნი ხართ, როგორც ჩვენ, მოდით, მოგვეშველენით, ერთმანეთით გავლონიერდეთ,, გაძლიერდეთ, გავმხნევედეთ, რადგან უთქვენოდ ყოველივე ეს შეუძლებელია.“⁴ ოჯახში დედაკაცის მნიშვნელობის შესახებ ხალხში ასეთი გამოთქმა არსებობს: „სახლში კაცმა რომ კალთით შემოიტანოს ქონება, დიასახლისმა (ქალმა) გრამობით გაანიავოს, ოჯახში ბარაქა არ იქნებაო.“ ამ განოთქმას თუ გავშიფრავთ, სრულიად მიესადაგება ოჯახში ქალის ადგილისა და როლის შესახებ დიდი ილიას ზემოთ გამოთქმულ შეხედულებას.

კაცობრიობის მთელი ისტორიის მანძილზე კულტურათა უმრავლესობა, ოჯახის დიასახლისს - ქალს მიიჩნევდა არსებად, რომლის ძირითადი დანიშნულება შთამომავლობის გაგრძელებაა. მისი პიროვნების თვითრეალიზაციის სფეროც ამის მიხედვით იყო შემოფარგლული, ქალის ადგილი მიიჩნეოდა ოჯახში, ხოლო მის

³ იქვე, გვ. 689

⁴ ი.ჭავჭავაძე, თხზ. ერთტომეული, გვ. 688-692.

მოვალეობად შვილების აღზრდა და მამაკაცისადმი მორჩილება. დღეს მსოფლიოს ცალკეულ ქვეყანაში ქალების საზოგადოებრივ თუ პოლიტიკურ აქტიურობას, როგორც წესი განსაზღვრავს იმ ქვეყანაში არსებული რეჟიმი, ეკონომიკური პირობები და კულტურა, რომელშიც ისინი ცხოვრობენ.

ქართველთა წარმოდგენები ქალის შესახებ ისტორიასთან ერთად იცვლებოდა, ოჯახის დედა ადრეული ხანიდანვე, იქცა სოციალურად ძალზე მნიშვნელოვან ფენომენად ქალს დაეკისრა მნიშვნელოვანი ფუნქცია, ოჯახის მოვლა-პატრონობა და გაძლოა. მნიშვნელოვანი ფუნქცია შეიძინა დედა ქალმა, როგორც შვილის აღმზრდელმა, რომელსაც შვილთან განსაკუთრებული ემოციური კავშირი აქვს და მის აღზრდაში შეაქვს ისეთი ელემენტები, როგორცაა პასუხისმგებლობა, სამართლიანობა, პრინციპულობა... თანდათანობით დედამ შეიძინა განსაკუთრებული ღირებულება და ჩამოყალიბდა კულტად. ამგვარად ქართული მენტალობისათვის ქალი, უპირველეს ყოვლისა, იყო და დღესაც არის დედა. ეს ფაქტი დაუნერვლი კანონია. დედობა ყველაზე რთული საქმიანობაა ამ ქვეყანად. სწორედ ამიტომ არის ქალი ძლიერი, რომ მას ღმერთმა არგუნდა დედობის უფლება და სწორედ ამიტომ, მას ნებისმიერი საქმიანობისთვის წარმატებით თავის გართმევა შეუძლია. საზოგადოებაში ქალსაც და მამაკაცსაც აქვს თავისი როლი და ეს როლები არ ინონება, მათ შორის არ არსებობს სუსტი და ძლიერი.

ასეთ კრიზისულ ვითარებაში განსაკუთრებით ოჯახის დედა, აცნობიერებდა რა თავის ვალდებულებებს ქვეყნის წინაშე, თავის თავზე იღებდა საკმაოდ მძიმე ტვირთს და ღირსეულადაც ატარებდა მას. აღნიშნულმა გარემოებებმა განსაკუთრებული ღირებულებები შესძინა დედას და ისტორიულ სიღრმეში მისი კულტი (არა ზოგადად ქალის, არამედ კონკრეტულად დედის კულტი) ჩამოყალიბდა. მას მოიხსენიებდნენ სხვადასხვა ეპითეტებით: ბუნების დიდი დედა – ნანა ნაყოფიერების სიმბოლო, სამძივარი – დედობისა და შვილიერების მფარველი

ქალღვთაება, ამირანის დედა – სვანეთის ტყეების მეუფე და მონადირეთა მფარველი.⁵

საქართველოში არსებობდა ქალის ორმაგი სტანდარტი: ქალი–დედა და ქალი–ქალი. დედა–ქალი კულტის რანგშია აყვანილი, ხოლო ქალი ზოგადად დაკნინებული და დაქვემდებარებულია.⁶

წინააზიის უძველეს ხალხებში ოჯახის დიასახლისზე–დედაზე დიდად იყო დამოკიდებული ჭეშმარიტი ეროვნული სულისკვეთებით მომავალი თაობის ღირსეული აღზრდა.⁷ ბიბლიაში არაერთი ფაქტია დაფიქსირებული რჯულისა და ქვეყნის ინტერესებისათვის დედის მიერ უძძიმესი და უძვირფასესი მსხვერპლის გაღების შესახებ. რჯულის დაცვისათვის–რჯულისათვის შეცილებშენიერი ოჯახის დედა–ბოძი – დედა დიდებითაა მოსილი. „დიდება ერის დედას, რჯულის შურისმგრბელს, ღვთისმოსაობის დამცველს და გულით ასპარეზზე ჯილდოს მომხვეჭელს. ..ო დედავ, ღვთის მეომარო რჯულისათვის, ო, ბერდედავ შენი სიმხნევით სძლიე მტარვალსაც კი და სიტყვით და საქმით მამაკაცზე ძლიერი აღმოჩნდი.“⁸ ეს ხოტბა ეკუთვნის ოჯახის ღირსებისა და რჯულის დაცვისათვის შვიდშვილშენიერულ დედას.

მომავალი თაობის მორალურ-ზნეობრივი აღზრდა და ოჯახში მორალურ-ზნეობრივი სინმინდის დაცვა ძირითადად და უშუალოდ ოჯახის დიასახლისის - დედის უპირველეს მოვალეობას შეადგენს. რადგან ოჯახი საზოგადოების მიკროსახეა, ამიტომ თუ ოჯახი უზნეო-ამორალურია, შესაბამისად, საზოგადოებაც მორალურ-ზნეობრივად უზნეო-ამორალურია.

მ. წერეთელის შეხედულებით: „ზნეობა, მორალი არ არის გარეშე საზოგადოებისა, ადამიანთა საერთო ცხოვრებისა....

⁵ ვ. ზურიკელაშვილი, გ. მადრაძე, ნ. ჭანიშვილი, გ. ხუციშვილი, რ. ჯორბენაძე, კონფლიქტი, გენდერი და მშვიდობის მშენებლობა, თბილისი, 2002. გვ. 206.

⁶ ლ. ყიფიანი, ვ. გვენეტაძე, ქართველი ქალის როლი ოჯახში//კრ. ქალი და 21-ე საუკუნე, გვ. 205.

⁷ თ. იველაშვილი, თ. ცაგარეიშვილი, გვიხმობს მამული მამა—პაპათა, თბილისი, 1995. გვ. 54.

⁸ ბიბლია, მეორე მაკაბელთა, თბილისი, 2001.

ზნეობა არის მოწესრიგება ადამიანთა ყოფა-ქცევისა, ურთიერთისადმი და პიროვნებისა, ადამიანთა შორის. მისი მოძრაობაც – მუდმივი ძებნაა ახალ ღირებულებათა, რომელთა დამკვიდრება მორალურ ნორმად აგრეთვე წარმოუდგენელია გარეშე ადამიანთა საერთო, მოწესრიგებულ ცხოვრებისა.⁹

აღნიშნულს ჩვენ მხოლოდ იმას დავამატებთ, რომ ეს ვერ მოხდება კონკრეტულ ოჯახში დამკვიდრებულ-დაცულ მორალურ-ზნეობრივი ნორმების შეთვისების გარეშე, რაშიც ოჯახში მამისა და დედის როლი განუზომელია. ოჯახში უფროსთა მოვალეობას წარმოადგენდა და დღესაც წარმოადგენს მეტად მნიშვნელოვანი სოციალური ფაქტორის, ოჯახის წევრთა (განსაკუთრებით ერთი მხრივ ახალ თაობათა და მეორე მხრივ მშობლებსა და შვილებს) შორის ნორმალური ურთიერთგანწყობის ატმოსფეროს შექმნა და დარეგულირება. „მთელი კრებული ამ განწყობილებათა წარმოადგენს ოჯახის სოციალურ ორგანიზაციას.... კერძო ფორმა და შონაარსი ოჯახის შეიძლება შეიცვალოს, მაგრამ ეს ზემოთ განმარტებული (განწყობა ერთი თაობის შიგნითა და მშობლებსა და შვილებს შორის — თ. ი.) მისი თვისება იგივე უცვლელი რჩება ოჯახის ცვალებად ფორმებში, დროისა და სივრცის, ხასიათისა და კულტურათა მიუხედავად....ეს არის ოჯახის წმინდა სოციალური მხარე.“¹⁰

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ ისტორიულად საქართველოში ოჯახის უფრისი მამაკაცი თუ დედა-ღიასახლისი არასოდეს ყოფილა არც უსაქმური და, მაშასადამე, არც მფლანგველი. თანამედროვე ცხოვრებამ კი შექმნა ისეთი კატეგორია, რომელმაც არ იცის, რა არის შრომა, ამ შრომის ფასი. ეს კი ოჯახში მშობლების მიერ მათი ე. წ. „თავისუფალი“, მაგრამ არასწორი აღზრდის შედეგია. ხანგრძლივმა ცხოვრებისეულმა პრაქტიკამ დაამტკიცა, რომ ოჯახში ბავშობის ასაკიდან იწყება დედის უშუალო მეთვალყურეობით და მონაწილეობით თავისუფალი, ღირსეული ადამიანის აღზრდა, რომელსაც დედის რძესთან ერთად აქვს შეთვისებული საზოგადოებისა და ქვეყნის,

⁹ მ. წერეთელი, ერი და კაცობეობა, თბილისი, 1990, გვ. 47-48.

¹⁰ იქვე, გვ. 44.

ეროვნული ღირებულებების და რწმენა-სარწმუნოების ფასი და პატივისმცემა. სწორედ მომავალი თაობის ამგვარი სულისკვეთებით აღზრდამ გადაარჩინა და დღემდე მოიყვანა არა მარტო ჩვენი ქვეყანა, არამედ ქართველი როგორც ერი. აქვე არ უნდა დაგვავინყდეს ისიც, რომ დღეს მასონ-გლობალისტთა და „მსოფლიოს ახალი ნესრიგის“ მესვეურთა სახიფათო მოძალების პირობებში ე. წ. „თანამედროვე თავისუფალი ოჯახისათვის“ ეს წუთისოფელი მისი ეგოს სასიამოვნო სასეირნოა, ხოლო მცირერიცხოვანი ერის ოჯახის დედა-დიასახლისისათვის პატიოსანი შრომის, ენის, სარწმუნოების, ეთნიკური გენის, ეროვნულობისა და ტრადიციების გადარჩენა-შენახვისათვის თავგანწირული ბრძოლაა. ასე იქცეოდნენ ჩვენი წინაორები და დღემდე მოიტანეს ჩვენი ქვეყანა.

ყველა ნირმაღურ სახელმწიფოში ოჯახი (სადაც აკუმულირებულია შრომის ფასი, ენის, სარწმუნოების, ეთნიკური გენის, ეროვნულობისა და ტრადიციების გადარჩენა-შენახვის აუცილებლობა), როგორც სოციალური ფენომენი, საზოგადოების პროგრესიული განვითარების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი და აუცილებელი საყრდენი ქვაკუთხედი უნდა იყოს. ამ საკითხის განზოგადოებული ფორმით გააზრება დღეისათვის ჩვენი მრავალეროვანი საზოგადოებისათვის განსაკუთრებით აქტუელუალურია, რაც ოჯახის ფსიქოსოციალურ სახეს წარმოაჩენს და ოჯახის პრობლემები ერთ გლობალურ ქრილში უნდა განიხილებოდეს.

საუბარს იღია მართლის სიტყვებით დავამთავრებთ: „შვილმა უნდა იცოდეს, სად და რაზე გაჩერდა მამა, რომ იქიდან დაიწყოს ცხოვრების უღლის წევა. შვილს უნდა გარკვეული ჰქონდეს, რაში იყო მართალი და კარგი მისი მამა, რაში იყო შემცდარი, რა ავი მიიჩნია კეთილად, და რა კეთილი - ავად, რა უმართავდა ხელს, რა აბრკოლებდა, რისთვის ირჯებოდა და მხნეობდა, და რისთვის და რაში უქმობდა. უამისოდ თითონ შვილი, რაც უნდა მხნე და გამრჯელი იყოს, უხორთუმო სპილოს ემგვანება.“ ეს თვისებები კი მომავალმა თაობამ, საზოგადოებრივ ასპარეზზე გამოსვლამდე, ოჯახიდან უნდა შეისისხლხორცოს.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ლ. ყიფიანი, ვ. გვენეტაძე, ქართველი ქალის როლი ოჯახში (ნარსული და ანმყო)//კრ. ქალი და 21-ე საუკუნე, თბილისი, 2010.
2. ბიბლია, თბილისი, 2001.
3. თ. იველაშვილი, თ. ცაგარეიშვილი, გვიხმობს მამული მამა—პაპათა, თბილისი, 1995.
4. ვ. ზურიკელაშვილი, გ. მალრაძე, ნ. ჭანიშვილი, გ. ხუციშვილი, რ. ჯორბენაძე, კონფლიქტი, გენდერი და მშვიდობის მშენებლობა, თბილისი, 2002.
5. მ. წერეთელი, ერი და კაცობეობა, თბილისი, 1990.
6. ი.ჭავჭავაძე, თხზ. ერთგომეული, თბილისი, 1986.
7. გაზ. „ასავალ-დასავალი“, 13(911), 2012 წელი.

„არავის“ პრეზენტაცია

„არავს“ უნერია ხანგრძლივი სიცოცხლე და არსებობა“- ეს სიტყვები ახალციხის ცენტრალურ ბიბლიოთეკაში სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ლიტერატურული, სამეცნიერო პოპულარული და საზოგადოებრივი ჟურნალის „არავის“ პრეზენტაციაზე უნივერსიტეტის რექტორმა, ასოცირებულმა პროფესორმა მაკა ბერიძემ წარმოთქვა. მართლაც, ჟურნალმა არსებობის სამი წლის განმავლობაში, აჩვენა სერიოზული ძალა და პოტენციალი, გახდა საინტერესო გამოცემა არამარტო ახალციხეში, არამედ საქართველოსა და საზღვარგარეთის მასშტაბით. „არავის“ პრეზენტაცია თბლისსა და საბერძნეთში გასულ წლებში გაიმართა. ჟურნალმა 21 დეკემბერს თავისი სიტყვა მშობლიურ ქალაქში თქვა, ახალციხის ცენტრალურ ბიბლიოთეკაში საზოგადოების წინაშე გარკვეული ისტორიით წარსდგა. მკითხველს შევახსენებთ, რომ „არავი“ 2016 წლიდან გამოიცემა და მისი დამაარსებელი სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის მოადგილე სამეცნიერო დარგში, პროფესორი მერაბ ბერიძეა. ასევე საინტერესოა ჟურნალის პრინციპი. „არავში“ სხვადასხვა ავტორების გამოუქვეყნებელი ნაწარმოებები და ლექსები იბეჭდება. ასევე, „არავი“ მკითხველს აცნობს მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში მცხოვრები ქართველი ემიგრანტების შემოქმედებას. როგორც პრეზენტაციაზე სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებულმა პროფესორმა ლალი ბერიძემ აღნიშნა, **„ჟურნალი იქცა ხიდად საქართველოსა და ქართველ ემიგრანტებს შორის“**. აღსანიშნავია, რომ დამკვიდრდა ჟურნალისთვის საინტერესო ტრადიცია. „არავს“ გამოცემაში ქველმოქმედებებიც ეხმარებიან. ახალციხის ცენტრალურ ბიბლიოთეკაში, ჟურნალის რედაქტორმა, პროფესორმა მერაბ ბერიძემ, ერთ-ერთ ასეთ ორგანიზაციას - შპს „ნათია 777“-ს ქველმოქმედებისა და ჟურნალ „არავის“ მეოხებისთვის მადლობის სიგელი გადასცა. პრეზენტაციაზე ახალციხის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილემ გურამ მელიქიძემ აღნიშნა, რომ მერია ჟურნალს ფინანსურ დახმარებას აღმოუჩენს. აქვე, სამცხე-ჯავახეთის

სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორმა მაკა ბერიძემ, ჟურნალის გამოცემასთან დაკავშირებით განაცხადა: „**უნივერსიტეტს გააჩნია თავისი პილიტიკა იმისთვის, რომ შეასრულოს საზოგადოებრივი როლი. ამ ფუნქციის შესრულების ფლაგმანად მიიჩნევა ამგვარი სამეცნიერო-პოპულარული ჟურნალის გამოცემა და მხარში დგომა**“. პრეზენტაციაზე მერის მოადგილისა და უნივერსიტეტის რექტორის მხრიდან დაფიქსირებულმა პოზიციამ, კიდევ ერთხელ ცხადყო „არავის“ არსებობის აუცილებლობა.

„დარწმუნებული ვარ, რომ იმ საქმეს, რასაც დღეს ჟურნალი აკეთებს, დროთა განმავლობაში კიდევ უფრო დაედება ფასი“, - აღნიშნა პრეზენტაციაზე ასოცირებულმა პროფესორმა ნატო ყრუაშვილმა.

ზემოთქმულის დასადასტურებლად, იმას, რომ „არავი“ იტყვის მნიშვნელოვან სიტყვას ქართული კულტურისა და სულის განვითარებაში, ჟურნალის შინაარსი ცხადყოფს. ამისი დასტური გახლდათ, პრეზენტაციაზე ჟურნალის რედაქტორის, პროფესორ მერაბ ბერიძის გამოსვლაც, რომელმაც დამსწრე საზოგადოებას ჟურნალის შექმნისა და გამოცემის ისტორიაზე მოუთხრო. ასევე, გააცნო ჟურნალის შინაარსი და ის ავტორები, რომლებიც არა მხოლოდ საქართველოდან, არამედ საზღვარგარეთის სხვადასხვა ქვეყნიდან არიან წარმოდგენილი. პროფესორმა მერაბ ბერიძემ განსაკუთრებული ყურადღება გაამახვილა სამცხე-ჯავახეთის რეგიონში უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების არსებობის მნიშვნელობაზე და აღნიშნა, რომ უნივერსიტეტს თავისი მისიისა და დანიშნულებიდან გამომდინარე, მნიშვნელოვანი სიტყვა უნდა ეთქვა ამ ტიპის გამოცემებით. „არავის“ გამოცემამდე უნივერსიტეტში გამოდიოდა სამეცნიერო ჟურნალი „გულანი“, რომლის 20 ტომი გამოვიდა. შემდეგ, საჭირო გახდა ჟურნალის მოდერნიზება. **„ამიტომ, გადავედით გამოცემის იმ ტიპზე რასაც „არავი“ ჰქვია. ჩვენი მთავარი მიზანი იყო, რომ არ ჩავევტილიყავით საკუთარ ნაჭუჭში**“. — აღნიშნა ჟურნალის რედაქტორმა. პრეზენტაციაზე ნაჩვენები სლაიდმოუ კარგად ასახავდა იმ სურათს, რომელიც ჟურნალის მნიშვნელობას უსვამს ხაზს.

ახლა კი მივყვით „არავის“ პრეზენტაციაზე“ გამომსვლელთა სურვილებსა და მათ მიერ გამოთქმულ მოსაზრებებს.

პრეზენტაცია ახალციხის ააიპ კულტურის დაწესებულებათა გაერთიანების ხელმძღვანელმა ზაირა კელაპტრიშვილმა გახსნა. დამსწრე საზოგადოებას ესაუბრა ჟურნალის მნიშვნელობასა და დანიშნულებაზე. მადლობა მოახსენა სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტს ასეთი მნიშვნელოვანი საქმეების კეთებისთვის და იმედი გამოთქვა, რომ ერთობლივი ღონისძიებები ამ ორ დაწესებულებას შორის კვლავა გაგრძელდება.

ჟურნალის მნიშვნელობასა და დანიშნულებაზე ისაუბრეს სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორმა, ასოცირებულმა პროფესორმა მაკა ბერიძემ, ახალციხის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილემ გურამ მელიქიძემ, გაზეთ „ლიტერატურული მესხეთის“ რედაქტორმა ავთანდილ ბერიძემ, ახალციხის მერიის კულტურის სამსახურის უფროსმა ზაზა თამარაშვილმა, სამცხე—ჯავახეთის ისტორიული მუზეუმის დირექტორმა ციური ლაფაჩმა, ასოცირებულმა პროფესორმა ნატო ყრუაშვილმა, მონვეულმა პედაგოგმა ნათელა ბერიძემ, ასოცირებულმა პროფესორმა ლალი ბერიძემ, სახალხო მთქმელმა ვასილ კვინცხაძემ.

„არავის“ გამოცემა ჩვენი ქალაქისთვის, ჩვენი რეგიონისთვის დიდი წარმატებაა. მადლობა იმისთვის, რომ არსებობს სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი და ამ ტიპის გამოცემას ხელმძღვანელობს“, - აღნიშნა მერის მოადგილემ.

მოვიყვანთ ამონარიდებს გამომსვლელთა სიტყვებიდან. რექტორმა აღნიშნა: **„2016 წელს ახალი სამეცნიერო პოპულარული და ლიტერატურული ჟურნალის დაარსება დიდ რისკთან იყო დაკავშირებული, ვინაიდან არ იქნებოდა მარტივი ყოველთვიურად შეგვექმნა ისეთი პერიოდული გამოცემა, რომელიც დააკმაყოფილებდა სტანდარტებს. ჟურნალმა აჩვენა სერიოზული ძალა“.**

სამცხე-ჯავახეთის ისტორიული მუზეუმის დირექტორმა ციური ლაფაჩმა მადლობა მოახსენა ჟურნალის რედაქციას, რადგან მიეცა „არავთან“ თანამშრომლობის საშუალება. **„დღევანდელ დღეს ჩვენ მშვენიერი ჟურნალის პრეზენტაციის მონაწილენი გავხდით. საინტერესოა ჟურნალის თემატიკა. „არავში“ საკმაოდ კარგად არის წარმოდგენილი და გაშუქებული საკითხები სხვადასხვა**

მიმართულებით. ვისურვებდი, კიდევ ბევრი წარმატებული საქმე ეკეთებინოს უნივერსიტეტს“, - აღნიშნა მან.

ლალი ბერიძის თქმით: ჟურნალი დიდ ადგილს უთმობს ემიგრანტული პროზისა და პოეზიის გაშუქებას. ის მონატრება და ტკივილი, რასაც ემიგრანტები განიცდიან, თავიანთ შემოქმედებაში გადააქვთ. „არავმა“ კი ხელი შეუწყო მათი ლექსებისა და მოთხრობების სამშობლომდე მოტანას. **„მიმანია, რომ სკოლების ქართულის მასწავლებლებს უნდა ჰქონდეთ ეს ჟურნალი, რომ მივიდეს ახალგაზრდა თაობასთან ჩვენი სათქმელი. ეს სკოლებსა და ჟურნალს შორის თანამშრომლობის კარგი საშუალება იქნებოდა“** - აღნიშნა ლ. ბერიძემ.

სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი პედაგოგის ნათელა ბერიძის თქმით: „ჟურნალი „არავი“ ეგზავნებათ ავტორებს საზღვარგარეთ, რამაც სტიმული მისცა ქართველ ემიგრანტებს. **„ქართული სათვისტომოები ბევრ კარგ საქმეს აკეთებენ. „არავმა“ ბევრი სასიკეთო საქმე გააკეთა ემიგრანტებში ქართული ნაწილის გაცოცხლებისა და შენარჩუნებისთვის“**.

ჟურნალის საინტერესო დამოკიდებულებაზე გაამახვილა ყურადღება ნატო ყრუაშვილმა: **„არავს“ ერთი კარგი პრინციპული დამოკიდებულება აქვს. ჟურნალში იბეჭდება ის მასალები, რომელიც ქართველ მკითხველს ჯერ არ უნახვს. „არავმა“ ერთგვარი ლაკმუსის როლიც შეასრულა. ბევრს გააბედინა რომ მათი შემოქმედება საჯაროდ გამოეტანა. ვუსურვებთ ჟურნალს წარმატებას“**.

ჟურნალის მნიშვნელობიდან და თემატიკიდან, მისი გავრცელების არეალიდან და ავტორების მრავალფეროვნებიდან, ასევე, ჟურნალის სათავეში პროფესიონალების ყოფნის გამო, გვაქვს იმისი თქმის საფუძველი, რომ „არავი“ კვლავ ღირსეულად გააგრძელებს არსებობას და იტყვის მესხეთიდან თბილი სიოს სახით მონაბერ სიტყვას.

ლია ზაზაშვილი

სარჩევი

<i>ღირსეული მამულიშვილი</i> ნატო ყრუაშვილი პატივცემულ და საყვარელო მამაო გალვა!	3
<i>ინტერვიუ</i> „პიომგრაფია უნდა გქონდეს და იყო მართალი...“	10
<i>პოეზია</i> მანანა დანგაძე	30
<i>ჩვენი სახელოვნოანი წინაპრები</i> ნიკოლოზ ოთინაშვილი ფირან ჩერქაზიშვილი	37
<i>პოეზია</i> თეონა თათეშვილი	39
<i>უნივერსიტეტის ისტორიისათვის</i> მერაბ ბერიძე მოსამზადებელი კურსები ფილიალში	49
<i>მთვინიანი უნივერსიტეტი</i> ლელია გეგუჩაძე ცაგერისა და ლენტეხის მთავარეპისკოპოსი სტეფანე მაია ქუქჩიშვილი	56 60 64
<i>პოეზია</i> თამაზ ზერეკიძე	67
<i>ემიგრანტული პოეზია</i> მადონა ჯავახიშვილი - საბერძნეთი, ათენი	81
<i>პოეზია</i> გიორგი სუთიძე	90
<i>პოეზია</i> ციცო მაისურაძე	94
<i>პოეზია</i> შუმანა კალანდაძე	98

თარგმანი	
ბელა ახმადულინა	102
ანა ახმატოვა	105
ემილი დიკინსონი	105
მარინა ცვეტაევა /ოსიპ მანდელშტამს/	106
ესენინი	106
რობერტ ბერნსი	107
ბულატ ოკუჯავა	108
ევარისტ დი პარნი	108
დიალექტოლოგია	
ბესარიონ ჯორბენაძე	110
მესხური კილო ისტორიული და თანამედროვე თვალსაზრისით	
თინა იველაშვილი, მარი ნარიმანიძე	120
ილინა ჭავჭავაძე ოჯახის შესახებ	
ლია ზაზაშვილი	128
„არავის“ კრეზენტაცია	

ქ. ახალციხე, რუსთაველის ქ. №106,
ტელ.: 0(365)22-19-90, 595-94-02-26, 591-41-12-88
ელ. ფოსტა: jurnaliaravi@gmail.com